ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სპეკალი

რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი

№ 6

2012

ISSN 1987-8583

თინათინ თურქია

ადგილკუთვნილების აღმნიშვნელი ლექსიკის სოციალური მგრძნობიარობის საკითხი ქართულში

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანი თანდათან სულ უფრო შორდება კონკრეტულ სამკვიდრებელს და უკიდეგანო ტექნიკური შესაძლებლობების წყალობით მთელი პლანეტის სივრცობრივ ათვისებას ლამობს. ამის შედეგია ის, რომ მუდმივმა მოძრაობამ შეცვალა ადამიანის მიმართება საცხოვრებელი ადგილის მიმართ: დღეს ადამიანები სახლობენ ბევრგან: სასტუმროებში, პანსიონებში, მდგმურებად, მიგრანტებად (ემიგრანტებად და იმიგრანტებად), ხიზნებად; სახე იცვალა სოფელმა, დაირღვა შთამომავლობითი მამულის საცხოვრებლის პრინციპი; საგვარეულო ეკლესიები, საგვარეულო ქვევრები, აკლდამები და საფლავები თანამედროვე გარემოებებში სხვადასხვა ეკონომიკური სანქციისა და ვალდებულებების გავლენით მუდმივობას კარგავს და ახალი ტიპის სამოსახლო ორიენტირებს სახავს.

სამყარო გაცილებით დაპატარავდა, სამკვიდრებელი კი გაფართოვდა. ფილოსოფიისათვის სამყარო კონცეპტებამდე დაიყვანება და სხვადასხვა გარემოებაში სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. ადამიანისათვის არსებობს სხვადასხვა მასშტაბის გარემო: მისი პირადი საცხოვრებელი სივრცე - მისი უახლოესი გარემოცვის საცხოვრებელი სივრცე, ქუჩა, უბანი, რაიონი, ქალაქი (სოფელი), ქვეყანა, რეგიონი, კონტინენტი, დედამიწა, სამყარო.

ენობრივი მონაცემებით ამ სივრცული დიაპაზონის ლექსიკური მარკირება მხოლოდ უმცირესიდან უმსხვილესის მიმართულებით ხდებოდა ქართულში (და არა მარტო): **გალიაკი, სენაკი, სახლაკი, ეზო [1], სადგომი, სახლი, სადგური, აგარაკი, დაბა/ უდაბ-ნ-ო, ქვეყანა, სანახი..;** ეს ლექსიკა, ერთი მხრივ, თავისი მოცულობითი შინაარსით, და, მეორე მხრივ, თავისი ფუნქციური მნიშვნელობით გარკვეული შინაგანი წესრიგის მატარებელია; ამ წესრიგის დადგენა და შეფასება საინტერესოა არა მარტო

სოციოლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის, არამედ ფსიქოლინგვისტიკის თვალსაზრისითაც [Лакоф, 2004: 10-11].

ფილოსოფიაში ასეა, თუ პიროვნებისათვის მისი სამყაროს მთლიანობა ირღვევა, ის დეზორიენტირებულია და ახალი მთლიანობის შექმნას ან სხვა მთლიანობასთან მიკედლებას ლამობს. ადამიანისათვის მისი სამყარო ბევრი ფაქტორისაგან შედგება, პიროვნება სხვადასხვა დროს სხვადასხვა ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა, არის სტაბილური სივრცეც, რომელიც არ უნდა ირღვეოდეს, რათა პიროვნების სულიერ წონასწორობას საფრთხე არ შეექმნას. ეს მსჯელობა ეხება არა მარტო პიროვნების ,,მეს" მენტალურ და ფსიქიკურ სისრულეს, არამედ მისი მსოფლმხედველობის ყველა გამოვლინებას; სოციალურ სინამდვილეში ადამიანის ,,სამყარო" მისი უახლოესი გარემოცვის კოლექტიურ ცნობიერებასთანაა შეჯერებული (ან დაახლოებული, ან დაშორებული), რაც მრავალი კუთხით შეისწავლება. ამ თვალსაზრისით ადამიანის ადგილკუთვნილებისა და საცხოვრისის აღმნიშვნელი ლექსიკა განსაკუთრებულად საინტერესოა.

ქართულში, სადაც ჩვენ საშუალება გვაქვს ამ ჯგუფის ლექსიკა-ფრაზეოლოგიას უძველესი დროიდან მივადევნოთ თვალი და პიროვნული თუ საზოგადოებრივი აზროვნების ამ სპეციფიკურ სფეროს დავაკვირდეთ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი დიალექტური მასალის საფუძველზეც, უაღრესად საინტერესოდ წარმოჩნდება საზოგადოებრივი (ეთნიკური და სოციალური) ყოფის დროში ცვალებადობის ტემპიცა და მიმართულებებიც.

უკვე უძველეს ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ჩანს ადგილისა და ადგილთან დაკავშირებული ნაგებობის ან ამ ადგილზე დაფუძნებული მმართველობითი ინსტიტუტების სკრუპულოზური ცოდნა და ლექსიკურად მარკირების ტენდენცია. მაგალითად, ჩვენამდე მოღწეული უძველესი ჰაგიოგრაფიული თხზულების, ,,შუშანიკის წამების", ტექსტში უკვე დასტურდება ისეთი ლექსემები, როგორებიცაა: **,,კარად სამეფოდ**", ,,**საზღვართა** ქართლისათა, **ქვეყანასა** მას ჰერეთისასა", ,,**სოფლად**

შევიდეს", „მოიწია **დაბასა მას**, რომელსა სახელი ჰრქვიან ცურტავი", „დაეცა **ქვეყანასა ზედა** და თავსა დამართ სცემდა..." („ქვეყანა" პირველ შემთხვევაში ჰერეთის მიწაა, მეორე შემთხვევაში - შუშანიკის სამყოფლის ნიადაგი), „**სახლაკი** ერთი მცირე ჰპოვა", „ხოლო ეპისკოპოსი იგი **სახლისა მის პიტიახშისაი**"... „და მყის მიიწია ჩუენდა დიაკონი **შინაით**", „და მივიწიე **დაბასა მას**", „ესევითარი **სახლი მშვიდობისა** ვითარ საწყალობელ იქმნა", „ნუ წარსწყმედ **სახლსა ამას სადედოფლოსა**", „არა დაჯდა იგი თვისსა მას **გალიაკსა**, არამედ **სენაკსა შინა** მცირესა" და სხვ. „ქართლის ცხოვრებაშიც" ადგილთან ადამიანის მიმართების გამომხატველი უამრავი ლექსიკური ერთეული სახელდება და ამ ლექსიკის სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ „ძველ" საქართველოში დიდხანს იყო შენარჩუნებული საცხოვრებელი ადგილის ან ტერიტორიის მიმართ ადამიანის დამოკიდებულების დეტალიზების ტენდენცია, რაც ენას უმცირესი წვრილმანის დონეზეც კი ჰქონდა გაცნობიერებული და მარკირებული. დავასახელებთ ამგვარი ლექსიკური მარკერების მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს: მამეულად, საკურთხეველი, სალოცავი, სასაკუმევლე, საეპისკოპოსო, სამთავარეპისკოპოზო, საკათალიკოზო, სამწყსო, სასუფეველი, საზამთრო (საზამთროთა ადგილთა), საზღვარი, სამკვიდრებელი, სამკუდროსამსახურებელი, საყდარი, საპყრობილე, საბრძანებელი, სართული, სასთუნალ, საყუდელი, სახლი, სახელმწიფო, სივრცე, სიმაგრე, სიმაღლე, სოფელი, საერისთავო, სამეუფო//სამეფო, მამული (= მამისეული), მამული (=სამშობლო) და სხვ. [2]

ქართულ საენათმეცნიერო სკოლებში გამორჩეულია პროფ. ბ. ფოჩხუას ღვაწლი. მან განახორციელა ახალი ქართული ენის ლექსიკის საგნობრივი (თემატური)კლასიფიკაცია და კარგად გააზრებულ იდეოგრაფიულ ლექსიკონში განათავსა [ფოჩხუა,1987]; ამ ლექსიკონში ავტორი ლექსიკური პარადიგმატიკის საკითხებს ქართულ მასალას უსადაგებს და თავის სალექსიკონო მონაცემებს მწყობრი თეორიული მსჯელობით ამყარებს: „როდესაც სიტყვას განვიხილავთ, როგორც ლექსიკურ ერთეულს, არსებითი ამ სიტყვისათვის ამ შემთხვევაში არის მისი საგნობრივი მიმართება და ამიტომ, პირველ ყოვლისა, ეს უნდა იქნეს გარკვეული - სიტყვა უნდა დახასიათდეს საგნობრივი მიმართების მიხედვით (რას ნიშნავს, რას აღნიშნავს). მხოლოდ ამის შემდეგ

იქნება ნაყოფიერი მისი განხილვა ენობრივ კოლექტივთან (თუ ცალკე მოლაპარაკესთან) მიმართებაში (ამგვარ განხილვას ,,პრაგმატულს" უწოდებენ) და ბოლოს, ამა თუ იმ ენის ლექსიკურ-სემანტიკური აგებულების გათვალისწინებით, საკუთრივ ,,ენობრივად" დახასიათება, ე.ი. დახასიათება ლექსიკური პარადიგმატიკის (და, აგრეთვე, სინტაგმატიკის, შეხამებადობის) პოზიციებიდან" [ფოჩხუა, 1987: 23]. ავტორი იქვე დასძენს, რომ ,,ლექსიკური ფონდის საგნობრივ-თემატური აღწერა მხოლოდ შორეული მისადგომებია ლექსიკის სისტემებრივი დახასიათებისათვის; მათ შორის მოთავსებულია კიდევ ერთი ზონა, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, უაღრესად მნიშვნელოვანია ლექსიკური ფონდის ადეკვატური აღწერა-დახასიათებისათვის; ეს არის ლექსიკის განხილვა ენობრივი კოლექტივის ყოფა-მოსაქმეობის გათვალისწინებით, რადგანაც ყოფის თავისებურებები ძირითადად განსაზღვრავენ ამ თავისებურებებს, რაც სხვადასხვა ენის ლექსიკურ ფონდთან შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა" [ფოჩხუა, 1987: 24].

დასახელებული ლექსიკონიდან ჩვენ ერთი სისტემური ჯგუფი გვაინტერესებს და ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ თავად იდეოგრაფიული ლექსიკონის პრინციპი ჩვენი წინამდებარე კვლევისათვის მისაღებ და სახელმძღვანელო კრიტერიუმს წარმოადგენს. ჩვენთვის საინტერესო ჯგუფი ავტორის (ბ.ფოჩხუას) მიერ სივრცულად არის კვალიფიცირებული: ზოგადი განზომილება (სივრცე - მხარე, მოედანი, ადგილმდებარეობა, გადაადგილება, სადმე მყოფობა... მცხოვრები... მოცულობა...); აქ თავს იყრის უაღრესად მრავალფეროვანი ლექსიკა, რომელთაგან მხოლოდ ნაწილს დავასახელებთ: დედამიწა, მიწა [3], ქვეყანა [4], ცისქვეშეთი, ცა და ქვეყანა, ცა და ხმელეთი, ცა-ხმელი, ცა-მყარი. არემარე, არე, მიდამო, მისადევარი, ალაგი, ადგილი, ყანა, მყარი სანახები, ზღვა-ხმელი, დედამიწის ზურგი, მთელი ხმელეთი, დუნია, მისახედ-მოსახედი (მიხედვა=ზრუნვა), მთაბარობა, მღვიმე, გამოქვაბული, ქვაბი, გამოქვაბული ადგილი და სხვ.

ადამიანის საცხოვრებელი სასიცოცხლო სივრცე-სამყარო ისაა, სადაც იგი თავის თავს ხედავს, აკვირდება, აღიქვამს, შეფასებას აძლევს და რომელზეც აგებს თავის სამოქმედო

და სააზროვნო ორიენტირებს. ამ სამყაროს უკავშირდება მისი ემპირიული გამოცდილებაც და მისი კულტურულ-ღირებულებრივი კრიტერიუმებიც. ამ სამყაროს გარეშე პიროვნებას უჭირს ადაპტირება, მისთვის ძნელია ინტეგრირება სრულიად განსხვავებულ გარემოში. და თუ თავისი მდგრადი ფსიქიკისა და ნიჭიერების წყალობით იგი ამას მაინც ახერხებს, ეს მისი მუდმივი პიროვნული მობილიზების ხარჯზე ხდება და ემოციურად დაღლასა და ცვეთას იწვევს.

სასიცოცხლო სამყაროს სხვადასხვა ნიშანს უძებნიან:

- ცნობიერების სამყოფელი ადგილი (ადგილი, სადაც ყველა აზრი ფორმირდება);
- ადამიანის ყოველდღიური გამოცდილების ადგილი; პირველადი, საწყისი შთაბეჭდილებების ჩასახვის ადგილი;
- დინამიკურობა;
- სტრუქტურულობა (პიროვნების საკუთარი, ინტრასამყარო და მის გარშემო არსებული, მისგან განსხვავებული მანძილებით თანდათანობით დაშორებული გარსები);
- მთლიანობა; ფილოსოფოსები მიუთითებენ, რომ ჩვენს წარმოდგენაში არსებული სამყარო ყოველთვის შეიცავს რაღაც ისეთს, რაც ჩვენი არ არის, გარეშეა. აქვე დაისმის ახლომდებარე და შორს მდებარე ობიექტების აღქმისა და მარკირების საკითხი. შეიძლება ამ კონტექსტშივე იქნას განხილული სოციალური სტრუქტურებიც: პირადი და საზოგადო, საოჯახო და სახელმწიფო ცხოვრება; საკუთარი წრე და სხვები და ა.შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის ტერიტორიასთან მიკუთვნებულობის ან ამა თუ იმ ადგილთან მიმართების აღმნიშვნელი ქართული ლექსიკა განსაკუთრებით მრავალფეროვნია. მას დიალექტური მასალაც მეტად ამდიდრებს. ამ ლექსიკაში ძალიან მაღალია არა მარტო მხატვრული, ტროპული ბუნების ან სახისმეტყველებითი სემანტიკის მქონე ლექსიკის წილი, არამედ სოციალურად მარკირებული ლექსიკისაც, რომელიც პირის ან კოლექტივის საცხოვრისთან მიმართების სოციალურ ასპექტთაგან

ძალიან უმნიშვნელო ნიუანსებს აფიქსირებს და ცალკე ლექსიკური ან გრამატიკული საშუალებით აღნიშნავს: შინაური, ჩემიანი, ჩვენიანი, სახლიკაცი, მეზობელი, კარის მეზობელი, ღობის მეზობელი... აქ [5], ამერი, ჩვენში, ჩვენში - კავკასიაში [6], სახლში ვარ, შინ ვარ, გაღმა, გადაღმა, გამოღმა, განაპირა, სოფლის ბოლოში, სოფლის დასაწყისში, გადავიდა საცხოვრებლად, გადასახლდა, წავიდა, აიყარა, გუდა-ნაბადი აიკრა, ამოიკვეთა, ფეხი ამოიკვეთა, ჩამოსახლდა, ჩამისახლდა, ჩასახლდა...

საინტერესოა, რამდენად იცვლება ადამიანის ადგილკუთვნილებითი დამოკიდებულება საერთო სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის ცვლასთან ერთად. ამ თვალსაზრისით დღეს გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოსათვის ნამდვილ გამოწვევას წარმოადგენს ადამიანთა დამოკიდებულება წარსულში ჩამოყალიბებული მანძილებისა და ადგილკუთვნილებითი მიმართებებისადმი. ადრე მანძილს ცხენით ან ეტლით მოგზაურობის ხანგრძლივობით აფასებდნენ, ანუ მანძილი კილომეტრაჟის ნაცვლად დროით იზომებოდა. ამაზე მეტყველებს გამოთქმები: **ორი დღის სავალი** და **ერთი კვირის სავალი.** ისინი იმდროინდელი გზებისა და სამგზავრო საშუალებების შესაბამისი იყო. ასე რომ, თუკი კაცზე ამბობდნენ, **გადამთიელიაო**, შეიძლება რომელიღაც ეტაპზე, მართლაც, **მთისიქითა** ადგილი ჰქონდათ მხედველობაში, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს მანძილი „ერთ მთაზე შორს" მოიაზრებოდა, ხოლო **გადამთიელი** უკვე არა მხოლოდ მანძილით, არამედ მენტალურადაც უკიდურესად დაშორებულ, განსხვავებულ ადამიანს აღნიშნავდა. გადამთიელი **გარედან მოსულია**; ამ ლექსემასთან ერთად უთუოდ უნდა განვიხილოთ კიდევ ერთი ლექსიკური ერთეული - **გადახვეწილი**, ისიც შორსაა, მაგრამ გადახვეწილი **შინიდან წასულია**, ოღონდ წასულია დიდი ხნით ან სამუდამოდ, არა საკუთარი არჩევნით, არამედ გარემოებათა მიზეზით. ეს სემანტიკა კარგად ჩანს ერთ ხალხურ ლექსში:

„ასე ამბობდა ქართველი, სპარსეთში **გადახვეწილი**,/ რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ, მაინც ვიქნები ქართველი."

ქართულს, როგორც აგლუტინაციურ ენას, განსაკუთრებული შესაძლებლობა აქვს ე.წ. თანმხლებმოქმედებიანი სიტყვების წარმოებისა; კერძოდ, ზმნისწინთა, თანდებულთა თუ სხვა სიტყვაწარმოებით აფიქსთა მეშვეობით სიტყვა არა მხოლოდ ძირისეულ

სემანტიკას ატარებს, არამედ კიდევ რომელიმე მოქმედებასაც (ზოგჯერ ერთზე მეტსაც) გამოხატავს. მაგალითად, ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთაც ე.წ. თანმხლები სემანტიკა ახასიათებს, შეიძლება ამა თუ იმ საგნის ან მოქმედების აღნიშვნასთან ერთად გადმოსცემდნენ: ძალადობას (განდევნა= ერთი ადგილიდან ვისიმე სხვა ადგილზე გაშვებას ძალადობის გზით [7]), დევნას, მიდევნებას, თან მიყოლას, გადარეკვას (გადაყვანა, იძულება და ადამიანის შემთხვევაში - დამცირებაც), გადასახლებას (გადასვლა, სახლის სხვაგან მოძებნა, სამუდამოდ წასვლა) და ა.შ.

საქართველოს ტერიტორია არ არის ისეთი დიდი, როგორც მთელი რიგი მრავალრიცხოვანი ერებისა. ეს განსაზღვრავს იმას, რომ ქართველისთვის მთელი ქვეყანა მისი სახლია და ყველა დანარჩენი ქართველი მისი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშაა. ასე იყო დიდხანს, თითქმის გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპამდე. ახლა ვითარება შეიცვალა. მძიმე ეკონომიკური პირობების, პოსტსაბჭოური გარდაქმნების, საზღვრების გახსნისა და სხვა ადგილობრივი თუ მსოფლიო მასშტაბის პროცესების გავლენით ადამიანი გათავისუფლდა სამკვიდრებელთან მიჯაჭვულობის გრძნობისაგან. ამ ჯაჭვის დაწყვეტას ჯერ საბჭოურმა „უმისამართობამ" მისცა ბიძგი (შდრ. „Мой адрес не дом и не улица,/ мой адрес Советский Союз!"), ხოლო შემდეგ მსოფლიოს ტექნიკურმა პროგრესმა და მოსახლეობის მოძრაობის არნახულმა მასშტაბებმა გადაფარა მამულ-დედულზე „გულის ძაფებით" მიკრული ადამიანის მყარი წარმოდგენები და იგი თანამედროვე მსოფლიოს უწონადო სივრცეში ააფარფატა. თანამედროვე ადამიანის გარშემო ახალი პარადიგმატული სივრცე ჩამოყალიბდა; თუ ადრე ადამიანის ორიენტირები სამკვიდრებელს უკავშირდებოდა და, სადაც არ უნდა წასულიყო იგი, ბოლოს აუცილებლად **შინ** ბრუნდებოდა (ფიზიკურად ან გონებითად), ახლა ნოსტალგიური ტკივილები ნაკლებად საგრძნობია, ადამიანი **შინ** ყოფნის დროსაც ნაკლებად არის **შინ**, და ამდენად მისი მდგომარეობა მუდმივ მოძრაობას უფრო წარმოადგენს, ვიდრე **მკვიდრობას**. ამიტომაც გაფერმკრთალდა მაგალითად ქართულში სიტყვა **მკვიდრი** და მისი ადგილი დაიკავა ისეთმა „გრილმა" მარკერმა, როგორიცაა **მცხოვრები**. [8]

სამყარო ადამიანის წარმოსახვის ერთ-ერთი ნაწილია, თუმცა თავად ადამიანიც განიხილება მთლიანი სამყაროს ნაწილად. ორივე შემთხვევაში საგნობრივი მიმართება მთელსა და ნაწილს შორის პარტიტიულია; ჰიპონიმურ მიმართებებში გვარეობით და სახეობით მიმართებათა შემდეგ სწორედ პარტიტიულ სემანტიკურ კავშირებს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა [Кузнецова, 1989: 45].

ლინგვისტებს მიაჩნიათ, რომ ლექსიკის აზრობრივი მოწესრიგების საქმეში სწორედ ნაწილი-მთელის მიმართებაა მნიშვნელოვანი, რათა ლექსიკა განთავსდეს, როგორც მთლიანი იერარქიული სტრუქტურა (ანუ აღიარებულია პარტიტიული მიმართებების როლი ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში). როგორც აღვნიშნეთ, ადამიანი სამყაროს ნაწილია, თუმცა, თავისებურად სამყაროც არის ადამიანის რთული მსოფლშეგრძნების (ნაწილების, დეტალების, მხარეების, ხარისხების, თავისებურებების, ერთობლიობა) შემადგენელი ნაწილი; ამ მხრივ ადამიანის კუთვნილი თავისებურებები შეიძლება იყოს როგორც თანდაყოლილი (მისი ორგანიზმი, ეროვნება), ისე შეძენილი (ეს გულისხმობს ადამიანის ურთიერთობას სხვებთან, სხვადასხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტთან და, აგრეთვე, რეალური სამყაროს საგნებსა და ნივთებთან [Базылова, www.disszakaz.com].

საცხოვრისთან მიმართების თანამედროვე ტენდენციის ამოსაცნობად ჩვენ სპეციალურ გამოკითხვას მივმართეთ; კერძოდ, ორი ასაკობრივი ჯგუფის ა) 18-22 წლისა; ბ) 50 წლისა და ზემოთ) წარმომადგენლებს შევთავაზეთ 2 დავალება:

1. პირადი ათვლის წერტილიდან სიშორე-სიახლოვის პრინციპით შეეფასებინათ კონკრეტული ლექსიკა ადგილსამყოფლისადმი დამოკიდებულების სემანტიკის მიხედვით და შეთავაზებული ლექსემები დაენომრათ შესაბამისი რიგითობით:
   ა) შინაური, ჩემიანი, ჩვენიანი, სახლიკაცი, მეზობელი, კარის მეზობელი, ღობის მეზობელი...
   ბ) ამერი, იმიერი, ჩვენში, ჩვენში - კავკასიაში, სახლში ვარ, შინ ვარ, გაღმაა,

გადაღმაა, გამოღმაა, განაპირასაა, სოფლის ბოლოშია, სოფლის დასაწყისშია...

გ) გადავიდა საცხოვრებლად, გადასახლდა, წავიდა, აიყარა, გუდა-ნაბადი აიკრა, ამოიკვეთა, ფეხი ამოიკვეთა, ჩამოსახლდა, ჩამისახლდა, ჩასახლდა...

განემარტათ სიტყვები და მიეთითებინათ მათ მიერ სათანადო კონტექსტში ამ ლექსემათა გამოყენების სიხშირე:

ა) კერა, სამკვიდრო, მამული, წარმოშობა...

ბ) გადამთიელი, გადაშენდა, გადაჯიშდა, გაიხიზნა, შეეფარა, დაფუძნდა, დამკვიდრდა, დასახლდა, დაბინავდა, ფეხი მოიკიდა, ფესვი გაიდგა, კარგად მოეწყო ...

2. გამოკითხვაზე დაგვთანხმდა 30 რესპონდენტი (თითოეული ჯგუფიდან 15 კაცი). პირველ ჯგუფს წარმოადგენდნენ სტუდენტები (ილიას უნივერსიტეტისა და სახელმწიფო კონსერვატორიიდან), მეორე ჯგუფში კი შევიდნენ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის (50-დან 70 წლის ასაკამდე) პირები, რომლებიც ერთსა და იმავე კოლექტივს თითქმის არ განეკუთვნებოდნენ). პასუხებმა შემდეგი ვითარება აჩვენა:

- ასაკობრივი ჯგუფების დამოკიდებულება და ენობრივი კომპეტენცია დასახელებული ლექსიკური ერთეულებისა და მათი მნიშვნელობის მიმართ რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა:
  უფროსი ასაკობრივი ჯგუფის (ბ) წარმომადგენლებმა ზედმიწევნით იცოდნენ ყველა ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა (უგამონაკლისოდ), თუმცა 7 რესპონდენტს გაუჭირდა სიმორე-სიახლოვის მიხედვით ზღვრის გავლება ისეთ წყვილებში, როგორიცაა: სამკვიდრო და მამული, გადავიდა საცხოვრებლად და გადასახლდა; დაბინავდა და ფეხი მოიკიდა და ა.შ.;
- ა ჯგუფის წევრთაგან 10-მა მეტ-ნაკლებად სწორად განმარტა შეთავაზებულ სიტყვათა მნიშვნელობები, მაგრამ ვერ შეძლო შეფასება და შიდა საზღვრის გავლება, ისეთ ლექსემათა შორის, როგორიცაა: სახლიკაცი და შინაური, კარის

მეზობელი და ღობის მეზობელი, გაიხიზნა და შეეფარა, ფეხი მოიკიდა და ფესვი გაიდგა, დამკვიდრდა-დასახლდა-დაბინავდა, ხოლო დანარჩენი 5-იდან სამმა ვერ განმარტა **კერა**, **ხიზანი, გუდა-ნაბადი აიკრა**. 9 რესპონდენტმა მიუთითა, რომ არასოდეს არ იყენებს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: გადამთიელი, გადაშენდა, გადაჯიშდა, გაიხიზნა, შეეფარა, დაფუძნდა, დამკვიდრდა, დასახლდა, ფეხი მოიკიდა, ფესვი გაიდგა; მათი მოხმარების სფეროში ამ ლექსიკური ჯგუფიდან მხოლოდ ორია: დაბინავდა და კარგად მოეწყო.

- კავკასია **ა** ჯგუფის არცერთი წევრისთვის არ აღმოჩნდა ადგილკუთვნილების განმსაზღვრელი. მათ ვერ დაასახელეს ვერც ერთი პარამეტრი, რომელსაც კავკასიის მახასიათებლად აღიქვამენ. სამაგიეროდ, ბ ჯგუფის 12-მა წარმომადგენელმა კავკასია დაასახელა თავისთვის სრულიად მისაღებ მაიდენტიფიცირებელ ორიენტირად.

ვფიქრობთ, გამოკითხვის შედეგებით დადასტურდა თანამედროვე ქართული საზოგადოების სოციალურ-კულტურული ორიენტირების რყევის ფაქტი. გამოჩნდა, რომ ამ თვალსაზრისით მეტად სწრაფად იზრდება ზღვარი ასაკობრივ ჯგუფებს შორის იქაც კი, სადაც განათლების მეშვეობით მაინც უნდა იყოს ამ სხვაობის სიმკვეთრე შერბილებული. ენაში მკაფიოდ არის ასახული ადგილკუთვნილებისა და ამ ნიშნით კოლექტიური საზოგადოების ერთიანობის დასუსტების პროცესი; ახალგაზრდა თაობას არ ესმის მნიშვნელობა ან არ ესაჭიროება ისეთი ლექსიკის გამოყენება, რომელიც რეგიონულ თუ საქვეყნო ერთიანობაზე მიუთითებს; მას არც ოჯახის გარშემო არსებული საზოგადოებრივი პლასტები აინტერესებს. ის მობრაობს და მისთვის პრინციპული მნიშვნელობა აღარა აქვს, დაბრუნდება თუ არა საწყის წერტილში, ამიტომაც ამ „მისამართის" დამახსოვრებასაც არ ცდილობს.

---

[1] მვ. ქართულში **ეზო** უფრო ფართო შინაარსისა იყო, ვიდრე დღესაა: ეზო-Á _ სახლი; კარი; გადახურული ადგილი, ფარდა; ქსოვილის ნაჭერი, აფრა [იხ., ზ.სარჯველაძე, 2001].

[2] ყველა მაგალითი მოხმობილია „ქართლის ცხოვრების" სიმფონია ლექსიკონიდან (1986).

[3] შდრ.: მიწის საკუთრება, უმიწაწყლო, მიწები აქვს, მიწის დამუშავება, მიწათმფლობელი, მიწათმოქმედი, მიწური, დამიწებული/დაამიწა, მიწიერი...

[4] შდრ: ქვეყნიერება, საქვეყნო, ამქვეყნიური/იმქვეყნიური, გამოაქვეყნა, ქვეყანაზე გამოიყვანა, ქვეყანა არ გააცინო, ქვეყანა ხალხი მივიდა, ქვეყნის სასაცილო, ქვეყნის გასაკვირი, საიმქვეყნო, ტრიალი მინდორი, ტიალი ქვეყანა, იარა, იარა ცხრა მთა, ცხრა ქვეყანა გადაიარა.

[5] შდრ.: „**აქ** თითო ლერწი და თითო ყლორტი/ მასზე ოცნებას დაემგვანება, ისევ ამწვანდა მდელო და კორდი! / დავდივარ... ვწუხვარ და მენანება! (გალაკტიონი) ან:

" არსად ისე არ მღერიან, როგორც **აქ, ამ ქვეყანაში**" (გალაკტიონი).

[6] ქართულ ფრაზეოლოგიზმებში არსად არ ფიქსირდება ისეთი ერთობა, როგორიცაა „ჩვენში - ამიერკავკასიაში". უნდა ითქვას, რომ კავკასიონის ქედის სიმაღლისა და რუსეთის იმპერიის ორსაუკუნოვანი საგანგებო პოლიტიკის მიუხედავად, ქართულ ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში კავკასიური (ქედს იქით და ქედს აქეთ) იდენტობა და კავკასიის მთლიანობა დღემდეა დაცული.

[7] ცხადია, **მიდევნება (განდევნა)** მხოლოდ ნეგატიური შინაარსისა სულაც არ არის და არც **გან-** ზმნისწინსა აქვს რაიმე ძალადობრივი სემანტიკის გადმომცემი მარკერის ფუნქცია, მაგრამ ეს ორი კომპონენტი ერთად (ზმნისწინს+ძირი) ძალადობრიობის თანმხლები სემანტიკის განმაპირობებელია (მოთრეული, გადაჯიშებული)... საბოლოოდ კი მიიღება ლექსიკა, რომელშიც აშკარად ჩანს აგრესიული ქვეტექსტი.

[8] შდრ.: ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში (მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას საჯარო გამოსვლებში

ჟღერდა მიმართვა „**მამულიშვილნო!**", რომელიც მათი მოწინააღმდეგეების გამოსვლებში შეიცვალა ნეიტრალური მიმართვით - **მოქალაქენო!**..

ლიტერატურა:

1. სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენის სიტყვის კონა.- თბილისი,1987
2. ფოჩხუა ბ. თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი.- თბილისი,1987
3. "ქართლის ცხოვრების" სიმფონია-ლექსიკონი.- თბილისი,1986
4. Базылова Л. Средства репрезентации концепта "Дом" в русском и немецком языках: на материале романа А.Г. Битова "Пушкинский дом" и его немецкоязычного перевода, http://www.disszakaz.com/ sredstva reprezentatsii kontsepta dom v russkom i nemetskom yazikah na materiale romana
5. Кузнецова Э. Лексикология русского языка.- Москва, 1989
6. Лакофф Дж. Женщины, огонь и опасные вещи: Что категории языка гово¬рят нам о мышлении / Пер. с англ. И. Б. Шатуновского//Языки славянской культуры.- Москва,2004

ია გრიგალაშვილი

იაკობის ჟამისწირვისა და "წმინდა ჰაბოს წამების" ტექსტთა ურთიერთმიმართების საკითხისათვის

ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელება წმინდა ანდრიასა და სვიმეონ კანანელის სახელს უკავშირდება. მათი მოღვაწეობის შედეგია ჩვენში ადრეულ პერიოდში, უძველესი იერუსალიმური ქრისტიანული ღვთისმსახურების დამკვიდება. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავდა, წმინდა იაკობის ჟამისწირვა ქიროტონიისა და ქიროტესიის წესების გადმოცემისას მსგავსებას ამჟღავნებს მოციქულთა დადგენილებებთან. ეს კი მოწმობს ღრმა სიძველეზე რედაქციის ძირითადი ფენისა, რომელიც გამოცემულ ტექსტშია. Kკორნელი კეკელიძე მიიჩნევდა, რომ იერუსალიმური ეკლესიის ღვთისმსახურების ძეგლი ადრეულ პერიოდშივე უთარგმნიათ ქართულად [Древне-Грузинский ... 1912: 8].

იერუსალიმურ ეკლესიაში მოციქული იაკობის ლიტურგია XII საუკუნემდე გამოიყენებოდა, ასეთივე მოვლენას უნდა ჰქონოდა ადგილი საქართველოშიც. X საუკუნიდან საქართველოში ჩნდება ლიტურგიები კონსტანტინოპოლური რედაქციისა, თავდაპირველად ისინი თანაარსებობს წმინდა მოციქულ იაკობის ლიტურგიასთან ერთად. იმისათვის, რომ კონსტანტინოპოლური რედაქციები გაბატონებულიყო ღვთისმსახურებაში, თანდათანობით ავრცელებენ ტენდენციას, რომ იაკობის ლიტურგია არ არის სარწმუნო და გამოუსადეგარია ღვთისმსახურებაში (ეს ჩანს ალექსანდრიელი პატრიარქის მარკოზის კითხვიდან კანონისტ თეოდორე ბალსამონისადმი და ამ უკანასკნელის პასუხიდან [1]). იმავე ბრძოლას ჩვენ ვხედავთ საქართველოშიც. ამით აიხსნება თეოდორე საბაწმინდელის შეკითხვა ქართული ეკლესიის ცნობილი წარმომადგენლის, ეფთვიმე მთაწმინდელისადმი, რომელიც იმყოფებოდა იმჟამინდელი მართლმადიდებლური აღმოსავლეთის ქრისტიანული ცხოვრების ცენტრში. ექვთიმე მთაწმინდელისა და თეოდორე საბაწმინდელის კითხვა-მიგების ანალიზიდან გამომდინარე, კ. კეკელიძე ასკვნიდა, რომ წმინდა მოციქულ იაკობის ჟამისწირვა ქართულ და ბერძნულ ეკლესიებში გაბატონებული ყოფილა XI საუკუნემდე. ჩვენში X

საუკუნიდან აქტიურად დაუწყიათ იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ლიტურგიათა კონსტანტინოპოლური რედაქციების გამოყენება და თანდათან შემცირებულა იაკობის ჟამისწირვის გამოყენების შემთხვევები.

კ. კეკელიძის შენიშვნით, მოციქულ იაკობის ლიტურგიაში ბიზანტიელი იმპერატორების სია მთავრდება იუსტინიანე დიდით, ყველაზე გვიანდელი წმინდანები არიან პატრიარქები მოდესტი (+634) და სოფრონი (+644) და, საბოლოოდ, არ არის სიმღერები "მხოლოდშობილ ვაჟზე", რომელიც ჩნდება 536 წელს. ვფიქრობთ, იაკობის ჟამისწირვა ჩვენში უკვე ნათარგმნი უნდა ყოფილიყო IV-V საუკუნეებში და შეიძლება უფრო ადრეც, რადგან ქართულ ქრისტიანულ ეკლესიას აუცილებლად დასჭირდებოდა ლიტურგიის სახელმძღვანელო. "მოქცევაჲ ქართლისაჲ" და "წმინდა შუშანიკის წამების" ტექსტებიც იძლევა ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას. ცხადია, IV_V საუკუნეების ლიტურგია მკვეთრად განსხვავებულია I_II საუკუნეების საღვთისმსახურო წეს-განგებისაგან, რომლის ელემენტებს ვხვდებით "ქართლის მოქცევის" იმ ეპიზოდში, რომელშიც აღწერილია წმინდა ანდრია მოციქულისა და სვიმეონ კანანელის მიერ ქართველთა მოქცევა, ასევე ნიკიტა პაფლაღონიელის "წმინდა ანდრია მოციქულის მიმოსვლისა და ქადაგებების" ტექსტებში. "წმინდა კოლაელ ყრმათა წამების" ტექსტში ასახულია ლიტურგია II-III საუკუნეების საღვთისმსახურო პრაქტიკისა, რაც კარგად ჩანს, როგორც ყრმათა მონათვლის ეპიზოდიდან, ასევე მოძღვრის მიერ იმპროვიზაციით შესრულებული გალობიდანაც, რაც დამახასიათებელი იყო II-III საუკუნეების საღვთისმსახურო პრაქტიკისათვის. საყურადღებოა იმჟამინდელი ეკლესიის არქიტექტონიკაც, მას ჯერ კიდევ არ აქვს სტოა, ანუ მოსანათლ ყრმათა გასაჩერებელი ადგილი. ამიტომ არ რთავენ მათ ნებას, მოისმინონ ღვთისმსახურება ეკლესიაში.

იოვანე საბანისძის "წმინდა ჰაბოს წამების" ტექსტიდან ნათლად იკვეთება, რომ ჰაგიოგრაფს საკმაოდ ღრმად სცოდნია იაკობის ჟამისწირვის ტექსტი. როგორც აღნიშნულ ტექსტთა შედარებიდან ირკვევა, იოანე საბანისძის თხრობის რიტმი ენათესავება იაკობის ჟამისწირვის რიტმს, ხოლო "წამების" ლექსიკა ჟამისწირვის ზოგიერთი ლოცვის გავლენას განიცდის.

იოვანე საბანისძე "წმინდა ჰაბოს წამების" საკითხავში, როდესაც სარკინოზთა მძლავრებასა და თანამემამულეთა შიშზე საუბრობს, აღნიშნავს, რომ მორწმუნენი "ქრისტჱს სიყვარულითა და შიშითა, ჩუეულებისაებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთმინებითა, არა განეშორებიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა"[ძველი...1963: 50]. ჩვენი აზრით, ჰაგიოგრაფის მოსაზრება სათავეს იაკობის ჟამისწირვის ტექსტიდან იღებს. მღვდელი უფლისაგან ითხოვს, არა მხოლოდ ქების ცხოველმყოფელ მსმენელებად ჰყოს მორწმუნენი უფალმა, არამედ "მყოფელ საქმეთა კეთილთა სარწმუნოებით. ვშურებოდით უზაკველითა სლვითა უბიწოჲთა ცხორებითა."[Древне-Грузинский ... 1912: 17]

იაკობის ჟამისწირვის ტექსტის მიხედვით, მღვდელი უფალს ევედრება, დამწყსოს მისი ერი, აკურთხოს სამკვიდრებელი მისი და შეაძლებინოს მისი ნების აღსრულება: "ჩუენ ყოველნი შენსა ვიტყოდით მარად-დღე და და მცნებათა შენთა ვიდოდით [Древне -Грузинский ... 1912: 12]. სარწმუნოებით, მცნებათა დაცვით სვლა იოანე საბანისძისათვის გაიგივებულია "მამულისა ჩუეულებისაებრ სვლასთან".

იოანე საბანისძე აღნიშნავს, რომ ეკლესიაში წარმოითქმება "სიტყუანი იგი ცხორებისანი". "მუნ სამებისა წმიდისა იგი სარწმუნოებაჲ აღორძინდებინ, მუნ სწავლანი იგი სიტკბოებისანი, მუნ მოძღურებანი იგი მადლისანი, მამათმთავართა იგი შუენიერებაჲ, წინაწარმეტყველთა იგი დიდებანი, მოციქულთა ქადაგებანი, მოწამეთა მათ მოღუაწებაჲ, ქრისტჱსი იგი თავს-დებაჲ, ჩუენთჳს ვნებაჲ"[ძველი...1963: 51]. მსგავსი მიმდევრობაა დაცული იაკობის ჟამისწირვის ტექსტშიც. ეკლესია სიმბოლოა ზეციური იერუსალიმისა, სადაც ყოველივე, სულნი მართალთა, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მოწამეთა, ანგელოზები, ქერუბიმები და სერაბიმები ერთად ადიდებენ უფალს.

მღვდელი ამბობს ლოცვას: "ვითარცა ჭეშმარიტად ღირს არს და მართალ და შუენიერ და თანამდებ ვართ შენდა ქებად, შენდა გალობად, შენდა კურთხევად, შენდა დიდების-მეტყველებად, შენდა თაყუანისცემად, შენდა მადლობად რომელი ყოველთა დაბადებულთა ხილულთა და უხილავთა შემოქმედი ხარ საფასჱ, საუკუნეთა მათ

კეთილთაჲ, რომელი ხარ წყაროჲ ცხორებისაჲ ყოველთა ღმერთი და უფალი, რომელსა გიგალობენ ცანი და ცანი ცათანი და ყოველნი განწესებულნი ვარსკულავთანი, ქუეყანაჲ, ზღუაჲ და ყოველი რაჲ არს მას შინა იერუსალჱმი ზეცისაჲ კრებული ეკლესიაჲ პირმშოთაჲ რომელნი დაიწერნეს ცათა შინა: სულნი მართალთანი და წინაჲსწარმეტყუელთანი, სულნი მოციქულთანი და მოწამეთანი, ანგელოზნი ანგელოზთმთავარნი, საყდარნი, უფლებანი, მთავრობანი და ხელმწიფებანი და ძალნი ქერუბინნი მრავალ-თუალნი..."[Древне-Грузинский ... 1912: 33]

მოწამეთა მოსახსენებელი საკითხავიც იმისთვის იქმნება, რათა განდიდდეს სახელი უფლისა. წმიდა ჰაბო, ავტორის თქმით, მოწამეობრივი ღვაწლით ემსგავსება ანგელოზებს, მამათმთავრებს, მოციქულებს, მარტვილთ და მართალთ. "წმიდა ჰაბოს წამების" IV თავში ავტორი ქებას ასხამს წმიდა მოწამეს: "გიხაროდენ, გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ თუალით მხილველთა მათ და ჴელით მსახურთა წმიდათა მოციქულთა ქრისტჱსთა უხილავად სარწმუნოებით და სიმხნით აღსარებითა ნეტარებაჲ მოიგე.

რამეთუ შენ მამამან ზეცათამან მხოლოდ შობილისა ძისა თჳსისა მიერ გჳრგჳნოსან გყო და სულისა წმიდისა მადლითა აღგავსო!

შენ ძემან მამისა მიერ შეგიწყნარა და სულმან წმიდამან გადიდა!

შენ სულმან წმიდამან შეგიყუარა და მამისა და ძისა თანა ერთობით თჳსთა პატივ-გცა და ღუაწლისა მძლედ გამოგაჩინა!

შენ ზედა განუკვირდა ანგელოზთა წესსა, რამეთუ ვითარცა უხორცომან დაითმინე სიკუდილი ქრისტჱსთვის.

შენ ზედა მამათ მთავარნი იხარებენ, რამეთუ ნეტარმან აბრაჰამ თჳსთა ნაშობთაგანნი შეგიწყნარა წიაღთა თჳსთა ქრისტესთჳს, რომელი-იგი კარავთა თჳსთა შეიწყნარა და მისგან მრავალთა ნათესავთა გამოჩნდა მამად.

შენ ქრისტჱს მოწამეთა მათ ნაყოფ ექმენ და მოციქულთა მოწაფე!

შენ მოწამეთა მათ შორის ზეცისა მეუფისა მას მატიანსა სახელით დაიწერე და მარტჳლთა თანა გჳრგჳნოსან იქმენ!

შენ აღმსარებელთა მათ თანა განეწესე და მართალთა თანა დიდებულ ხარ!" (ხაზი ჩვენია-ი.გ.) [ძველი... 1963: 49].

მოწამის შექებისას მოსალოდნელი იყო, რომ ავტორს მამამთავართა შემდეგ ეხსენებინა წინასწარმეტყველნი, მაგრამ იოვანე საბანისძე ასახელებს მოციქულებს, მაშასადამე, ერთი შეხედვით, დარღვეულია ფრესკათა იერარქიული თანამიმდევრობა, მაგრამ აქ ისაა გასათვალისწინებელი, რომ, როდესაც იწერებოდა "წმინდა ჰაბოს წამება", იმ პერიოდში უნდა მომხდარიყო ფრესკათა იერარქიული განლაგების პრინციპთა დადგენა. იოვანე საბანისძისთვის ასეთი ლიტერატურა კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. ერთ-ერთ წყაროს იოვანე საბანისძისათვის, სავარაუდოდ, წარმოადგენდა იაკობის ჟამისწირვის ტექსტი. საგულისხმოა, რომ ოთხთა ეკლესიაში მღვდელმთავართა და წინასწარმეტყველთა გამოსახულებანი ერთ რიგში მოუთავსებიათ [ამირანაშვილი, 1961: 203]. ეს კი მოწმობს, რომ თანდათანობით უნდა მომხდარიყო თეორიული საფუძვლის შემზადება ფერწერის კანონიკის დადგენისათვის.

იოვანე საბანისძე ჰაგიოგრაფიული საკითხავის I თავში სიმბოლოთა განმარტების შემდეგ მიმართავს ეკლესიის მრევლს: "ხოლო ესე არათუ რაიმე თავით თჳსით განგიმარტე, თქუენ, საყუარელნო და ქრისტჱს მოყუარენო და სწავლის მოღუაწენო, არამედ წამებითა წიგნთაგან საწინასწარმეტყველოთა და მოციქულთა ქადაგებისაებრ, წმიდათა სახარებათა წერილნი და ნეტართა მამათა მოძღუართა მიერ განსაზღვრული სარწმუნოებაჲ"[ძველი...1963: 55].

იოანე ქონქოზისძის საგალობლის მიხედვით, "აბო არის ქრისტეს ქადაგი, ქრისტეს ვნებათა ზიარი, ნეტარი, მხნე, მხსნელი, ყოვლად ქებული, ღირსი, მოწამეჲ ქრისტეს ვნაბათაჲ, ქალდეველთა ქვეყნიდან გამოსვლით მამამთავრის მსგავსი, აბრაჰამის ჭეშმარიტი შვილი, განშუენებული გჳრგჳნითა დაუჭნობელითა, მაცხოვრის მიერ ძლევის გვირგვინმინიჭებული, სულის განწმენდით ღმრთის ხატების შემამკობელი, ჯჳვარცმულისათვის შეწირული. პავლეს მსგავსად იგი სამსჯავროზე წარადგინეს და

"უშჯულომან მძლავრმან განიჩინა სიკუდილი საწადელი". აბომ მიიღო სასუმელი განმაცხოველებელი მახჳლითა და "გონებით მიიცვალა უზესთაესსა ცხორებასა წმიდათა..."[სულავა 1999: 34].

ხაზგასმულია აბოს მსგავსება უცხო ქვეყნიდან მოსვლით აბრაჰამთან და მოწამეობით წმიდა მოციქულ პავლესთან როგორც "წმიდა ჰაბოს წამებაში", ასევე იოვანე ქონქოზისძის საგალობელში.

საგულისხმოა, რომ "წმინდა კონსტანტი ქართველის ცხორებასა და წამების" შესავალშივე ავტორი თანმიმდევრულად ასახელებს ბიბლიის წიგნებს, რომელნიც ეკლესიაში წასაკითხავადაც ყოფილა განკუთვნილი. ამასთან ერთად იგი აღნიშნავს ამ წიგნთა მნიშვნელობას მორწმუნეთათვის: "საყუარელნო, განცხადებულ არს ყოველთათჳს, ვითარმედ არავინ ყო აღწერაჲ იგი წიგნთაჲ გარნა მადლითა სულისა წმიდისაჲთა, რამეთუ დიდმან მან მოსე, პირველად იწყო აღწერად შესაქმისა ცისა და ქუეყანისა, რომელ არასადა ეხილვა, არამედ უწყებითა სულისა წმიდისაჲთა აღწერა იგი ვითარცა თუალითა ხილული. და მისა შემდგომად აღწერნა სხუანიცა წიგნნი, რომელთა შინა აუწყა გამოსლვაჲ იგი ძეთა ისრაჱლისათაჲ შემდგომითი შემდგომად ვიდრე აღსრულებადმდე მისა.

მერმე აღიწერნეს თქმულნი იგი წინასწარმეტყუელთანი, რომელსა ქადაგებდეს მოსვლისათვის უფლისა ჩუენისა ქრისტჱსსა და ჴორციელად ღუაწლისა მისისათჳს. ხოლო შემდგომად მოსვლისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა აღიწერნეს ოთხნი ესე ევანგელენი, რომელთაგან ეხარების ნათესავთა მომავალთა მოსლვაჲ იგი უფლისაჲ და განგებულებაჲ მისი ჴორცითა მით, რომელ-იგი მიიხუნა ქალწულისა მარიამისაგან წყალობისათჳს ჩუენისა. და ამისა შემდგომად საქმენი მოციქულთანი, ვითარ-იგი მოჰვლიდეს ყოველსა სოფელსა და ახარებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა, და მრავალთა რწმენა მათი და "ნათელ-იღებდეს სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა."

ხოლო მარადის მტერი იგი და მოშურნჱ არა ვინაჲ დაცხრა წინააღდგომად ჭეშმარიტებისათვის, და აღაზრზინნა მეფენი მის ჟამისანი და იგინი აიძულებდეს

მორწმუნეთა მათ მსახურებად კერპთა თჳსთა. ხოლო რომელნი არა ერჩდეს მათგანნი, მოსწყუედდეს მათ პირითა მახჳლისაჲთა და ცეცხლითა დასწუვიდეს" [ძველი...1963: 164-165]. ავტორის თქმით, მორწმუნეებს დაუწყიათ წმინდანთა ცხოვრების აღწერა, მათი მიბაძვით აღუწერია "ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა კონსტანტისი".

ჰაგიოგრაფის მიერ ბიბლიის იმ წიგნების დასახელება, რომლებიც გამოიყენება საღვთისმსახურო საკითხავებად ეკლესიაში, შესაძლოა იმ ფაქტზე მიანიშნებს, რომ სწორედ ღვთისმსახურების ღრმა შინაარსს დაეფუძნა ფრესკების იერარქიული თანმიმდევრობის დაცვის საეკლესიო მხატვრობის პრაქტიკა.

იაკობის ჟამისწირვის ტექსტის "წმინდა ჰაბოს წამების" ტექსტთან შედარებაც ცხადყოფს, რომ "წამებაში" გადმოცემულ თემათა ნაწილი, ერთი მხრივ, ირეკლავს საღვთისმსახურო პრაქტიკის ელემენტებს, მეორე მხრივ კი, უსწრებს საეკლესიო ფერწერის განვითარების მომდევნო ეტაპს (IX_X სს.).

წმინდა იაკობის ჟამისწირვის ტექსტის მოგვიანო პერიოდის რედაქტორები ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლის, მარკოზ და ლუკა მახარებლების, წინასწარმეტყველების, მართალთა და პირველმოწამეთა გვერდით მოიხსენიებენ წმ. გიორგის, წმ. თეოდორეს, წმ. ევსტათის, წმ. კვირიკეს, წმ. ივლიტას, წმ. ბარბარას, ორმეოც მოწამესა და წმინდა აბოს. აქვე გავიხსენოთ სამოელ ქართლის კათოლიკოზის სიტყვები იოვანე საბანისძის მიმართ წარმოთქმული: "ჩუენ თჳთ უწყით წადიერებაჲ შენი ღვთის მსახურებისათვის და ღვთივმიმადლებული შენი მეცნიერებაჲ საღმრთოთა წიგნთაჲ და გულსმოდგინებაჲ შენი კეთილთა საქმეთმოღუაწეობაჲ შენი" [ქრონიკები... 1892: 73] უნდა ვივარაუდოთ, რომ, თუ რედაქტორი არა, იოვანე საბანისძე იაკობის ჟამისწირვის ტექსტის ერთ-ერთი აქტიურად გამომყენებელი სასულიერო პირი უდავოდ უნდა ყოფილიყო.

ბიბლიურ პირთა გამოსახვა გარკვეული თანმიმდევრობით მორწმუნეს აზიარებდა ზეციურ სამყაროსთან: "მთლიანობაში ტაძრის მოხატულობა სიმბოლურად გამოხატავდა იდეას მარადიული ეკლესიის შესახებ. ის აერთიანებდა თავის თავში

მამამთავრებს, წინასწარმეტყველებს, მოციქულებს, ეკლესიის მამებს, წმინდანებს, მოწამეებს _ ყველას, ვინც წინასწარმეტყველებდა ეკლესიის გამარჯვებას, ვინც მისთვის იბრძოდა, ვინც მონაწილეობდა მის განმტკიცებაში. ეს სახეები შეთანადებულია ურთულესი იერარქიული წესრიგით და დასრულებულია პანტოკრატორის ნახევარფიგურით, რომელიც გუმბათს ამშვენებს" [Лазарев, 1986: 63]. ბიზანტიურ ეკლესიათა გუმბათში ხშირად პანტოკრატორია გამოსახული, ქართულში _ ჯვრის ამაღლება. თუმცა, ფრესკათა იერარქიული განლაგების სქემა იდენტურია.

სტეფანე მტბევრის "წმინდა გობრონის წამებაში", რომელიც X საუკუნის დასაწყისშია შექმნილი, საკითხავის კომპოზიცია ისეა აგებული, რომ მთავარი გმირი მოწამეობით თვით იესო ქრისტეს ემსგავსება. საკითხავის შესავალშივე აღნიშნულია განსაცდელის სულიერი მნიშვნელობა უფლის ერთგული მორწმუნის რწმენაში გასაძლიერებლად. წმინდა გობრონი მამამთავრების, იოსებისა და იობის, მსგავსად უფლისგან მოვლენილ განსაცდელს ღირსეულად გაუძლებს. იგი წინასწარმეტყველ დავითის მსგავსად ებრძვის ურწმუნოებს. ყველისციხესთან არაბების წინააღმდეგ ბრძოლისას ქართველმა დიდებულმა მიქაელმა, წმინდა მოციქულთა, პეტრესა და პავლეს მსგავსად სახელი იცვალა. მას თავდაპირველად „მიქაელ" ერქვა, შემდეგ „გობრონ" ეწოდა. „გობრონი" ებრაული წარმოშობის სიტყვაა და განიმარტება „ძალად", რაც უფლის ერთ-ერთი სახელია. მოწამისათვის სახელის წოდება სულიერ ფერიცვალებას, ახალ საფეხურზე ასვლას მოასწავებს. როდესაც სისხლით შუბლზე ჯვარგამოსახული მოწამე იხილა, „წამა ადარნასე მეფემან ჭეშმარიტი მარტვილობაჲ მისი, ვითარცა გიორგისი და თეოდორესი"[ძველი...1963: 182]. წმინდა გობრონი დიდმოწამეთა გვერდით მოიხსენიება. ამგვარად, საეკლესიო საკითხავში მოწამის შედარებისას ბიბლიურ პირებთან იქმნება სქემა, რომელიც შეესაბამება X საუკუნიდან ინტენსიურად დამკვიდრებულ ქრისტიანული საეკლესიო ფერწერის კანონიკას. საკითხავში გმირთა იერარქიული განლაგების სქემა ასეთია:

1. ქრისტე-ძალი (წმიდა გობრონის სახელში გაცხადებული);

2. მთავარანგელოზები _ მიქაელი და გაბრიელი (მათ სახელებს წმინდანის ეტიმოლოგიაში ვხვდებით).
3. მამამთავარნი (იოსები, იობი, აბრაჰამი, მოსე);
4. წინასწარმეტყველნი (დავითი, ესაია, იერემია, დანიელი);
5. მოციქულნი (პეტრე და პავლე);
6. დიდმოწამენი (წმიდა გიორგი და წმიდა თეოდორე);
7. წმიდა გობრონი (ასევე დასი წმინდანებისა, 133 მოწამე).

საგულისხმოა, რომ „წამების" ავტორი ზოგჯერ პირდაპირ არც უთითებს ამ მსგავსებაზე, თუმცა, მოწამის შედარება აღნიშნულ პირებთან ავტორის მიერ წინასწარ განსაზღვრული მიზნითაა განპირობებული. ამ პერიოდში ეკლესიათა მოხატვა უფრო მაღალ საფეხურს აღწევს, მდიდრდება თემებით და, ბუნებრივია, საეკლესიო საკითხავში ეს ახალი ტენდენციები ძალუმად იჩენს თავს.

„წმინდა გობრონის წამებაში" ისევე, როგორც სხვა ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, მეორდება ბიბლიური თემები, რომელთა სიმბოლურ-ალეგორიული ასახვა ღვთისმსახურებისას შესასრულებელი ლოცვათა შინაარსიდან უნდა იღებდეს სათავეს. სამყაროს შექმნა, ადამიანთა ცოდვითდაცემა, სინანული სამოთხის დაკარგვის გამო, იესოს მოსვლის წინასწარმეტყველება, მისი ამქვეყნად მოვლინება, ჯვარცმა, ამაღლება და მეორედ მოსვლის მოლოდინი _ ის თემებია, რომელთაც ვხვდებით შუა საუკუნეთა სასულიერო მწერლობაში. სტეფანე მტბევარ-ეპისკოპოსის მიერ შექმნილი საკითხავი უფლის ხსენებით იწყება, შემდეგ განსაცდელთა ღირსეულად დათმენის მაგალითებსა და ადამიანთა ცოდვითდაცემაზე მახვილდება ყურადღება. Hაგიოგრაფი, ვიდრე წმინდა გობრონის მოწამეობის შესახებ მოუთხრობდეს მკითხველსა და მსმენელს, ქრისტეს მეორედ მოსვლის სურათს წარმოუდგენს. მნათობები დაშრტებიან, ცანი დაიქცევიან, ბუნებაში უამრავი მეტამორფოზა მოხდება, როდესაც დაინახავენ ქრისტეს, ჯვრით მომავალს. წმინდა გობრონი მოწამეობით თვით იესოს ემსგავსება. მისმა მოწამეობამ მეორედ მოსვლის ჟამის დადგომის გარდაუვალობაზე უნდა დააფიქროს მორწმუნეები. გასათვალისწინებელია, რომ ტაძართა მოხატულობებში

დასავლეთ კედელზე მეორედ მოსვლის თემის გამოსახვა მორწმუნეებს იმაზე მიანიშნებდა, რომ მათ საშინელი სამსჯავროს შესახებ მარად უნდა ხსომებოდათ.

ზოსიმე მთაწმინდელის ილარიონ ქართველისადმი მიძღვნილ საგალობელში წმინდანის ზეციურ დასთან მიახლება აგრეთვე ფრესკათა იერარქიულობის პრინციპთა დაცვითაა გადმოცემული: „ნუ დამივიწყებ, მამაო ნეტარო ილარიონ, სამწყსოთა ამათ შენთა წინაშე ქრისტეს მხსნელისა დედასა თანა ცათა მეუფისასა და ყოველთა წმიდათა ზეცისა უხორცოთა, წინასწარმეტყუელთა და საღმრთოთა მოციქულთა, ნეტართა მღდელმოძღუართა, მამათა და მარტჳლთა, რომელთა თანა აღრაცხილ ხარ, რათა დაგვიცვენ განსაცდელთაგან" (ხაზგასმა ჩვენია-ი.გ) [ათონის ... 1901: 184].

„მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაში" ერთგვარი ახსნა-განმარტებაა მოცემული იმის შესახებ, რომ მორწმუნეებმა უნდა გაითავისონ წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მახარებელთა თქმული. „ღმერთმან განაწესა ეკლესიათა შინა პირველად მოციქულნი, მეორედ წინასწარმეტყუელნი, მესამედ მოძღუარნი დამამტკიცებლად მორწმუნეთა და ჰრქუა წმიდასა სახარებასა შინა მოწაფეთა და მათ მიერ ყოველსა სოფელსა: რომელსა ესე თქუენ გეტყჳ ყოველთა ვეტყჳ: "რომელმან შეგიწყნარნეს თქუენ მე შემიწყნარებს. და რომელმან თქუენ შეურაცხგყვნეს მე შეურაცხმყოფს." ამის სიტყჳსაგან საცნაურ არს ვითარმედ რომელი არა შეიწყნარებდეს მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა და მოძღუართა, არამედ შეურაცხყოფდეს მათ მიერ განწესებულთა და დამტკიცებულთა სიტყუათა, თავადსა ქრისტეს შეურაცხყოფს" [ქართული... 1918: 80].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: 1. იოვანე საბანისძე კარგად იცნობდა იაკობის ჟამისწირვის ტექსტს და მისი გავლენით „წმინდა ჰაბოს წამების" წერისას აგებდა ფრაზებს. მან ბიბლიურ სახეთა სისტემა შესთავაზა მოწამის მათთან მიმდევრული შედარების გადმოცემისას, რაც სავსებით შეესაბამება მოგვიანო ხანაში, კერძოდ, X საუკუნიდან ქრისტიანულ საეკლესიო მხატვრობაში აღმოცენებულ ფრესკათა იერარქიულობის პრინციპებს. 2. იაკობ მოციქულის ჟამისწირვის ტექსტში სხვა წმინდანთა შორის დასახელებულია წმ. აბო, რაც გვიანდელი ხანის რედაქტორის მიერ უნდა იყოს ჩამატებული. 3. ფრესკათა იერარქიულობის პრინციპები, რომელიც

გადმოცემულია როგორც "წმინდა ჰაბოს წამებაში", ასევე სხვა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებსა და ჰიმნოგრაფიაშიც, სათავეს წმინდა იაკობის ჟამისწირვის ტექსტიდან უნდა იღებდეს.

---

[1] იხ. Migne-Patr.Curs. compl. t.119 col.1033

ლიტერატურა:

1. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით.- თბილისი, 1901
2. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია.- თბილისი, 1961
3. სულავა ნ. იოვანე ქონქოზისძე, საქართველოს მეცნ. აკად. მაცნე,ენისა და ლიტერატურის სერია. #1-4.- 1999
4. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. / შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტფილისი, სტამბა მ. შარაძისა, 1892
5. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ნაწილი I. კიმენი I. იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის თვეთა ტექსტები.-ტფილისი,1918
6. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-X სს.), / დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით.- თბილისი,1963
7. ДревнеГрузинский архиератикон.- Тифлис,1912
8. Лазарев В. Н. Лазарев В. Н. История византийской живописи.- Москва,1986
9. Jacques Paul Migne. Patrologiæ cursus completus [Series Graæca]. Volume 119. Publisher Apud Garnier Fratres et J. P. Migne Successores, 1881

ნატო სონღულაშვილი

რეგიონალური იდენტობა: საქართველოს ცენტრი და პერიფერია (1900-1917)

ნაციონალური იდენტობის საკითხი ძირითადად ერისთვის დამახასიათებელ საყოველთაოდ ცნობილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით განიხილება. ესენია: ენა, რელიგია, ისტორიული მეხსიერება, ტრადიცია, ტერიტორია და ამასთან, მნიშვნელოვანია საზოგადოების მიერ თითოეული მათგანის აღქმის თავისებურებანი. ბუნებრივია, აღნიშნულის გააზრება უნდა მოხდეს ეპოქის მოთხოვნებიდან, სულისკვეთებიდან გამომდინარე, რადგან საუკუნეების განმავლობაში საზოგადოების ცნობიერება გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ამიტომ ზემოთ აღნიშნულთან ერთად ქართული, ეროვნული იდენტობის გააზრებისათვის მნიშვნელოვანია ეპოქის, სოციალურ ფენათა ცნობიერების ცვალებადობის გათვალისწინება და ცენტრისა და პერიფერიის ჩართულობის შეფასება ქართველი ერის განვითარების გზაზე [სონღულაშვილი, 2011: 297].

1900-1917 წლების საქართველოს ისტორიის სრულყოფილად შესასწავლად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აღქმის თავისებურებების შეფასება. ქართული სინამდვილის აღსადგენად აუცილებლობას წარმოადგენს, როგორც სხვადასხვა სოციალური ფენების თუ ჯგუფების დამოკიდებულების გარკვევა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ-რელიგიურ პროცესებთან, ასევე, აღნიშნულ პროცესში ცენტრის და პერიფერიის, ანუ ქალაქის და სოფლის, ჩართულობისა და როლის შეფასება.

1900-1917 წლები მეტად რთული და მრავალმხრივ საინტერესო პერიოდია. აღნიშნულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. 1. ერთი მხრივ, ეს არის XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან შექმნილი მოვლენების იდეური გაგრძელება, როდესაც თერგდალეულების ე.წ. მემკვიდრეები ცდილობენ ნაციონალიზმის პროპაგანდას, ცოდნის ამაღლებას, ქვეყნის ისტორიის გაცნობას, წარსულის იდეალიზებას, ეროვნული ფასეულობების დაცვის შეგნების გაღვივებას. 2.

რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის II ნახევრიდან, მკვიდრდება კაპიტალიზმი და, ბუნებრივია, საქართველოში, როგორც რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფ ქვეყანაში, გავრცელებას იწყებს ახალი ეკონომიკური სისტემა, რომელმაც ხელი შეუწყო არა მხოლოდ ეკონომიკური ფორმების შეცვლას, არამედ მთელი რიგი გარდაქმნებიც გამოიწვია პოლიტიკურ ცხოვრებაში და საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერების რადიკალურად შეცვლა განაპირობა. რაც მთავარია, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მთავარი მიზანი ხდება გლეხის უფლებების დაცვა, მისი ფუნქციების გამოკვეთა. 3. `*XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდება კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი ახალი სოციალური ფენები: პროლეტარიატი და ბურჟუაზია, ყალიბდება სხვადასხვა პოლიტიკური პარტია, რომელთაც თავისუფლების მოპოვების და საქართველოს სამომავლო განვითარების საკუთარი ხედვა გააჩნდათ. თითოეული მათგანი ცდილობდა სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლების ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში*~ [სონღულაშვილი, 2011: 299].

XIX საუკუნის I ნახევარში ანტირუსული აჯანყებების წარუმატებლად დასრულების შედეგად ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა დარწმუნდა იმ ეტაპზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის უპერსპექტივობაში. `*XIX საუკუნის II ნახევრიდან იწყება ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი. შეიარაღებული გამოსვლები ადგილს უთმობს იდეოლოგიურ ბრძოლას, სათანადო შეგნების გაღვივებას მოსახლეობაში, რასაც მთელი ქართველი საზოგადოება უნდა შეემზადებინა კოლონიური უღლის მოსაშორებლად*~ [მალაზონია, 2001: 4]. XIX საუკუნის II ნახევრიდან კაპიტალისტური ურთიერთობის ფართოდ გავრცელებამ სამრეწველო-ტექნიკური პროგრესის განვითარებას შეუწყო ხელი. აქედან გამომდინარე, ქართველი ინტელიგენციისათვის ნათელი გახდა, რომ სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში აუცილებელი იყო სამეურნეო-ტექნიკური როლის წინა პლანზე წამოწევა და სასწავლო პროგრამაში შეტანა.

ეროვნული პრობლემის კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, როგორ აღიქვამს და რა დატვირთვას ანიჭებს კულტურული და პოლიტიკური ელიტა ცენტრსა და პერიფერიას, ანუ ქალაქსა და სოფელს, 1900-1917 წლებში. ეს ის პერიოდია, როდესაც, ერთი მხრივ, განვითარების ახალ სტადიაში შედის კაპიტალისტური სისტემა და იცვლება სამეურნეო-სამრეწველო ტექნიკა, ყალიბდება ახალი სოციალური სტრუქტურა და, მეორე მხრივ, რუსეთის ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკა კულმინაციას აღწევს და ქართულ კულტურას, ეროვნულ ტრადიციებს და ეროვნულ ცნობიერებას გარუსების საფრთხე ემუქრება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ქალაქისა და სოფლის ცალკეულ საკითხებზე არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება. ქალაქისა და სოფლის ჩამოყალიბების, განვითარებისა და ურთიერთობის საკითხი არაერთი მეცნიერის კვლევის საგანი გამხდარა და თითოეული პრობლემა სხვადასხვა კუთხით არის შესწავლილი. თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის ჩართულობის წარმოჩენა ეროვნული იდეის განვითარების პროცესში.

საუკუნეების განმავლობაში ქალაქმა განვითარების სხვადასხვა საფეხური განვლო, თუმცა, ფაქტი ერთია: სხვადასხვა ეპოქაში ქალაქს თავისი პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური დატვირთვა ჰქონდა. 1900-1917 წლებში ქალაქის ცხოვრება ახალ განზოგადებას იძენს: გარდა იმისა, რომ კაპიტალიზმის პირობებში ქალაქს ახალი ეკონომიკური ფუნქცია მიენიჭა, იგი გახდა კულტურული ცენტრი, პოლიტიკური და კულტურული ელიტის მთავარი დასაყრდენი საკუთარი იდეების და შეხედულებების რეალიზაციისათვის. სწორედ ქალაქიდან იწყება ეროვნული იდეების პროპაგანდა სოფლის მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა 1908 წლის გაზეთ `მერცხლის~ სტატია ქალაქზე. ავტორი ხაზს უსვამს ქალაქის როლს თანამედროვე ცხოვრებაში. მისი აზრით, ქალაქი ტონს აძლევს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამასთან `*ქალაქს დიადი გავლენა აქვს პროვინციის ცხოვრებაზე არა მარტო ეკონომიკური მხრით, არამედ იგი ღრმა დაღს აჩნევს და ასეთ თუ ისეთ მიმართულებას აძლევს, ასეთ თუ ისეთ სულს ჰბერავს სოფლის ცხოვრებას. აგრეთვე სოციალური,*

კულტურული და პოლიტიკური საქმე, ყოველი ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა თუ სოციალური მოძრაობა პირველად ქალაქში იჩენს ხოლმე თავს, იქ იკიდებს ფეხს და მხოლოდ შემდეგ თანდათან გადადის და ვრცელდება სოფელშიაც. რაც უფრო ცოცხლად ფეთქს კულტურულ-პოლიტი-კური ცხოვრება თუ სოციალური მოძრაობა ქალაქში, მით უფრო მეტი სოცოცხლე ემჩნევა ცხოვრება-მოძრაობას სოფელშიაც, და პირიქით, რაც უფრო შეფერხებული და მოდუნებულია ცხოვრება-მოძრაობა ქალაქში, მით უფრო გაყინულია იგი სოფელშიაც~ [მეთაური..., 1908:
1].

1900-1917 წლების საქართველოში ქალაქებს ახალი მნიშვნელობა და დატვირთვა ენიჭება. შემთხვევითი არ არის, რომ ის მთავარი ცენტრია, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს სოფელთან დაკავშირება და მოსახლეობასთან დაახლოვება. ქართული ინტელიგენცია სწორედ მათი დახმარებით იმედოვნებს განახლებული ცხოვრების სტილის შეტანას სოფელში, მოსახლეობის გათვითცნობიერებას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას. ასევე ქალაქებში იხსნება მრავალი სასწავლო დაწესებულება, რომლებშიც, განათლების მიღების გარდა, კულტურული ელიტა საზოგადოების ფართო ფენებში ეროვნული ცნობიერების ამაღლებას ცდილობდა. ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქი ახალ ეპოქაში ახალი მოთხოვნებისა და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. გაზეთი `სამშობლო~ 1916 წელს წერდა: *`პოლიტიკურად ქალაქს ყოველთვის პროგრესიულ-დემოკრატიული მნიშვნელობა ჰქონია. სოფელი უფრო მცირერიცხოვანი, განმარტოებული და უძლური იყო და, მაშასადამე, მისი დამორჩილება და დამონება უფრო ეადვილებოდათ ხოლმე დესპოტებს. ამიტომ ძველ დროში პოლიტიკურ-სოციალური თავისუფლება მხოლოდ მთათა სოფლებსღა შერჩენოდათ. ქალაქი კი ამ მხრით იგივე მიუვალი მთა იყო, რადგან, ჯერ ერთი, ხალხის სიმრავლეს შეიცავდა და, მეორე, უკეთესი საომარი იარაღი და სიმაგრე მოეპოვებოდა, ვიდრე სოფელს. ამიტომ სამოქალაქო თავისუფლებათა სიმტკიცე ქალაქებში იშვა და გაიზარდა~* [*წერეთელი,* 1916: 2].

1900-1917 წლებში განათლებისა და სასწავლო დაწესებულებების მნიშვნელობა მეტად გაიზარდა. სწორედ მათი საშუალებით ცდილობს და ნაწილობრივ ახერხებს კიდეც კულტურული და პოლიტიკური ელიტა საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობას თითქმის ყველა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხში. ამ მოვლენებს, არც ქალაქის და სოფლის მოსახლეობა ჩამორჩება. კაპიტალისტური სისტემის დამკვიდრებამ საქართველოში ხელი შეუწყო ახალი ეტაპის დაწყებას ეკონომიკური თუ კულტურულ-პოლიტიკური თვალსაზრისით. კაპიტალიზმის მეშვეობით ქალაქი და სოფელი უფრო მეტად დაუკავშირდა ერთმანეთს და მათ შორის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა დამყარდა. ამ ყოველივემ თავისი გავლენა იქონია კულტურის განვითარებაზეც. სწორედ ამით აიხსნება ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილის მიზანმიმართული მოღვაწეობა, გაეხსნათ ახალი სკოლები, რომლებიც, გარდა ზოგადი ინტელექტის ამაღლებისა, ეკონომიკური ცოდნის მიცემასაც შეუწყობდა ხელს. ეს ყოველივე დადებითად აისახებოდა ქვეყნის მდგომარეობაზე. *`სკოლა თანამედროვე განვითარების აუცილებელ იარაღად გადაიქცა, თანამედროვე კაპიტალიზმს სჭირია ხალხის მაღალი განათლება, ვინაიდან უამისოდ მსხვილი წარმოების რთული მართვა-გამგეობის აპარატი ვერ იმუშავებს. ამას საჭიროებ, როგორც ქალაქის ფაბრიკის პროლეტარი, ისე სოფლის გლეხი და სოფლის მუშა~* [შვარცი, 1906: 2].

განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა თბილისს და ქუთაისს, რომლებიც მთავარი ცენტრები იყვნენ ეროვნული იდეის ქადაგების თვალსაზრისით. ფაქტობრივად აქ იყრიდნენ თავს კულტურული და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები. სწორედ აქ ეყრებოდა საფუძველი მრავალ ორიგინალურ იდეას, რომლებიც შემდეგ საზოგადოების ფართო ფენებში ვრცელდებოდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის ბოლოს თბილისს არ ჰქონდა ის კულტურული მნიშვნელობა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისიდან შეიძინა. ქართული ინტელიგენტური ძალების აქტიური მოღვაწეობისა და იმ ეროვნული პროგრამის შედეგად, რომელსაც საფუძველი XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩაეყარა, საზოგადოების ცნობიერება რადიკალურად შეიცვალა და, ბუნებრივია, ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს ცალკეული ქალაქები და, მათ შორის, თბილისი იყო. გაზეთი `თანამედროვე აზრი~ 1916 წელს წერდა: *`თფილისი*

ერთად ერთი ცენტრია, სადაც თავმოყრილია სოციალური და იდეური ცხოვრების ყველა ძაფები. ქუთაისი კი, როგორც წვრილბურჟუაზიული და გლეხური პროვინციის დედაქალაქი, იდეურად მხოლოდ თბილისიდან იკვებება~ [სოფელი..., 1916: 1]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ კაპიტალიზმის ეპოქის საქართველოში ქალაქი მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს და, რაც მთავარია, ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინებისა და ეროვნული ფასეულობების შენარჩუნების თვალსაზრისით ქალაქს ახალი სიტყვა უნდა ეთქვა. ამასთან, ქალაქის მთავარ ეკონომიკურ ცენტრად გახდომის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ამ მონაპოვრის შენარჩუნება და ახალი მიმართულებით აღორძინება. ფაქტობრივად, საქართველოს ისტორიიდან გამომდინარე ეს იყო ახალი ეპოქის დასაწყისი სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით. ფეოდალური სისტემის დარღვევის შემდეგ კაპიტალიზმმა საქართველოშიც შემოაღწია და სერიოზული პრობლემების მიუხედავად XX საუკუნის დასაწყისში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. სწორედ ამით აიხსნება ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მხრიდან მუდმივი მოწოდებები საქალაქო ცხოვრების აღორძინებ- ულიყო და გაზრდილიყო სხვადასხვა სოციალური ფენის ჩართულობა.

ქართული ტრადიციებიდან და ისტორიიდან, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე სოფელი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა საქართველოს ცხოვრებაში. როგორც ცნობილია, საქართველო საუკუნეების განმავლობაში მიწათმოქმდების ქვეყნად მიიჩნეოდა. ახალ ეპოქაში, ბუნებრივია, აუცილებლობას წარმოადგენდა ტრადიციების შენარჩუნება და გაგრძელება. ამასთან, დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გამოწვევების გათვალისწინებაც საჭირო იყო.

ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთ მთავარ მიზანს სოფლის აღორძინება და გლეხური მეურნეობის ახალ სტანდარტებზე გადასვლა წარმოადგენდა. ფეოდალიზმის ეპოქაში მებატონისა და გლეხის ურთიერთობა აგებული იყო ეკონომიკურ პოლიტიკაზე და გლეხი მათ უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ამავე დროს ყველას გაცნობიერებული ჰქონდა საკუთარი ფუნქცია; ყველა მორგებული და მიჩვეული იყო

არსებულ სისტემას; რომელიც დამკვიდრებული იყო. ბატონყმობის გაუქმებამ და კაპიტალისტური წყობის დამკვიდრებამ შეცვალა არსებული ვითარება. ეკონომიკური ურთიერთობის შეცვლამ დიდი გარდატეხა შეიტანა გლეხის ცნობიერებაში. ფეოდალიზმის ეპოქა დასრულდა და საჭირო იყო, გლეხი ჩართულიყო ახალ ცხოვრებაში. რაც არც ისე მარტივი აღმოჩნდა. ცვლილება განიცადა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულმა წეს-ჩვეულებებმა. გლეხი ახალ ცხოვრებაში ჩაება. 1900-1917 წლებში ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მთლიანად მიმართულია ჩართოს სოფელი ეროვნულ პროცესებში და მოახერხოს მისი შეგუება კაპიტალისტურ წყობასთან. `*სოფელი - ეს დედაბოძი ჩვენის ცხოვრებისა, დღემდე შეუსწავლელია. არ ვიცით, როგორ ცხოვრობს ჩვენი გლეხკაცი, რა იარაღით ებრძვის დღევანდელს უნუგეშო მდგომარეობას, რა აწუხებს, ან რის იმედით სულდგმულობს, რა დამოკიდებულება აქვს თავადაზნაურობასთან, სამღვდელოებასთან და იმ აუარებელ სახელმწიფო მოხელეებთან, რომელნიც გარს ეხვევიან, ჰნატრობენ, ჰზრუნავენ მათის ცხოვრების განკარგებისათვის და ამასთან იმათვე ნაშრომს ჰკრეფავენ სახელმწიფოს სასარგებლოდ და საეროზო დაწესებულებათა შესანახად. არც ერთი მოვლენა ჩვენის სოფლის ცხოვრებისა ისე გამოკვლეული არ არის, რომ მის შესახებ ერთი და იგივე ჭეშმარიტი აზრი იქონიოს ყველამ*~ [ტფილისელი, 1902: 1]. სოფლის წარმატების დამაბრკოლებელ მიზეზად ივერია შემდეგ ფაქტორებს მიიჩნევდა. `*რა აბრკოლებს სოფლის წარმატებას? პირველი. უმეტესი ნაწილი ჩვენი მამულებისა არ არის გამიჯნული და ამის გამო აუარებელი დავაა გამართული. მეორე. დროებითი ვალდებულება. მესამე. არ გვაქვს გონივრული მოწყობილი სახელოსნო სახალხო სკოლები, სადაც ბავშვებს შეეძლოთ ნამდვილ პედაგოგიურს საფუძველზედ სწავლის მიღება*~ [რუსეთი, 1902: 2].

სწორედ ეს პრობლემები იქცა XX საუკუნის პირველი ოცწლეულის მთავარ გამოწვევად. თუმცა, მთავარი და აუცილებელი სწავლა-განათლების გავრცელება იყო, რომლის საშუალებით უნდა გადაწყვეტილიყო ყველა ის საკითხი, რომლებიც ეპოქის მოთხოვნას წარმოადგენდა. განათლების გავრცელებას საზოგადოების ფართო ფენებში ხელი უნდა შეეწყო არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ სამეურნეო ცოდნის

ამაღლებისათვისაც და საბოლოო შედეგი ეკონომიკური წარმატება ყოფილიყო. ზოგადად, სწავლა-განათლებას მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა ახალ ეპოქაში. სკოლებს, სასწავლო დაწესებულებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ არა მხოლოდ ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების, არამედ პოლიტიკური დონის ამაღლების და ეკონომიკური წინსვლის თვალსაზრისითაც.

XIX საუკუნის II ნახევრიდან ქართული კულტურული და შემდეგში პოლიტიკური ელიტა მუდმივად მიილტვოდა კაპიტალისტური სისტემისთვის დამახასიათებელ პროცესზე გადასვლისაკენ. თუმცა, ეს ყოველივე არც ისე ადვილად და სწრაფად მოხდა. განსაკუთრებით რთული მისაღები იყო კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი წესები სოფლის მოსახლეობისთვის, გლეხისთვის. მართალია, ქალაქშიც მტკივნეულად მიმდინარეობდა ეს პროცესი, მაგრამ სოფელთან შედარებით იგი უფრო წინ იყო წასული. თუ საუკუნის დასაწყისში სოფლისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ახალ ეკონომიკურ სისტემასთან შეგუება, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მოღვაწეობის შედეგად მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. სოფლის მცხოვრებლებმა გააცნობიერეს ახალი ეპოქის გამოწვევები და მეტ-ნაკლებად ცდილობდნენ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებას სამეურნეო ცოდნის ამაღლებით. თავდაპირველად საზოგადოება გულგრილად უყურებდა როგორც განათლების მიღებას, ისე სამეურნეო ცოდნის ამაღლებას. ნელ-ნელა ეს მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა და 1917 წელს გაზეთი `სახალხო საქმე~ წერდა: `*ერთი გარემოებაა დიდად ყურადსაღები სოფლად. ასეა თუ ისე დღეს პოლიტიკური მუშაობაა, ხალხში პოლიტიკური შეგნება შედის, ხალხი პოლიტიკურად იღვიძებს, გამოდის სახელმწიფოებრივ სარბიელზე. მაგრამ ამასთან ერთად კიდევ უფრო გრძნობს კულტურულ-ეკონომიკური მუშაობის საჭიროებას. პოლიტიკაზე არანაკლებ სწყურია სოფლის ეკონომიკა, მეურნეობის აღორძინება, განვითარება, ცოდნის, განათლების გავრცელება, სოფელი მომწიფებულია ამისთვის, მზადაა, ელის მოუთმენლად. უამისოდ მისი მდგომარეობა არსებითად არ შეიცვლება*~ [ფირცხალავა, 1917: 2].

ქალაქის და, განსაკუთრებით სოფლის, თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართულ მედიაში. თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში საუბარია იმ პრობლემებზე, რომლებიც აწუხებს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროვინციის საკითხს, რადგან ახალი ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნები განსაკუთრებულად რთულად აღიქვა სოფელმა. ამას ემატებოდა ადგილობრივი მოხელეებისა და მმართველების მიერ დაწესებული გადასახადები, რაც კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ისედაც გაღარიბებულ სოფელს.

ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა სტატიები საქართველოს სხვადასხვა სოფლებისა და ქალაქების შესახებ. აქ საუბარი იყო ყველა პრობლემაზე, მიღწევებზეც და წარუმატებლობებზეც. სტატიებში გაშუქებული იყო, როგორც ყოფითი, ისე საზოგადო პრობლემებს. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ყურადღებას იქცევდა ქალაქის და, განსაკუთრებით, სოფლის მცხოვრებლების ყოფა-ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ორგანოში იბეჭდებოდა სტატიები ამასთან დაკავშირებით, ცალკე უნდა აღინიშნოს გაზეთი `თანამედროვე აზრი~, რომელიც გამოდიოდა 1915-1917 წლებში ნ. ჟღენტის რედაქტორობით. იგი ასახავდა მოვლენებს, რომლებიც აქტუალური იყო აღნიშნულ ეპოქაში და ნათლად გამოხატავდა სოფლის მცხოვრებლების სულისკვეთებასა და მოთხოვნებს. ამასთან წარმოაჩენდა, როგორ აღიქვამდნენ ისინი ეროვნულ იდეას და საზოგადოებრივ საკითხებს. ჟურნალ-გაზეთებში ყურადღება მახვილდება საქართველოს ყველა კუთხეზე, წინა პლანზე წამოწეულია ის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით აწუხებს ამა თუ იმ მხარის მოსახლეობას (განსხვავებულია თითოეული კუთხის მცხოვრებლების ინტერესი). მაგალითად, თუ გურიაში ხალხი განათლების მიღებისთვის განსაკუთრებით აქტიურობს, სამეგრელოში პირიქითაა. განირჩევა მთისა და ბარის მდგომარეობა. გარდა ელიტის მიერ აქტუალიზებული საკითხებისა, ყურადღება მახვილდებოდა მოსახლეობის ყოფით პრობლემებზე. წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხის მდგომარეობა.[1]

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველო 1900-1917 წლებში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, რაც დაკავშირებულია როგორც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან, ასევე მსოფლიოში არსებულ გარდაქმნებთან. აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფოებრიობის საკითხი მეტად აქტუალური გახდა და, ბუნებრივია, საზღვარგარეთ განათლებამიღებული ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მაქსიმალურად ცდილობს ქართული საზოგადოების ახალ სისტემაზე გადაყვანას. რაც მთავარია, იგი ხალხში ეწევა თავისუფლების იდეის პროპაგანდას. ბუნებრივია, გამონაკლისს არც სოფელი წარმოადგენს. პოლიტიკურ გარდაქმნებს ეკონომიკურიც თან ახლდა. ფეოდალიზმის გადმონაშთები ყველაზე მეტად სწორედ სოფელში არსებობდა. საჭირო იყო მათი აღმოფხვრა და სოფლის მოსახლეობის პოლიტიკური და ეკონომიკური დონის ამაღლება. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და სასულიერო პირები უზრუნველყოფდნენ ეროვნული იდეების პოპულარიზაციას საზოგადოებაში. ახალ ეპოქაში სამღვდელოებასთან ერთად ამ მიმართულებით მოღვაწეობა სკოლასა და მასწავლებლებს დაეკისრა. სკოლები, გარდა განათლების გავრცელებისა, ყველა იმ პრობლემის აქტუალიზებას ეწეოდა, რომლებიც აწუხებდა საზოგადოებას. *`დღევანდელი სოფელი მეტად რთული მოვლენაა. იქ ერთი მეორეზე გადახლართულია ათასნაირი ერთი მეორის საწინააღმდეგო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი. იქ სწარმოებს ბრძოლა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის. ომი, რა თქმა უნდა, ერთსა და იმავე დროს კიდევაც ამწვავებს და კიდევაც ანვითარებს ამ ბრძოლას. ის საოცარი სისწრაფით აჩქარებს იმ დიფერენციაციას, რომელიც სწარმოებს თანამედროვე საზოგადოებრივ და ეკონომიურ ცხოვრებაში როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ე.ი. ომი აჩქარებს კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებას~* [ან..., 1916: 1]. ამ ფონზე სოფლის კეთილდღეობაზე ზრუნვა ინტელიგენციის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა. სოფლის წარმატებას, მათი აზრით, თვით გლეხები შეუწყობდნენ ხელს საკუთარი ცოდნის ამაღლებით სამეურნეო სფეროში.

სწავლა-განათლება და სამეურნეო-სამრეწველო ცოდნის განვითარება ურთიერთკავშირში იყო და აქედან გამომდინარე შეიძლება გამოვყოთ სოფლისთვის

აქტუალური შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გადაჭრა სოფლის განვითარებისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა: 1. განათლებული მოღვაწეები, რომლებიც ნაციონალური იდეის პოპულარიზებას შეძლებდნენ. მოსახლეობას საკუთარი ქვეყნის ტრადიციებს, ისტორიას გააცნობდნენ და ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებისთვის სათანადო პირობებს შექმნიდნენ. 2. შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი პირები, რომლებიც სოფელში შეიტანდნენ ახალ სამეურნეო იარაღებს, ახალ კულტურას, დააარსებდნენ სპეციალურ სკოლებს, რომლებშიც გლეხები მიიღებდნენ ტექნიკურ განათლებას, რაც ხელს შეუწყობდა სოფელში მოსავლიანობის გაზრდას და საბოლოო ჯამში უზრუნველყოფდა ეკონომიკის აღმავლობას.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ერის კონსოლიდაციის აღნიშნულ ეტაპზე სხვადასხვა საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანია ცენტრისა და პერიფერიის, ანუ ქალაქისა და სოფლის, ჩართულობის შეფასება. ცალკეული იდენტობრივი მახასიათებლების განსაზღვრასთან ერთად ქართული იდენტობის მთლიანობაში შესწავლა ამ პრობლემის გარეშე წარმოუდგენელია.

---

[1] ჩემს მიზანს წარმოადგენს არა სოფლის ცხოვრების დეტალური განხილვა, არამედ იმის გარკვევა, თუ როგორ მოიაზრებს სოფელი თავს საქართველოს ნაწილად, როგორ ეგუება ახალ ეკონომიკურ წყობას და რა ცვლილებებს განიცდის მოსახლეობის ცნობიერება.

ლიტერატურა

1. საამდროვო წერილები. თანამედროვე აზრი. #125.- 1916
2. მალაზონია დ. ქართული ისტორიოგრაფიული აზროვნება XIX საუკუნის II ნახევარში. -თბილისი, 2001
3. მეთაური წერილი // მერცხალი. #1.- 1908

4. რუსეთი1902 წელს // ივერია. #2.- 1902
5. სონღულაშვილი ნ.ქართული სოციალური გარემო 1900-19121 წლებში (გლეხობა) // ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები.- #5.- თბილისი.-2011
6. სოფელი 1916 წელს. #1. თანამედროვე აზრი.-1916
7. ტფილისელი მ. სოფელი და სოფლელები // ივერია. #26.- 1902
8. ფირცხალავა ს. სოფელში // სახალხო საქმე. #33.- 1917
9. შვარცი. ნაციონალური კითხვა და მუშათა კლასი // ნაპერწკალი. #4.- 1906
10. წერეთელი ვ. ქალაქი და სოფელი // სამშობლო. #384.- 1916

ანა იმნაძე

რეალობა და ლიტერატურული ფიქცია (ოთარ ჩხეიძის „არტისტული გადატრიალება“)

XX საუკუნის 90-იანი წლები საქართველოს ისტორიაში ტრაგიკულ ფურცლებად ჩაიწერა: ჯერ ქართულ-ოსური კონფლიქტი (ე.წ. ცხინვალის ომი), შემდეგ სამოქალაქო დაპირისპირება თბილისში (ე.წ. თბილისის ომი), რომელთაც დამარცხებათა მთელი სერია და ამ ფონზე განვითარებული მძიმე ეროვნული დეპრესია მოჰყვა. აღნიშნულმა პერიოდმა საინტერესო ასახვა პოვა ქართულ ბელეტრისტიკაში. 90-იანი წლების პერიპეტიათა ეპიცენტრში იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც რადიკალურად განსხვავებული კუთხით არის წარმოჩენილი იმჟამინდელი მოვლენების ამსახველ ქართულ პროზაში. იგი, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი, საინტერესოდ არის გააზრებული ცნობილი ქართველი მწერლის, ოთარ ჩხეიძის, რომანში ,,არტისტული გადატრიალება" .

ერთ-ერთ ესეში ზვიად გამსახურდია შენიშნავს: ,,ნურავის გაუკვირდება, რომ მე შელლიზე საუბარს მისი აღსასრულით ვიწყებ. პოეტის ცხოვრების ფინალი ხშირად დასაწყისია მისი შემოქმედების ჭეშმარიტი გაგებისა. ეს ფინალი მუდამ სიმბოლურია და ძირეულზე მიუთითებს" [გამსახურდია, 1991:229]. შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული აღსასრულიც [1] ერთგვარი გასაღებია მისი ცხოვრებისა და პოლიტიკური მოღვაწეობის გასაგებად. საინტერესოა, როგორ აისახა იგი ქართულ პროზაში, კონკრეტულად კი ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში. როგორც ცნობილია, მწერალმა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ქვეყანაში განვითარებული მოვლენები აღწერა ტრილოგიაში: ,,არტისტული გადატრიალება", ,,თეთრი დათვი", ,,ბერმუდის სამკუთხედი", რომელთაგან პირველი ორი წიგნი ზვიად გამსახურდიას ცხოვრება-მოღვაწეობის ბოლო პერიოდს ასახავს და სწორედ ამ კუთხით არის ჩვენთვის საინტერესო.

ტრილოგიის პირველი რომანის სათაური - ,,არტისტული გადატრიალება" - იმთავითვე ინტრიგის შემცველია. მართლაც, რატომ უნდა იყოს გადატრიალება, ერთი

ხელისუფლების მეორეთი შეცვლა ,,არტისტული"? ცნობილი ფრანგი რეჟისორი ჟან-ლუი ბარო წიგნში ,,ფიქრები თეატრზე" შენიშნავს: ,,უკანასკნელ წლებში ბევრს ლაპარაკობენ თეატრალურ ტყუილზე, სიცრუეზე. თითქოს აქტიორი ქმნის ილუზიას და ამიტომ მისი თამაში მოტყუებაა. თავის მხრივ, მოტყუებულიც ემორჩილება წარმოდგენას და მაშინაც კი, როცა იჯერებს იმას, რასაც უყურებს, მაინც ტყუილის ტყვეობაშია. სულ ერთია, აქტიორზე ვლაპარაკობთ თუ მაყურებელზე. ორივე შემთხვევაში ყბადაღებული პარადოქსი ორი მატყუარას თანამონაწილეობის შედეგია" [ბარო, 1980:5]. არტისტიზმი იმთავითვე გულისხმობს ჭეშმარიტების იმიტირებას, მაყურებლის გადაყვანას ილუზორულ სამყაროში (ე.ი. მოტყუებას). თუმცა, როდესაც ზემოაღნიშნული მოვლენები ცხოვრებისეულ რეალობაში გადაინაცვლებს, მას არასახარბიელო შედეგი მოჰყვება; ოთარ ჩხეიძის აზრით, როდესაც იმიტაცია და სიცრუე ქვეყნის ბედისწერასა და მომავალს განსაზღვრავს, ეს უკვე ტრაგედიის წინაპირობა ხდება.

ავტორი ეჭვითა და გულისტკივილით ახასიათებს გასული საუკუნის 90-იან წლებში შექმნილ მდგომარეობას: ,,ქვეყანა რო დიდი თეატრია და თეატრი რო აღარ არის თეატრი.... გაცვივდნენ არტისტები ქუჩებშია: სახელმოხვეჭილნიცა, მოუხვეჭელნიცა. თეატრი გავარდა ქუჩებშია, მოედნებზედა. იქიდან მოვიდა, იქავე დაბინავდა" [ჩხეიძე, 2002:34]. 80-90-იანი წლების ქართულ საზოგადოებაში იმიტაციამ და სიცრუემ მყარად გაიდგა ფესვები; ადამიანები თავიანთი მთავარი (ან ეპიზოდური) როლების ძიებაზე გადაერთნენ; ყველა ცდილობდა მღვრიე წყალში თევზის დაჭერას; ყველა ცდილობდა, სპექტაკლში (თეატრალურსა თუ ცხოვრებისეულში) მთავარი როლის შემსრულებელს ჩანაცვლებოდა: ,,დიომედეს სანატრელი ჰო ერთი რამე ჰქონდა მთელი ცხოვრების განმავლობაში: ნეტავი აკაკი ავად გახდესო, ნეტავი კისერი მოიტეხოსო, ანთუ რაღაცა დაემართოს ისეთი, პირველი მოქმედების მერე მე შევიდე, სპექტაკლი არ ჩაიშალოსო" [ჩხეიძე, 2002:125]. რომანში სწორედ დიომედე წარმოადგენს ჩასაფრებული საზოგადოების კრებსით სახეს, რომელიც სასურველ როლს ელოდება და, თუ რეჟისორმა (ცხოვრებამ, ფორტუნამ...) არ გაიმეტა მისთვის ეს როლი, მზად არის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს ხელისშემშლელს. სწორედ როლის გარეშე

დარჩენილი საზოგადოება, არტისტული, ცრუ და იმიტირებული გრძნობებისა და ემოციების გამო დაქცეული ქვეყანაა აღწერილი ოთარ ჩხეიძის რომან ,,არტისტულ გადატრიალებაში".

სავსებით გასაზიარებელია მოსაზრება, რომ მე-20 საუკუნის მიწურულს ,,...საზოგადოების დემოკრატიზაციამ და პარტიული ,,მზრუნველობის" გაქრობამ ხელი შეუწყო ისეთი ნაწარმოებების დაბეჭდვას, რომლებშიც ჩვენი საზოგადოების პრობლემები დაუფარავად იყო წარმოჩენილი. ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში დამკვიდრდა პლურალიზმი. სოციალისტური რეალიზმი აღარ იყო ერთადერთი მიმდინარეობა და მეთოდი ქართულ კულტრულ სივრცეში" [გაფრინდაშვილი... 2010:158]; თუმცა, ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაზე საუბრისას შევნიშნავთ, რომ ავტორისათვის არც საუკუნის მიწურულამდე იყო უცხო პლურალიზმის პრინციპები: ,,ოთარ ჩხეიძე იყო პირველი ჩვენს მწერლობაში, რომელმაც უარყო, ერთი მხრივ, სოციალისტური რეალიზმის შაბლონი, მეორე მხრივ, იდეოლოგიური დოგმები, არა თეორიულად, არამედ შემოქმედებითი პრაქტიკით, მხატვრული სიტყვით" [სიგუა, 2004:3].

,,არტისტული გადატრიალება" 1993 წელს დაიწერა; მისი სიუჟეტი საკმაოდ მცირე დროით მონაკვეთში, 1991 წლის შემოდგომისა და 1992 წლის პირველი კვირის დრამატული მოვლენების ფონზე ვითარდება. ნიშანდობლივია ბაირონის მოსაზრება ტრაგიკული მოვლენების გადმოცემასა და დროით დისტანცირებასთან დაკავშირებით. მწერლის აზრით, ტრაგედიის შესაქმნელად მხოლოდ ტალანტი არ კმარა; ტრაგიკულ ამბებს დრო უნდა გვაცილებდეს, რათა ვნებები ჩაცხრეს; მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება მიენდო მეხსიერებას და შექმნა ლიტერატურისთვის ღირებული ნაწარმოები [Дьяконова, 1974:57]. ეს პოზიცია არც ოთარ ჩხეიძისათვის არის უცხო; ისიც აცნობიერებს ტრაგიკული მოვლენების შეფასებისთვის საჭირო დროითი დისტანცირების ფაქტორს და შენიშნავს: ,,მოვლენებს დრო უნდა, უნდა ჩაიაროს, უნდა დაგვშორდეს, შორიდან უკეთ გამოჩნდება, მწერალიც უკეთ გამოჰხატავსო... ჰო, მოჩანს,

მაინც მოჩანს, უკვე ნათლადა, კანთიელადა, ხვალ ეგებ ბინდიც გადაეფაროს... მე დარჩენილ წლებს თითებზე ვითვლი, ველარაფერს დაველოდები" [ჩხეიძე, 2002:15].

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არაერთხელ აღინიშნა, რომ 1991-1992 წლების პოლიტიკური მოვლენების წარმოჩენისას ოთარ ჩხეიძე არ დამდგარა არც დამარცხებულის და არც გამარჯვებულის მხარეს; მან გაბედულად წარმოაჩინა სიმართლე, რომელიც, ცხადია, ყველასათვის მისაღები არ აღმოჩნდა [სიგუა; 2004:3; კუხიანიძე, 1999:3; ჩხეიძე, 2008: 776]. ოთარ ჩხეიძემ პრინციპულად არ მიიჩნია საჭიროდ რომანის ავთენტიკური პერსონაჟებისთვის სახელების გადარქმევა; არც გაურკვეველ ალუზიებს მიმართა. იგი არ არის ზვიად გამსახურდიას აპოლოგეტი და ხშირად კრიტიკულად იყო განწყობილი ექსპრეზიდენტის მიმართ, რაც რომანის ტექსტით დასტურდება. მან მიუკერძოებლად წარმოაჩინა მის თვალწინ გათამაშებული დრამატული მოვლენები, ორად გახლეჩილი და ურთიერთდაპირისპირებული ქართული საზოგადოება.

,,არტისტული გადატრიალების" მთავარი პერსონაჟი უკვე პრეზიდენტის ამპლუაში მყოფი ზვიად გამსახურდიაა. სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ მას განსხვავებულ სიტუაციებში და, ამდენად, სხვადასხვა რაკურსით ვხედავთ. ოთარ ჩხეიძის დამოკიდებულება რომანის მთავარი პერსონაჟის მიმართ იმის მიხედვით იცვლება, თუ რა მოვლენებზე ან პრეზიდენტის რომელ გადაწყვეტილებებზეა საუბარი. რომანის დასაწყისში ავტორი ერთგვარი ირონიითა და ეჭვით უყურებს ზვიად გამსხურდიას: ,,შეირყა ტახტი. ჩამოჯდა თუ არა მაშინვე შეირყა... ალბათ რო ბოხჩა შეეკრა უკვე"[ჩხეიძე, 2002:45]. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ,,ტახტის მორყევის", გამსახურდიას წინააღმდეგ საზოგადოების ნაწილის დაპირისპირების განმაპირობებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რა თქმა უნდა, ძალაუფლების ხელში ჩაგდების, პირველობის სურვილია: ,,ტახტი ყველას მონებებია. ტახტი ერთია. ავსებულა სული მონური. ტახტი სადგომია წმინდა სულისა. წმინდა არავის არავინ ეგულება. ესროლოს ქვა, ვინც უცოდველია. და ყველა ესვრის, ვითომც ყველა უცოდველია" [ჩხეიძე, 2002:41]. თუმცა, მწერალი ცდილობს პრეზიდენტის განვლილ ცხოვრებაში დაშვებულ

შეცდომებსა და პირად თვისებებშიც მოიძიოს მიზეზი მის მიმართ მოწინააღმდეგეთა გააფთრებული სიძულვილისა. ავტორი აღნიშნავს, რომ ექსპრეზიდენტის მიმართ შურის გრძნობას, გარკვეულწილად, მისი ოჯახური მდგომარეობა, ცნობილი ქართველი კლასიკოსის, კონსტანტინე გამსახურდიას შვილობაც განაპირობებდა: ,,მამა რომ კონსტანტინე ჰყავდა, კოლხური კოშკი რომ ედგა, შურდათ, ფარშავანგი რომ დადიოდა ეზოში, შურდათ, შვლის ნუკრიც შურდათ ცხადია" [ჩხეიძე, 2002:79]. ოთარ ჩხეიძე სხვა, უფრო სერიოზულ მიზეზებსაც ხედავს; მათ შორის უმთავრესია ზვიად გამსახურდიას სურვილი ქვეყნის პოლიტიკური, კერძოდ, პრორუსული ორიენტაციის შეცვლისა: ,,მოსკოვის გაგონება აღარ უნდა პრეზიდენტსა, რუსულის გაგონება აღარ უნდა"[ჩხეიძე, 2002:197]. რა თქმა უნდა, ყველაფერს ზედ ერთვის ,,საჭირო სიტუაციაში" ,,საჭირო დროს" მოხვედრილი ადამიანებისთვის ესოდენ დამახასიათებელი უმადურობის გრძნობაც: ,,არაფერი რომ არ გაეგებოდათ: დეკლარაციებიც რომ ამან გააგებინა, პიროვნების თავისუფლებაცა, ერიცა და თავისუფლებაცა... ახლად ახალი კოსტუმები ჩააცვა, შეკვანძა ასწავლა ჰალსტუხებისა, ამანა, ამანა, ყველაფერი ამან და თავისი ხელითაც შეუკვანძა თითქმის ყველასა, პირველ სესიაზე რომ მიჰყავდა უზენაესი საბჭოსი" [ჩხეიძე, 2002:237]. ავტორს თავისი პერსონაჟის პრეზიდენტობის წინარე პერიოდში დაშვებული შეცდომებიც არ ავიწყდება; მეტიც, 9 აპრილის ტრაგიკული ღამის მოვლენათა ანალიზისას მწერალი არა მარტო გამსახურდიას, არამედ ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებსაც არ ინდობს; იგი საბედისწერო დარბევის წინა წუთებს ასე აღწერს: ,,და იდგა ფარაი და მიერეკებოდა მწყემსი კეთილი და არ იძვროდა ფარაი იგი და დამორჩილებოდა მწყემსთა ცრუთა და იდგა განწირული" [ჩxეიძე, 2002:56]. ცხადია, ამ ეპიზოდში გადმოცემულია საქართველოს პატრიარქის თხოვნის უგულვებელყოფა ეროვნული მოძრაობის ლიდერების (მათ შორის ზვიად გამსახურდიას) მიერ მომიტინგეთა დაშლის შესახებ, რასაც მიტინგის მონაწილეთა დარბევა და მსხვერპლი მოჰყვა.

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, პრეზიდენტი ბოლომდე ინარჩუნებს სიმშვიდეს, უფრო სწორად, ბოლოს უფრო, ,,თითქოს რო მიილულება ბატონი პრეზიდენტი, თითქოსა, თითქოსა. ქუთუთოები ჩამოვარდნია. აიწევს. დაიწევს.

აიწევს. ჩამოვარდება: ამათ რაღა უნდათ, რას აეშალნენ ეს თავის დაზრდილი ვაჟკაცები... სიძულვილი შეგვჭამს. ჩამოცვივა ქუთუთოები" [ჩხეიძე, 2002:238]. ზვიად გამსახურდია იხსენებს, რომ იგი არაერთხელ გამხდარა დედის ცრემლებისა და უძილო ღამეების მიზეზი; მას შეეძლო ცნობილი კლასიკოსის შვილის მშვიდი და უსატკივარო ყოფის არჩევა და დედისათვის სიხარულის მოტანა: წარმატებული მოღვაწეობა მეცნიერებაში, მყუდრო ბიბლიოთეკებსა და არქივებში მუშაობა... მაგრამ მას არ შეეძლო არც საკუთარი თავის, არც მამისა და ,,შინდისფერდროშიანი" საქართველოს ღალატი. ავტორი სკურპულოზურად აღწერს პრეზიდენტის მიერ თბილისის დატოვების უმძიმეს ეპიზოდს; ზვიად გამსახურდია ცდილობს, სიცოცხლე შეუნარჩუნოს რამდენიმე ათეულ მეომარს, მათი და საკუთარი ოჯახის წევრებს. [2] ერთი ფრაზით გვაგებინებს ავტორი ბოლო წუთებშიც რაზე ოცნებებოდა ზვიად გამსახურდია, რას შეჰღიმოდა იმედით და ის ავადსათქმელი პრეზიდენტობაც რისთვის სჭირდებოდა, არტისტულმა საზოგადოებამ რომ ვერ აპატია: "ბრძანა აყრილიყვნენ. უკანასკნელადა ბრძანა, როგორც რო პრეზიდენტმა. ისევ რუქას ჩაჰყურებდაო. მზად იყო ყველაფერი. მოახსენებენ. დგება. რუქას რო არ აშორებს თვალსა, რო შეჰღიმის, სანთლის ალი რო დასთმაშებს გაფითრებულ სახეზედა. დგება. დგას. დგას. ფანქარს დაუშვებს მერე. დადებს. გაასწორებს. ,,...იქნება... ჩვენი... ჩვენი... ჩვენი იქნება..." გადის თვალი რო რჩება რუქისკენა. ფანქარი ტაო-კლარჯეთზე დევს" [ჩხეიძე, 2002:363]. თბილისის ომის დასასრული, სამწუხაროდ, დამარცხებათა მთელი ციკლისა და მძიმე ეროვნული დეპრესიის დასაწყისი აღმოჩნდა, რაც რომანში მთავარანგელოზის მიერ თბილისის დატოვების სიმბოლური სცენით არის გადმოცემული: ,,ეგრეც გადაუვლის თბილისსა თავზე, დანგრეულ თბილისსა, გაპარტახებულ თბილისსა, ცოდვილ თბილისსა, რო არც იცის რა შესცოდა. ფრთას ფრთას შემოჰკრავს მთვარანგელოზი გაბრიელი, აფრინდება მყინვარიდანა. ერთწამს თითქოს რო ერთადაც მიფრინავენ, მერე გაჰქრება მთვარანგელოზი. მფრინავი იტყვის: ,,თითქოს რო მწვერვალი მოსწყდა მყინვარსა, მეგონა თერგში ჩაიფუშებოდა. არა. შეიკუმშა. ფრთები გამოისხა გაჰქრა უეცრადა" [ჩხეიძე, 2002:367].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ,,არტისტულ გადატრიალებაში" დოკუმენტური სიზუსტით არის აღდგენილი გასული საუკუნის მიწურულის საქართველოს ისტორიული ყოფის ამსახველი დრამატული ფურცლები. ნიშანდობლივია, რომ მიმდინარე მოვლენათა შეფასებისას მწერალი ისტორიულ პარალელებს მიმართავს და რომანის სიუჟეტურ ქარგაში შემოჰყავს წინარე საუკუნეების ისტორიული პირებიც, რომლებმაც სხვადასხვა დროს, გარკვეულწილად, განსაზღვრეს გზაჯვარედინზე მყოფი ჩვენი ქვეყნის მომავალი. ამდენად, პირობითად, რომანის პერსონაჟები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: ა) XIX საუკუნის მოღვაწენი, რომლებმაც ,,ერთმორწმუნე" ჩრდილოელ მეზობელზე - რუსეთზე - აიღეს ორიენტაცია: მეფე ერეკლე, გრიგოლ ორბელიანი და სხვ. მეფე ერეკლეს სახე რამდენჯერმე გამოკრთება; პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის პერსონაჟის სახით: ,,მწყემსო კეთილო, შენს წმინდა სამწყსოს შემოვავედრებ ჩემსა სამეფოსო, - თვითონ გასწირა და მწყემსს ავედრებდა" [ჩხეიძე, 2002:207]. ამ ერთ ფრაზაშიც იკვეთება ავტორის დამოკიდებულება ერეკლესადმი და მის მიერ არჩეული პოლიტიკური კურსისადმი; თუმცა, მოგვიანებით კრწანისის ტრაგედიის გახსენებით, თითქოს, მეფის ამ გადაწყვეტილების ახსნაც არის მოცემული: ,,მაშინ ერეკლე ჰო მიატოვეს თავისიანებმა და კინაღამ ცოცხლადაც ჩაუგდეს ხელში სისხლიან მტერსა. მიატოვეს. შეატოვეს. გადგნენ სეირის საყურებლად". [ჩხეიძე, 2002:208] მწერლის რწმენით, განსაცდელის ჟამს "სეირის მაყურებლის" პოზიცია ერთნაირად სავალალოა ყველასთვის, რადგან საბოლოოდ, სეირის მაყურებლებიც და ქვეყნის ერთგულებიც ერთნაირ სასჯელს მიიღებენ - ქვეყანაში სათარეშოდ შემოდის უცხო ძალა. ამ ფონზე მოულოდნელი რაკურსით ჩნდება გრიგოლ ორბელიანი, რომელიც დიდი გულმოდგინებით ასრულებს მთავარმართებლის მოვალეობას და ყაზახ-რუსების პოზიციიდან ესაუბრება ყოფილ თანამეინახეებს - ლოპიანასა და მის მეგობრებს; არც მათრახს დაინანებს მათთვის: ,,პირველი მათრახიც იმას მოხვედრია, დასცხეთო, რო უბრძანებია მთავარმართებელისამებრა" [ჩხეიძე, 2002:147]; ბ) მეორე ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ისტორიული პირები, რომელთა რენეგატულმა პოზიციამ განსაზღვრა საქართველოს ისტორიული ბედი XX საუკუნის დასაწყისში: კაკი წერეთელი, ნოე ჟორდანია, სტალინი.... ,,წერეთელი მთავრობის

დასაცავად მოუწოდებს ხალხსა, სტალინი დასამხობად მოუწოდებს. შორსა, ჩრდილოეთში შებმული ორი უბედური ქართველი" [ჩხეიძე, 2002:65]. არც მაშინ აკლდა ქვეყანას სეირის მოყვარულები და საკუთარი სახელის განდიდებას გამოკიდებული ადამიანები; შედეგად კი მივიღეთ 1921 წელს საქართველოს ექსპანსია რუსების მიერ და "წითელყაბალახიანი" საქართველო 70 წლის განმავლობაში. გ) მესამე ჯგუფი აერთიანებს მწერლის თანამედროვეთ, რომელთაც XX საუკუნის დასასრულს იტვირთეს ქვეყნის ბედის სიმძიმე; ამდენად, 90-იანი წლების საქართველოში დატრიალებული მოვლენები მათ სახელებს უკავშირდება. ავტორი დაუფარავად აფიქსირებს საკუთარ პოზიციას პრეზიდენტთან დაპირისპირებული, ერთი შეხედვით, მართლაც, ჭრელი საზოგადოების მიმართ, რომელსაც თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო, მაგრამ მწერალი სწორედ ამ გამაერთიანებელ ნიშნულს გვიჩვენებს „კანთიელადა"; ისინი „მოსკოვის სულით გაბერილან, მოსკოვის თვალით იცქირებიან, მოსკოვს აწონებენ თავსა" [ჩხეიძე, 2002:190]. ეს ის ხალხია, „როლები რომ ჩამოართვა, ვინც არა სწამდა ჩამოართვა. გადაეკიდნენ"; შემდეგ კი „ნიღბებს იცვლიან, კეკლუცობენ, სიკეთის მოციქულად გვისახავენ თავსა, სინამდვილეში რომ შურით გაგუდულან, ვნება რომ ახრჩობთ ერთადერთი: სხვას აღემატონ, თუნდაც ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა" [ჩხეიძე, 2002: 329].

ოთარ ჩხეიძის სამოქალაქო პოზიცია ზემოაღნიშნული ისტორიული ექსკურსის ფონზე იკვეთება და ქვეყნის მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის გაცნობიერებას უკავშირდება; ავტორი აღნიშნავს, რომ XX საუკუნემ ორი დიდი ჭირი მოიშორა - კომუნიზმი და ფაშიზმი; XXI საუკუნეს კი არანაკლები საფრთხე ემუქრება, დემოკრატიზმის სახელით შენიღბული. ამ შემთხვევაში უკვე მნიშვნელობა არა აქვს „მგელი შეგვჭამს, თუ მგლისფერი ძაღლი" [ჩხეიძე, 2002:220]. მწერლის ღრმა რწმენით, საქართველოს პოლიტიკური კურსი ევროპაზე უნდა იყოს ორიენტირებული; ჩვენ თუ ვუშველეთ თავს, ევროპასაც ეშველება. ისევ საქართველოზე გადის ევროპის ხსნა და მომავალი? შეიძლება, მაგრამ შეგვწევს ამის ძალა, შევეჭიდოთ და ვზიდოთ პასუხისმგებლობა ევროპის მომავალზე? ცხადია, რომანის პრობლემატიკა ეროვნული და, იმავდროულად, ზოგადსაკაცობრიო ცნობიერების ჭრილში არის

წარმოჩენილი. სწორედ ამიტომ არ წყდება ქართულ სალიტერატურო სივრცეში დღემდე მსჯელობა „არტისტულ გადატრიალებასა" და მასში წარმოჩენილ პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

---

[1] კამათი იმის შესახებ, იყო ეს მკვლელობა თუ თვითმკვლელობა, დღემდე არ შემწყდარა.

[2] აღნიშნული ეპიზოდი დოკუმენტური სიზუსტით მეორდება თვითმხილველთა ნაამბობში, რაც რომანის გამოქვეყნების შემდეგ გახდა საზოგადოებისათვის ცნობილი [ქორიძე 1999].

ლიტერატურა:

1. ბარო ჟ. ფიქრები თეატრზე.- თბილისი,1980
2. ჩხეიძე ო. არტისტული გადატრიალება.- თბილისი,2008
3. ჩხეიძე რ.აგვისტოს შვილები.- თბილისი,2008
4. გამსახურდია ზ.წერილები, ესსეები.- თბილისი,1991
5. გაფრინდაშვილი ნ. / მ. მირესაშვილი, ნ. წერეთელი. სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია (ქართული ლიტერატურის მაგალითზე) წიგნი II.- თბილისი,2010
6. ქორიძე თ. ზვიადის არჩევანი http://www.geworld.ge/View.php?ArtId=1672&lang=ge&Title=Temur_qoriZe:_zviadis_arCevani .- 1999
7. კუხიანიძე ლ. ვიჩქაროთ, ჯერ ისევ მოსჩანს ვარსკვლავი. ახალი საქართველო 16-22. IX.- 1999
8. სიგუა ს. ტრაგიკული ათწლეული // ჩვენი მწერლობა.- 23-29 იანვარი.-1917
9. Дьяконова Н. Байрон в годы изгнания.- Москва, 1974

ზაზა ხითბიძე

არისტოტელე ჰომეროსისეული ნოვატორობის შესახებ და „ილიადის“ IX სიმღერა: გაფართოების ზეპირი და წერილობითი ეტაპები

როგორც ცნობილია, დღემდე, ფაქტობრივად, ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობს „ილიადისა" და „ოდისეის" ავტორის წინა და უშუალოდ მომდევნო პერიოდების ანტიკური ბერძნული ეპიკური პროდუქციის შესახებ: „ჩვენთვის თითქმის არაფერია ცნობილი ჰომეროსის პოემების მათ წინამავალ და თანადროულ ეპოსთან ურთიერთმიმართების თაობაზე" [Fenik, 1986: XIII]. აღნიშნულის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, უაღრესად ძნელია გამოვლინდეს, თუ რა არის ჰომეროსთან ტრადიციული და რა - ნოვატორული: „მაგრამ, როგორც ჩანს, მისი პოემების ანალიზისა და ანტიკურ ავტორთა ცნობების გათვალისწინებით, ამ მიმართულებით საყურადღებო დასკვნების გაკეთება მაინც შესაძლებელია" [გორდეზიანი,[1] 2002: 123]. ფორმულების ენის, მოქმედების აგებისა და ეპიკური კონფლიქტის განვითარების, კომპოზიციური ორგანიზაციისა და გმირთა ინდივიდუალიზაციის ასპექტებით „ილიადისა" და „ოდისეის" შესწავლის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ „ჰომეროსის პოემებში ნოვატორობის სული თითქმის ყველგან ვლინდება" [გორდეზიანი, 2002: 123-125].

იმ ანტიკურ ავტორთა შორის, რომელთა ცნობების გათვალისწინებითაც, ობიექტური ხასიათის სიძნელეების მიუხედავად, მაინც შესაძლებელი ხდება ჰომეროსისეული ნოვატორობის საკითხის კვლევა, უმნიშვნელოვანესად მიჩნეულია არისტოტელე, რომელიც „პოეტიკის" რამდენიმე ადგილას ვრცლად მსჯელობს არა მხოლოდ საზოგადოდ ჰომეროსის შემოქმედებაზე, არამედ მის განსხვავებაზეც სხვა ბერძენ ეპიკოსებთან მიმართებით: „მიუხედავად იმისა, გვსურს თუ არა, რომ ჰომეროსს „ინოვაციურობისაკენ" ლტოლვა მივაწეროთ, ჩვენ მასზე მაინც უნდა ვიფიქროთ არა როგორც უბრალოდ თავისი საქმის დიდოსტატზე, არამედ როგორც უდიდესი ნიჭით დაჯილდოებულ კაცზე, რომელსაც შექსპირის, ბახის ან მოცარტის მსგავსად არ შეეძლო შეუცვლელი დაეტოვებინა, რასაც ხელს შეახებდა. არისტოტელეს შეუმჩნეველი არ

დარჩენია, რომ ეპიკური ნარატივი ჰომეროსის პოემებში წარმოუდგენელი ოსტატობითაა დაქვემდებარებული პოეტურ კონტროლს და რამდენადაც ეს თვისება მათ ყველა სხვა საგმირო პოემისაგან განასხვავებს, გამართლებული უნდა იყოს, ჰომეროსის გენიალურობის არაორდინარულობის მიზეზი მის მიერ დიდი ზომის ნარატივის სრულად გათავისების უნარში ვეძიოთ" [Mueller, 1984: 159]. ზემოაღნიშნული ასპექტით, ანუ ეპიკური სიუჟეტის კომპოზიციური ორგანიზაციის თვალსაზრისით, ჰომეროსისეული ნოვატორობის შესახებ არისტოტელე, როგორც ცნობილია, ყურადღებას ამახვილებს თავისი ტრაქტატის რამდენიმე ადგილას: VIII, 1451a22-30; XVII, 1455b16-23; XXIII, 1459a18-37; XXVI, 1462b5-11.

თუმცა, ,,პოეტიკაში" ფიქსირდება კიდევ ერთი ადგილი. ესაა XXIV, 1460a5-11, რომელშიც კვლავაც ჰომეროსისათვის დამახასიათებელი ინოვაციურობაა გაანალიზებული, მაგრამ ამჯერად - უკვე სხვა მიმართულებით, კერძოდ, გმირთა ინდივიდუალიზაციის თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, ,,პოეტიკის" ამ ადგილას არისტოტელე სრულიად არაორაზროვნად გამოთქვამს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ჰომეროსისეულ პერსონაჟებს აქვთ ხასიათი, რაც მიღწეულია მათი სიტყვების, მონოლოგებისა და დიალოგების საშუალებით [გორდეზიანი, 2002: 114-115].

აღნიშნული ადგილი იმთავითვე იპყრობდა ტრაქტატის მთარგმნელ-კომენტატორთა ყურადღებას. მის ინტერპრეტირებას ართულებს ის გარემოება, რომ არისტოტელეს სიტყვები - *αὐτὸν* γὰρ δεῖ τὸν ποιητὴν *ἐλάχιστα λέγειν* [Aristotle's...: 1460a7], ანუ ,,პოეტს კი ის მოეთხოვება, რომ *თავად მან ძალიან ცოტა ილაპარაკოს",* - ორგვარად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული: 1. პოეტმა პირველ პირში ძალიან ცოტა უნდა ილაპარაკოს; 2. პოეტმა როგორც პირველ, ისე მესამე პირში ძალიან ცოტა უნდა ილაპარაკოს. ჩემი აზრით, მართებულია მეორე ინტერპრეტაცია [ხინთიბიძე, 2012], რომელიც უკანასკნელ ხანებში ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. ის ემყარება ,,პოეტიკის" ტექსტის განსახილველი ადგილის ილსისეულ [*Else*, 1957: 619-621] და განსაკუთრებით, ლუქასისეულ [Lucas, 1978: 67, 226-227] გააზრებას, რისი გათვალისწინებითაც XXIV, 1460a5-11 პასაჟი მე ამგვარად მესმის:

[5] ,,ჰომეროსი კი მრავალ სხვა [მიზეზთან] ერთად ქებას იმის გამოც იმსახურებს, [6] რომ მან, [ეპიკოს] პოეტთა შორის ერთადერთმა, იცის, თვითონ რა უნდა გააკეთოს. [7] პოეტს კი ის მოეთხოვება, რომ თავად [როგორც მთხრობელმა] ძალიან ცოტა ილაპარაკოს, ვინაიდან არ არის [იგი] [8] ამის გამო მიმბაძველი (ანუ პოეტი). სხვები (ე.ი. სხვა ეპიკოსები) კი, ფაქტობრივად, სულ (ე.ი. მთელი პოემის მანძილზე) თავადვე [9] ყვებიან (narrate), მაგრამ ბაძავენ ცოტას (ე.ი. თავიანთ გმირებს ცოტას ალაპარაკებენ, impersonate) და უმნიშვნელოდ. მას კი (ანუ ჰომეროსს) მცირე [10] შესავლის შემდეგ მაშინვე შემოჰყავს კაცი, ქალი ან რომელიმე სხვა [11] ხასიათი და არავინ ხასიათის გარეშე, არამედ [მხოლოდ] ხასიათის მქონე" (ე.ი. ჰომეროსი, სხვა ეპიკოსებისაგან განსხვავებით, თავისი პერსონაჟების ხასიათებს გადმოცემს მათივე მეტყველების საშუალებით, ანუ დიალოგური - და არა ნარატიული - პარტიების გამოყენებით).

,,პოეტიკის" XXIV, 1460a5-11 პასაჟის ამგვარი ინტერპრეტაციით, ჩემი აზრით, შესაძლებელია როგორც ჰომეროსისეული პერსონაჟების ინდივიდუალიზაციის საკითხის გაანალიზება, ისე ,,ილიადისა" და ,,ოდისეის" გენეზისის პრობლემის ახლებურად კვლევაც. ვგულისხმობ იმ გარემოებას, რომ ჰომეროსი თავისი პოემების დიალოგური პარტიების სიმრავლით, არისტოტელეს თანახმად, ბევრად აღემატება ყველა სხვა ეპიკოსს. ,,ილიადისა" და ,,ოდისეის" ავტორის ორმაგი ნოვატორობა - მისი წარმატებული სწრაფვა ერთდროულად როგორც კომპოზიციური თვალსაზრისით ორგანიზებული მონუმენტურობისაკენ, ანუ ვრცელი და იმავდროულად სტრუქტურულად ერთიანი კომპოზიციისაკენ, ისე დიალოგური პარტიების სიმრავლისაკენ, - ვფიქრობ, ერთმანეთს ლოგიკურად შეიძლება დაუკავშირდეს, რაზეც ჰომეროლოგიურ გამოკვლევებში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ყურადღება გამახვილებული არ ყოფილა.

უკანასკნელი ხანების ჰომეროლოგიურ ნაშრომებში დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ,,ილიადისა" და ,,ოდისეის" უპრეცედენტოდ დიდი, მონუმენტური სიგრძე მიღწეულია თანდათანობითი, კერძოდ,

ეტაპობრივი, გაფართოების პროცესში და თანაც ერთი და იმავე პოეტის - თავად ჰომეროსის - მიერ [Mueller, 1984: 159-176]. ეს ახალი, თავისი არსით, თუ ასე შეიძლება ითქვას, კომპრომისული თეორია, ერთი შეხედვით, საკმაოდ წარმატებული ჩანს. ის მიზნად ისახავს XIX-XX საუკუნეების ანალიტიკური და უნიტარისტული კონცეფციების ურთიერთმორიგებას და იმავდროულად პარი-ლორდის (Parry-Lord's) ზეპირი პოეზიის (of Oral Poetry) თეორიის მეტ-ნაკლებად განეიტრალებას, რადგანაც ჰომეროსის ეპოსის ფორმირების პროცესში დაწერის ეტაპის არსებობის შესაძლებლობა მის (ანუ ამ თეორიის) მიერ მთლიანად გამორიცხული არ არის. აღნიშნული თეორიის საშუალებით, ერთი მხრივ, მართლაც დაძლეულია ჰომეროსის, როგორც რეალურად არსებული ინდივიდუალური შემოქმედის, მთლიანად უარყოფის ანალიტიკოსებისათვის დამახასიათებელი მისწრაფება [Page, 1959: 297-342], მეორე მხრივ კი, ირელევანტურადაა გადაქცეული „ილიადაში" არსებული ნებისმიერი ბუნდოვანი ადგილის უნიტარისტული პოზიციიდან [Schadewaldt, 1938] „გამართლების" სურვილი: ტექსტში რეალურად არსებული წინააღმდეგობების უარყოფა საჭირო აღარაა, რადგანაც მათი გამომწვევი მიზეზი არა მრავალავტორობაა, არამედ თავად ჰომეროსი - გენიალური შემოქმედი, მაგრამ „თანამედროვე სტანდარტებით ცუდი რედაქტორი" [Mueller, 1984: 172], რაც, ბუნებრივია, ვერანაირად ვერ აკნინებს „ილიადის" ავტორის გენიალურობას.

ზემოაღნიშნული თეორია მაქსიმალურად დასაშვები ეკლექტურობით ხასიათდება. ამდენად, პოპულარულია, რადგანაც მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს, ფაქტობრივად, ყველა ძირითადი ჰომეროლოგიური მიმართულების ინტერესებს. თუმცა, ვფიქრობ, რომ ის, სამწუხაროდ, ბოლომდე მაინც ვერ აღწევს დასახულ მიზანს - ერთმანეთს მოარიგოს, ერთი მხრივ, მრავალავტორობისა და ზეპირი პოეზიის თეორიები და, მეორე მხრივ, ინდივიდუალური შემოქმედის, ანუ წერილობითი ჰომეროსის, კონცეფცია.

სხვადასხვა სახის ე.წ. სიუჟეტური არათანმიმდევრულობები, ანუ ტექსტში არსებული ურთიერთშეუსაბამო ადგილები, განსახილველი თეორიის ფარგლებში, ვფიქრობ, სრულიად მართებულადაა მიჩნეული „ილიადის" თანდათანობითი გაფართოების

ეტაპებზე მიმანიშნებელ ფაქტობრივ მონაცემებად [Mueller, 1984: 167]. „ილიადის" ფორმირების გააზრება თავად ჰომეროსის მიერვე განხორციელებული გაფართოების მრავალწლიან, ეტაპობრივ პროცესად პრინციპში არ ეწინააღმდეგება უნიტარისტულ თვალსაზრისს: „ის, რომ „ილიადა" და „ოდისეა" არ არის ერთი ამოსუნთქვით *დაწერილი* პოემები, სრულიად აშკარაა. უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტი მათ თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ ქმნიდა. ... ასევე დასაშვებია, რომ პოემის ნაწილები დროში იმ თანმიმდევრობით არ იქმნებოდა, რაც მათ ახლა აქვთ" [გორდეზიანი, 2002: 125]. თუმცა, განსახილველი თეორია, ჩემი აზრით, „ზეპირი პოეზიის" მიმართულების მრავალრიცხოვანი მომხრეებისათვის ანგარიშის გაწევის მიზნით, განხილვის გარეშე ტოვებს ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს. კერძოდ, გაფართოების სავარაუდო ეტაპებიდან რომელი შეიძლება ყოფილიყო ზეპირი და რომელი - წერილობითი.

„ილიადის" გაფართოების შედეგად მის ტექსტში წარმოქმნილი სიუჟეტური შეუსაბამობები განსახილველი თეორიის ფარგლებში, ფაქტობრივად, სამ ტიპად არის კლასიფიცირებული. პირველი - ესაა იმგვარი „რედაქციული ხასიათის პრობლემა" [Mueller, 1984: 172], რომელიც თავად ჰომეროსის მიერაა განეიტრალებული, მაგრამ „არა ბუნდოვანი ადგილის ამოღებით, არამედ მისი კიდევ უფრო განვრცობის გზით" და ამდენად, ახალ სიუჟეტურ კონტექსტთან, ვითარებასთან მისი შესაბამისობაში მოყვანის საშუალებით, რის საილუსტრაციო ნიმუშადაც მიჩნეულია „ილიადის" II სიმღერის 699-709, 721-728 სტრიქონები [Mueller, 1984: 161-162]. მეორე ტიპის ბუნდოვანი ადგილები ჰომეროსის მიერ გაუნეიტრალებლადაა დატოვებული, რადგანაც "პოეტი არ ცდილობდა ადრინდელი ტექსტი დამატებული ნაწილისათვის მიესადაგებინა"[Mueller, 1984: 174]„ რისი მაგალითიც, განსახილველი თეორიის თანახმად, არის „ილიადის" IX სიმღერის ე.წ. დუალისების სცენა, რომლის ფარგლებშიც ორზე მეტი პირის გადაადგილება აქილევსის ბანაკისაკენ გადმოცემულია ორობითი რიცხვის ფორმებით [Mueller, 1984: 174, 167]. მესამე ტიპის ბუნდოვანი ადგილების შემთხვევაში ჰომეროსის მიერ მათი გაუნეიტრალებლად დატოვება, განსახილველი თეორიის მიხედვით, ახსნილია იმ გარემოებით, რომ „პოეტი იყო არასაკმარისად კარგი რედაქტორი"[Mueller, 1984: 167-168]„ რის მაგალითადაც მოტანილია „ილიადის" II სიმღერაში თავად ჰომეროსის მიერ

ე.წ. *ხომალდთა კატალოგის* ჩართვა, რამაც "ტექსტის ძველი და ახალჩამატებული ნაწილების ერთმანეთთან უხეიროდ გადაბმა" გამოიწვია: ზევსის სურვილის მიუხედავად აგამემნონი ომს კი არ იწყებს, რის შედეგადაც იგი სწრაფ და გარდაუვალ მარცხს იგემებდა, არამედ გამოცდას უწყობს თავის ჯარს, რაც სიუჟეტური ხაზის სრულიად სხვა მიმართულებით განვითარებას იწვევს [Mueller, 1984: 167-168, 172].

რაკი სიუჟეტური შეუსაბამობები, ჩემი აზრითაც, ,,ილიადის" თავად ჰომეროსის მიერ განხორციელებული გაფართოების ეტაპების მოდელირებისათვის შეიძლება იქნას გამოყენებული, ვფიქრობ, აჯობებს, თუკი მათ (სიუჟეტურ შეუსაბამობებს) ერთმანეთისაგან განვასხვავებთ იმის მიხედვით, თუ რომელ ეტაპზე უნდა წარმოქმნილიყვნენ ისინი - ზეპირსა თუ წერილობითზე. ამისათვის სიუჟეტური შეუსაბამობები მათი ტიპის მიხედვით, ჩემი აზრით, პირობითად, სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს.

1) პირველ ჯგუფს მიეკუთვნება, თუ ასე შეიძლება ითქვას, არარსებული, მაგრამ პოტენციურად მოსალოდნელი სიუჟეტური შეუსაბამობები, რომლებიც შეიძლება დაფიქსირებულიყვნენ, მაგრამ არ ფიქსირდებიან, ერთი მხრივ, თავიდანვე არსებული, ანუ ძველი, და, მეორე მხრივ, უდავოდ ჩამატებულად მიჩნეული ტექსტობრივი მონაკვეთების გადაბმის ადგილებში. ასე მაგალითად, ანალიტიკური თეორიის თანახმად, VIII სიმღერა უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე უფრო გვიანდელი ჩამატებაა ამჟამინდელი პოემის ტექსტში. როგორც ცნობილია, მასში არ ფიქსირდება რაიმე სახის - და მით უმეტეს სტრუქტურული ხასიათის - შეუსაბამობა (ერთადერთ სავარაუდო და თანაც უმნიშვნელო გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ორად ორი ხაზი - 8, 475-476 [შდრ. Mueller, 1984: 169]). აღნიშნული გარემოება, ჩემი აზრით, იმაზე მიანიშნებს, რომ ამგვარი ჩამატება, თუკი ის მართლაც განხორციელდა ჰომეროსის მიერ, უნდა მომხდარიყო ,,ილიადის" გაფართოების ზეპირ ეტაპზე, რადგანაც სიუჟეტური შეუსაბამობის სახით აშკარა კვალი არ დაუტოვებია (ამდენად, თუ VIII სიმღერა, მართლაც, ჩამატებაა, ის გაფართოების საწყის, ზეპირ ეტაპზე უნდა განხორციელებულიყო და არა შედარებით გვიანდელ, წერილობით ეტაპზე). და

მართლაც, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პოემის ტექსტი ჯერაც არ იყო წერილობით დაფიქსირებული და მხოლოდ პოეტის მეხსიერებაში ინახებოდა (რასაც ზეპირი პოეზიის თეორია ე.წ. ზეპირ დაფიქსირებას უწოდებს), გაფართოების ამ, ანუ ზეპირ, ეტაპზე ტექსტის რედაქტირება, ბუნებრივია, გაცილებით უფრო ადვილად განხორციელდებოდა, რის შედეგადაც პოემის ამჟამინდელ ტექსტში VIII სიმღერასთან დაკავშირებით შეუსაბამობები, ფაქტობრივად, არ ფიქსირდება.

2) მეორე ჯგუფში ერთიანდება ტექსტის გაფართოებით გამოწვეული ის შეუსაბამობები, რომლებიც ჰომეროსს შემდგომი, დამატებითი განვრცობის გზითა აქვს განეიტრალებული, რაც, ვფიქრობ, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ განვრცობამდელი ტექსტი უკვე წერილობით იყო დაფიქსირებული, რის გამოც პოემის გაფართოების შედეგად მიღებული სიუჟეტური შეუსაბამობის ძველი, გაფართოებამდელი ტექსტის შეცვლის გზით რედაქტირება პოეტმა ვერ შეძლო. ამდენად, როგორც დამატებული ტექსტით პოემის გაფართოება, ისე ამის შედეგად წარმოქმნილი შეუსაბამობის ხელახალი გაფართოების საშუალებით განეიტრალება, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო წერილობით უკვე დაფიქსირებულ ტექსტში, ანუ გაფართოების წერილობით ეტაპზე (დაწვრ. იხ. ქვემოთ). ამ შემთხვევაში ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ პოეტი განავრცობდა უკვე წერილობით და არა „ზეპირად" დაფიქსირებულ ტექსტს (თუკი მონუმენტური ზომის მხატვრული ტექსტის „ზეპირად დაფიქსირება" საერთოდ შესაძლებელია).

3) მესამე ჯგუფისაა იმგვარი შეუსაბამობები, რომლებიც პირველი და მეორე ჯგუფის შეუსაბამობების მსგავსად პოეტის მიერ ასევე გაცნობიერებულია, მაგრამ ისინი მას მიზანმიმართულადა აქვს დატოვებული გაუნეიტრალებლად (ჩემი აზრით, შეუძლებელია, გენიოს პოეტს ვერ ეგრძნო, რომ მის მიერ ტექსტის გაფართოებას პოემაში ბუნდოვანი ადგილის გაჩენა მოჰყვა). ვფიქრობ, რომ ამგვარი შემთხვევები პოეტს გაუნეიტრალებლად ორი მიზეზით შეიძლება დაეტოვებინა:

ა) პოეტი გრძნობს წარმოქმნილ შეუსაბამობას, მაგრამ იმასაც აცნობიერებს, რომ არსებობს გაფართოების შედეგად მიღებული ახალი ტექსტის მთლიანობაში განსხვავებულად, ახლებურად გააზრების იმგვარი შესაძლებლობა, რომელიც არც მის ძირითად მხატვრულ ჩანაფიქრს ეწინააღმდეგება და იმავდროულად ახალგაჩენილ ბუნდოვან ადგილსაც თავისთავად, მისი (ანუ პოეტის) მხრიდან დამატებითი ძალისხმევის გარეშეც ანეიტრალებს. ამდენად, შესაძლებელი არის მისი გაუნეიტრალებლად დატოვება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ გარემოებაზე ჰომეროლოგიურ გამოკვლევებში ყურადღება გამახვილებული არ ყოფილა. აღნიშნულის საილუსტრაციო მაგალითად, ვფიქრობ, შეიძლება გამოდგეს ,,ილიადის" IX სიმღერის დუალისური ფორმების შემცველი საყოველთაოდ ცნობილი სცენა. თუკი აქ მართლაც თავდაპირველად არსებული ორი ელჩი სამით გაფართოვდა (რაშიც მე პირადად ეჭვი მეპარება), პოეტს სცენა კვლავინდებურად დუალისებით გადმოცემული სახით შეიძლებოდა დაეტოვებინა, თუკი გაიაზრებდა, რომ გაფართოების შედეგად მიღებულ ახალ ტექსტშიც, მთლიანობაში მისი სხვაგვარად გააზრების შემთხვევაში, ორობითი რიცხვის გამოყენება კვლავინდებურად გამართლებული იყო. კერძოდ, თუკი მანამდე დუალისური ფორმები შეესაბამებოდა ორ ელჩს - ოდისევსსა და აიასს, შემდგომში ფოინიქსის დამატების შედეგად მიღებული სამი ელჩი დუალისური წყვილის ერთ წევრად შეიძლებოდა გააზრებულიყო, ორი მაცნე კი - მეორე წევრად. როგორც ცნობილია, უნიტარისტული კონცეფციის ფარგლებში IX სიმღერის დუალისური ფორმების საკითხი სწორედ ამგვარადაა ახსნილი და ამდენად, ამ სცენის ბუნდოვან ადგილად მიჩნევის მართებულობა საფუძვლიანი ეჭვის ქვეშაა დაყენებული [გორდეზიანი, 2002: 54, 82].

ბ) პოეტი გაუნეიტრალებლად ტოვებს აშკარა შეუსაბამობას არა იმის გამო, რომ ხედავს ტექსტის მთლიანობაში ახლებურად გააზრებისა და ბუნდოვანი ადგილის თავისთავად ,,გაუვნებელყოფის" შესაძლებლობას, არამედ რაღაც სხვა მიზეზით. მაგალითად, იმის გამო, რომ გაფართოების შედეგად წარმოქმნილი ტექსტობრივი წინააღმდეგობის განეიტრალება ეწინააღმდეგება პოემის სიუჟეტური ხაზის განვითარებას, რომელიმე მთავარი გმირის ხასიათის თავისებურებას ან ზოგადად მის

პოეტურ კონცეფციასა თუ რომელიმე კონკრეტულ მხატვრულ ჩანაფიქრს. ამგვარ შემთხვევაში ,,ილიადის" ავტორს პოეტური ალღო, სავარაუდოდ, უკარნახებდა, რომ წარმოქმნილი ბუნდოვანი ადგილი მისი განეიტრალებით გამოწვეულ მოსალოდნელ შედეგთან შედარებით ნაწარმოებს მხატვრული თვალსაზრისით მთლიანობაში გაცილებით უფრო ნაკლებ ზიანს აყენებდა. აღნიშნულის მაგალითად გამოდგება ის შემთხვევა, რომელიც ჰომეროლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში სახელდებულია, როგორც ,,ილიადის" ,,XI და XVI წიგნებში ტექსტის ღია კონფლიქტი ელჩობასთან", ანუ IX სიმღერასთან. განსახილველი თეორიის ფარგლებში ეს შემთხვევა არც თუ უსაფუძვლოდ, საბოლოო ჯამში, ახსნილია ისევ და ისევ პოემის თანდათანობითი, ეტაპობრივი გაფართოებით: პატროკლოსისადმი მიმართვისას აქილევსი არც XI და არც XVI სიმღერაში ერთი სიტყვითაც არ ახსენებს შერიგების სანაცვლოდ აგამემნონის მიერ მისთვის წინა ღამით შეთავაზებულ საგანძურსა და ბრისეისის დაბრუნებას, თუმცა მიმდინარე საუბრის კონტექსტიდან გამომდინარე მას ამის გაკეთება შეუძლია [Mueller, 1984: 171-172]. თუკი დავუშვებთ, რომ ჰომეროსმა IX სიმღერა ,,ილიადის" ტექსტში, მართლაც, XI და XVI სიმღერებზე უფრო გვიან შეიტანა და ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა რაღაც მიზეზის გამო არ/ვერ გაანეიტრალა, მაშინ როგორღა ავხსნათ ვ. შადევალდტის მიერ შენიშნული ფაქტი, რომ XVI სიმღერაში, კერძოდ, პატროკლოსისადმი იმავე მიმართვის ფარგლებში აქილევსი ითვალისწინებს გვიანჩამატებულად ნავარაუდევ IX სიმღერაში მის მიერ თქმულ სიტყვებს, რომ ომში მხოლოდ მას შემდეგ ჩაებმება, როცა ბრძოლა მის საკუთარ ხომალდებს მიუახლოვდება: XVI, 61-63 = IX, 650-652 [შდრ. Mueller, 1984: 171-172]. თუკი ჰომეროსმა შეძლო და გაანეიტრალა ერთი სიუჟეტური წინააღმდეგობა, რატომ ვერ ან არ გააკეთა იგივე სხვა შემთხვევაში? ვფიქრობ იმიტომ, რომ ამგვარი განეიტრალებით იმ ,,მცირე" შეუსაბამობასთან შედარებით, რომელიც ამ ბუნდოვანი ადგილის პოეტის მიერ გაუნეიტრალებლად დატოვებამ გამოიწვია, ,,ილიადის" მხატვრულ სამყაროს გაცილებით უფრო დიდი, გამოუსწორებელი ზიანი მიადგებოდა. საქმე ისაა, რომ უნიტარისტული კონცეფციის მიხედვით, არაკეთილგონიერიდან კეთილგონიერ ქცევაზე *თანდათანობითი* გადასვლა აქილევსის ხასიათის განმსაზღვრელ, მის

უმთავრეს თვისებადაა მიჩნეული [გორდეზიანი, 2002: 116]. ამდენად, ,,ილიადის" მხატვრული ლოგიკის, კერძოდ, აქილევსის ხასიათის ზემოაღნიშნული თავისებურების გათვალისწინებით, რაც, ფაქტობრივად, განსაზღვრავს კიდეც მთელი პოემის სიუჟეტური ხაზის განვითარებას, პოეტისათვის მიუღებელი უნდა გამხდარიყო განსახილველი ბუნდოვანი ადგილის ამა თუ იმ ფორმით განეიტრალება: არც XI და არც XVI სიმღერაში (XIX სიმღერის დასაწყისისაგან განსხვავებით) აქილევსი ჯერაც არ არის მზად, აღიაროს IX სიმღერაში ელჩებთან საუბრისას მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უმართებულობა. მაგრამ პატროკლოსისადმი მიმართულ სიტყვებში მის მიერ აგამემნონის შემოთავაზების ამა თუ იმ ფორმით ხსენება სწორედ ამგვარი აღიარების ტოლფასი იქნებოდა უკვე XI ან XVI სიმღერაში.

ნათელია, რომ მესამე ჯგუფის ორივე - როგორც ა, ისე ბ - ტიპის ბუნდოვანი ადგილები შეიძლება წარმოქმნილიყო ,,ილიადის" გაფართოების როგორც ზეპირ, ისე წერილობით ეტაპზე. ამდენად, ჩემთვის, როგორც უნიტარისტული თვალსაზრისისა და იმავდროულად, წერილობითი ჰომეროსის კონცეფციის მომხრისათვის, მნიშვნელოვანია სწორედ მეორე ჯგუფის შეუსაბამობების გამოვლენა, რადგანაც ისინი ,,ილიადის" ფორმირების მრავალწლიან პროცესში, ჩემი აზრით, გაფართოების უდავოდ წერილობითი ეტაპების არსებობაზე მიუთითებენ (დაწვრ. იხ. ქვემოთ).

განსახილველი თეორიის ფარგლებში, როგორც ზემოთ ერთხელ უკვე აღვნიშნე, ,,ილიადის" გაფართოების სავარაუდო ეტაპები მოდელირებულია ანალიტიკური კონცეფციის (გ. ჰერმანის, ჯ. გროთის, ვ. ლიფის [Mueller, 1984: 166-167] და ბუნებრივია, უ. ფონ ვილამოვიც-მოლენდორფის [გორდეზიანი, 2002: 51-52] ნაშრომების), ფაქტობრივად, მთლიანად და უცვლელი სახით გათვალისწინების გზით. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ორი ან მრავალი ავტორი შეცვლილია ერთით - თავად ჰომეროსით. თუმცა, ამგვარი ,,ინოვაცია", ჩემი აზრით, არ არის საკმარისი ანალიტიკური და უნიტარისტული თეორიების ერთმანეთთან ბოლომდე ,,მოსარიგებლად". საქმე ისაა, რომ თანამედროვე უნიტარისტული თეორია არა მხოლოდ პოემების ერთავტორობას და

ამდენად, მათ მხატვრულ ერთიანობას ასაბუთებს, არამედ - *წერილობითი* ჰომეროსის კონცეფციასაც. აღნიშნულის დასამტკიცებელ არგუმენტებად კი მიიჩნევს პოემებში სტრუქტურული სიმეტრიის ერთიანი ბადის არსებობას როგორც მიკრო-, ისე მაკროსტრუქტურულ დონეებზე, გმირთა ექსპონირებისას, ანუ პოემაში პირველად მოხსენიებისას, მათი ,,წარდგენის" კანონზომიერებას, ,,ილიადასა" და ,,ოდისეას" შორის მითოლოგიური ინფორმაციის დეტალებამდე გათვლილ განაწილებას და სხვა [გორდეზიანი, 2002: 125-126], რაც, ვფიქრობ, შეუძლებელია აიხსნას პოემათა შექმნის ხანგრძლივი პროცესის ბოლოს წერილობითი ეტაპების არსებობის დაშვების გარეშე. მაგრამ განსახილველი თეორიის ფარგლებში წარმოდგენილი ,,ილიადის" ფორმირების სავარაუდო ეტაპების ზოგადი მონახაზი გაფართოების წერილობითი ეტაპის ფუნქციას, *ფაქტობრივად*, ხედავს ზეპირად უკვე თავიდან ბოლომდე შექმნილი - კომპოზიციურად ერთიანი და იმავდროულად მონუმენტური, ანუ ბოლომდე გაფართოებული, - პოემის ტექსტის მხოლოდ დაფიქსირებასა და მის უცვლელად ტრანსმისიაში [Mueller, 1984: 162-176].

ზეპირი ფორმით არსებულ ,,ილიადას", ჩემი ვარაუდით, შეიძლებოდა ჰქონოდა მხატვრული ერთიანობა, მაგრამ იმავდროულად ვერ ექნებოდა მონუმენტური ზომა. ამას რამდენიმე გარემოება მაფიქრებინებს, რომელთაგან უმთავრესი ისაა, რომ გაფართოების ზეპირ ეტაპზე ,,ილიადის" დასაწყისსა და დასასრულს შორის სიმეტრიას მხატვრული ფუნქცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჰქონოდა, თუკი ეს პოემა ერთჯერადი შესრულებისთვის იქნებოდა განკუთვნილი. სხვაგვარად რომ ვთქვა, თუკი ,,ილიადა" ჯერაც არ იქნებოდა მონუმენტური ზომის [ხინთიბიძე, 2005: 277-279, 330-331]. ამდენად, გაფართოების წერილობითი ეტაპების გარეშე, გაფართოების მხოლოდ ზეპირ ეტაპებზე ,,ილიადა" ამჟამინდელ მონუმენტურ ზომამდე, თეორიულად, კი შეიძლება გაზრდილიყო, მაგრამ ვერ შეინარჩუნებდა კომპოზიციურ ერთიანობას, ხოლო თუკი ის (კომპოზიციური ერთიანობა) არ გააჩნდა, ვერც შეიძენდა. ამასთანავე, ვფიქრობ, რომ ,,ილიადის" ტექსტი ფორმირების ვერც წერილობით ეტაპზე გაფართოვდებოდა მასში ვრცელი სიუჟეტური ნაწილების, ანუ მთლიანი მზა სიმღერების, ჩამატების გზით (რისი ალბათობაც განსახილველი თეორიის ბოლომდე გაზიარების შემთხვევაში

მთლიანად ვერ გამოირიცხება). საქმე ისაა, რომ ამგვარი სახის გაფართოება ზეპირ ეტაპზე ფორმირებული მცირე ზომის წერილობით დაფიქსირებულ პოემაში არა მხოლოდ ცალკეულ, არასტრუქტურული, ანუ ე.წ. რედაქციული, ხასიათის შეუსაბამობებს წარმოქმნიდა, როგორც ეს ,,ილიადის" ამჟამინდელ ტექსტში ფიქსირდება, არამედ მასში (პოემაში) არსებული კომპოზიციური სიმწყობრის სრულ რღვევას გამოიწვევდა. როგორც ცნობილია, ამის კარგი საილუსტრაციო მაგალითია *ილიადის* X სიმღერა - *დოლონია* [შდრ. Mueller, 1984: 175-176]. ამდენად, წინასწარ სხვა მიზნით უკვე შექმნილი მთლიანი სიმღერის და მით უმეტეს, სიმღერათა ჯგუფის (II-VII და XII-XV) თუნდაც თავად ჰომეროსის მიერ ჩამატება ე.წ. წინარე-ილიადაში, მისი შემდგომი გაფართოების მიზნით [შდრ. Mueller, 1984: 173] და ამის შედეგად იმგვარი კომპოზიციური ერთიანობის მქონე პოემის მიღება, როგორიც ჩვენთვის ცნობილი ,,ილიადაა", ჩემი ვარაუდით, სრულიად შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. თანაც, შეუძლებელი უნდა ყოფილიყო გაფართოების როგორც ზეპირ, ისე - და მით უმეტეს - წერილობით ეტაპებზე.

როგორც ზემოთ უკვე მივანიშნე, კომპოზიციური ერთიანობის შენარჩუნებასთან ან მით უმეტეს, მის კიდევ უფრო განმტკიცებასთან ერთად ,,ილიადა" მონუმენტურ ზომამდე, ჩემი აზრით, შეიძლებოდა გაფართოებულიყო მხოლოდ წერის ეტაპზე. ამდენად, ბუნებრივია, ისმის კითხვა: ზეპირ ეტაპზე კომპოზიციურად უკვე ერთიანი ფორმით არსებული შედარებით მცირე ზომის მქონე ტექსტი მისი გაფართოების წერილობით ეტაპებზე როგორ შეიძლებოდა გაზრდილიყო მონუმენტურ ზომამდე და იმავდროულად, არამც თუ არ დაეკარგა მხატვრული ერთიანობა, არამედ ის ამჟამინდელი ,,ილიადის" დონემდე აემაღლებინა? ვფიქრობ, რომ ამგვარი რამ შესაძლებელი შეიძლება გამხდარიყო *ძირითადად* ნარატიული ნაწილებისაგან შედგენილი წერილობით დაფიქსირებული ტექსტის, *მნიშვნელოვანწილად*, სწორედ დიალოგური პარტიებით გაფართოების გზით. სწორედ იმ დიალოგური პარტიებისა, რომელთა ესოდენ დიდი რაოდენობითაც, არისტოტელეს თანახმად [Aristotle's...: 1460a5-11], ჰომეროსის პოემები აგრერიგად აღემატებოდა მისთვის (არისტოტელესათვის) ცნობილ ყველა სხვა ეპიკურ პოემას.

ზემოაღნიშნული ტიპის გაფართოების საილუსტრაციოდ, სტატიის ფორმატის გათვალისწინებით, ყურადღებას ამჯერად მხოლოდ ერთ შემთხვევაზე გავამახვილებ, რომელიც ,,ილიადის" IX სიმღერაში ფიქსირდება. აღნიშნული სიმღერის 676-692 სტრიქონებში აქილევსისაგან დაბრუნებული ოდისევსი აგამემნონის მიმართვის პასუხად ანგარიშს აბარებს მას, თუ რა შედეგით დასრულდა ელჩობა. თუმცა, ოდისევსის ანგარიში ასახავს აქილევსის მიერ მხოლოდ მისთვის ნათქვამ სიტყვებს და გაკვრითაც კი არ მოიხსენიებს ამის შემდეგ აქილევსსა და ფოინიქსს, ხოლო ელჩობის ბოლოს კი აქილევსსა და აიასს შორის შემდგარი საუბრების შედეგებს. ოდისევსის ამგვარი ,,გულმავიწყობის" მიზეზით აგამემნონსა და აქაველებს ექმნებათ შთაბეჭდილება, რომ აქილევსი მეორე დღეს გამთენიისთანავე დაუყოვნებლივ გაცურავს სამშობლოსაკენ, მაშინ როცა, სინამდვილეში, მას უკვე გადაფიქრებული აქვს სახლში დაბრუნება და ისიც კი აქვს ნათქვამი, თუ რა შემთხვევაში დაუბრუნდება ბრძოლის ველს. ანტიკურობიდან მოყოლებული ამ ადგილს ყურადღება არაერთხელ მიექცა და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მას, ფაქტობრივად, ყოველთვის ანალიტიკურად განიხილავდნენ [*Mühll, 1952: 180-181[2]*]. *მაგრამ თავად ჰომეროსის მიერ ,, ილიადის" ეტაპობრივი გაფართოების თეორიის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ნათელია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ორი - A და B - პოეტის მოღვაწეობის კვალი კი არ უნდა დავინახოთ, არამედ ერთი და იმავე ავტორის - ჰომეროსის - მიერ თავისი პოემის თანდათანობითი გაფართოების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეტაპები.*

აღნიშნული თვალსაზრისით ,, ილიადის" IX სიმღერის 676-692 სტრიქონებზე დაკვირვება, ჩემი აზრით, საინტერესო ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ თანდათანობით ფართოვდებოდა IX სიმღერა. კერძოდ, ვფიქრობ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენამდე მოღწეული სახით ,,ილიადის" IX სიმღერის ტექსტის ამ მონაკვეთმა შემოინახა პოემის ფორმირების ის ეტაპი, როდესაც აქილევსთან მისული სამი ელჩიდან (ოდისევსი, აიასი, ფოინიქსი) მას სიტყვით მიმართავდა მხოლოდ ერთი - ოდისევსი, დანარჩენები კი საუბარში მონაწილეობას არ იღებდნენ. თუკი ჩემი ვარაუდი საფუძველს არ არის მოკლებული, მაშინ ფაქტია, რომ გაფართოების ამ ეტაპზე ტექსტი უკვე წერილობით იყო დაფიქსირებული. ამაზე, კერძოდ, ის გარემოება უნდა

მიუთითებდეს, რომ IX სიმღერის ტექსტის გაფართოების ერთ-ერთ შემდგომ ეტაპზე, როდესაც სრულიად გასაგები მიზეზების გამო ჰომეროსმა საჭიროდ ჩათვალა, აქილევს-ოდისევსის საუბრისათვის აქილევს-ფოინიქსისა და აქილევს-აიასის საუბრები ,,დაემატებინა", ამის შედეგად ,,მოძველებული" 676-692 სტრიქონები მან (ჰომეროსმა) არც ამოიღო და არც შეცვალა, არამედ კიდევ უფრო განავრცო დიომედეს მიმართვით აგამემნონისადმი (IX, 696-709). დიომედეს მიერ წარმოთქმული ეს გამამხნევებელი ხასიათის სიტყვა შეიძლება მანამდეც ყოფილიყო IX სიმღერის ტექსტში, მაგრამ - არა 701-703 სტრიქონები, რომლებშიც ოდისევსის ანგარიშისაგან განსხვავებით, *ფაქტობრივად*, ასახულია როგორც აქილევსის პასუხი ფოინიქსისადმი[3], ისე მისივე პასუხი აიასისადმი[4].

ზემოგანხილული შემთხვევა, რომელიც ,,ილიადის" ფორმირების ერთ-ერთ დამასრულებელ ეტაპზე წერილობით მანამდე უკვე დაფიქსირებული ტექსტის *სწორედ დიალოგური პარტიებით* გაფართოების საილუსტრაციო მაგალითად გამოდგება, ჩემი აზრით, ამასთანავე იმაში დარწმუნების შესაძლებლობასაც გვაძლევს, რომ ჰომეროსი თავის მონუმენტურ ქმნილებას მართლაც ორგვარი ტექსტობრივი მოდალობის ზღვარზე ქმნიდა [Mueller, 1984: 172] - ზეპირისა და წერილობითის, მაგრამ არა იმგვარად, როგორც ეს *მეტწილად* ანალიტიკურ კონცეფციაზე დაყრდნობით შეიძლება იქნას მოდელირებული.

და ბოლოს, ყურადღება მინდა გავამახვილო კიდევ ერთ გარემოებაზე. ,,ილიადის" IX სიმღერის ეტაპობრივი გაფართოების შესახებ ზემოთ ჩემ მიერ წარმოდგენილი ვარაუდის გათვალისწინებით, ნათელი ხდება, რომ შესაძლებელია ელჩობის სცენაში არსებული დუალისური ფორმების ოდნავ განსხვავებულად - თუმცა კვლავინდებურად უნიტარისტული პოზიციიდან - ინტერპრეტაცია. მაგრამ ეს უკვე ცალკე განხილვის თემაა და ამდენად, აღემატება წინამდებარე სტატიის მიზნებს.

---

[1] გაწეული კონსულტაციისათვის მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მასწავლებელს, პროფესორ რისმაგ გორდეზიანს.

[2] *იქვეა საკითხის შესახებ ბიბლიოგრაფიაც.*

[3] მეორე დილით ერთად მოეფიქრებინათ, სახლში დაბრუნებულიყვნენ, თუ იქვე დარჩენილიყვნენ (ἀλλ᾽ ἤτοι κεῖνον μὲν ἐάσομεν ἢ κεν ἴῃσιν, ἦ κε μένῃ [Homer: IX, 701-702a]).

[4] თუ რა შემთხვევაში ჩაებმებოდა იგი ბრძოლაში (τότε δ᾽ αὖτε μαχήσεται, ὁππότε κέν μιν θυμὸς ἐνὶ στήθεσσιν ἀνώγῃ καὶ θεὸς ὅρσῃ [Homer: IX, 702b-703].

ლიტერატურა:

1. გორდეზიანი რ. ბერძნული ლიტერატურა (ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა), ტომი. I.- თბილისი, 2002
2. ხინთიბიძე ზ. არისტოტელეს პოეტიკის ერთი ადგილის (XXIV 1460a5-11) ინტერპრეტაციისთვის, მოხსენება წაკითხული საერთაშორისო კონფერენციაზე საბერძნეთი - ევროპული იდენტობა - საქართველო, 27-29 ივნისი, თბილისი, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies, International Conference, GREECE – EUROPEAN IDENTITY – GEORGIA, 27-29 June, Tbilisi.- 2012
3. ხინთიბიძე ზ. ჰომეროსი და რუსთველი. კომპოზიციური ორგანიზაციის ჰომეროსისეული პრინციპები და ეპიკური ტრადიცია.- თბილისი,2005
4. Aristotle's Ars Poetica (Greek text), ed. R. Kassel, Oxford, Clarendon Press, 1966. The Annenberg CPB/Project provided support for entering this text. http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A1999.01.
5. Else G. F. Aristotle's Poetics: the Argument.- Leiden,1957
6. Fenik B. Homer and the Nibelungenlied (comparative studies in epic style), MCL, v. XXX, Harvard UP, Cambridge, Massachusetts, and London.- England,1986

7. Iliad, Homer. Homeri Opera in five volumes, Oxford, Oxford University Press, 1920. The Annenberg CPB/Project provided support for entering this text. http://www.perseus.tufts.edu/hopper/text;jsessionid=088DBC01DE51CEADCE078E02297FFF92?doc=Perseus%3Atext%3A1999.01.0133%3Abook%3D9%3Acard%3D669.
8. Lucas D. W. Aristotle, Poetics, Introduction, Commentary and Appendixes, Clarendon Press, Oxford.- 1978
9. Mueller M. The Iliad, MCL.- London, 1984
10. Mühll P. von der. Kritisches Hypomnema zur Ilias, Basel.- 1952
11. Page D. L. History and the Homeric Iliad, University of California Press,Berkeley, Los Angeles.- London (Reissued, 1976) - 1959
12. Schadewaldt W. Iliasstudien.-Leipzig. -1938

ნინო ფიფია

ვერაგობა, როგორც სტრატეგია, ხორხე ლუის ბორხესის „მზაკვრობის მსოფლიო ისტორიაში“

წინამდებარე სტატიაში განხილულია XX საუკუნის ესპანურენოვანი ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, ხორხე ლუის ბორხესის (1899-1986), შემოქმედების ადრეულ ეტაპზე დაწერილი ნაწარმოების „მზაკვრობის მსოფლიო ისტორიის" სტრუქტურა, მთავარი გმირების ხასიათი და ვერაგობა, როგორც სტრატეგია, მიზნის მიღწევის პროცესში.

ესპანურენოვანი სამყაროს ლიტერატურას ქართველი მკითხველი ინგლისურ, ფრანგულ თუ გერმანულენოვან პროზასა და პოეზიასთან შედარებით ნაკლებად იცნობს. რაც შეეხება კონკრეტულად ზემოხსენებულ მწერალსა და მოაზროვნეს, ქართულად მხოლოდ მისი მოთხრობების მცირე ნაწილია თარგმნილი და ხელმისაწვდომი.

აღნიშნული ნაწარმოები ბორხესმა შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისში დაწერა. იმ პერიოდში, როცა მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგიური თუ ფანტასტიკური სახის ნარატიული ენის შემუშავება. 1935 წელს პირველად ჩნდება მისი ნამუშევარი „მზაკვრობის მსოფლიო ისტორია", რომელსაც მოჰყვა „ფიქციები", „ალეფი" და სხვ. თავად სიტყვა infamia („მზაკვრობა") ავტორს შეგნებულად აურჩევია, რათა „მკითხველი პირველივე წუთებიდან დააყრუოს. არადა, მის მიღმა არაფერია. ეს მხოლოდ გარეგან ხატებათა ერთობლიობაა. კაცი, რომელმაც განიზრახა მისი დაწერა, ძალიან უბედური იყო, მაგრამ გაბედა ამის გაკეთება." [Borges, 2004:10-11].

თავად სათაური სხვადასხვა ენაზე მეტ-ნაკლებად განსხვავებულად ითარგმნა. იმის გამო, რომ სიტყვა infamia ასე დატვირთულია სემანტიკურად, ხელაღებით ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე მათგანი მეტად ან ნაკლებად მართებულია. მიზანშეწონილი იქნებოდა, ეს სიტყვა ქართულად თარგმნილიყო, როგორც „მზაკვრობა" (შდრ. ფრანგულად ეს ნაწარმოები ითარგმნა, როგორც "Histoire universelle de l'infamie" [Borges,1994:3]

იტალიურად "Storia universale dell'infamia"[Borges,1997:3], გერმანულად "Universalgeschichte der Niedertracht und andere Prosastücke" [Borges,1976:5], რუსულად კი მკითხველისთვის ხელმისაწვდომია რამდენიმე ვარიანტი: "Всеобщая история бесчестья" [Борхес,1989:3], "Всеобщая история подлогов" [Борхес,2004:3], ან "Всеобщая история низосты" [Борхес,2006:3]).

ესპანური ენის განმარტებითი ლექსიკონი და ენის სამეფო აკადემია გვთავაზობს ამ სიტყვის შემდეგ განმარტებებს:

ამ წყაროების თანახმად, სიტყვა infamia ნიშნავს:

Infamia- 1.Acción infame de palabra u obra; 2. Cualidad de infame

Infame - Que es vil o detestible. [Valdeiglesias, 1995:501]

RAE (Real Academia Española) კი განმარტავს: infamia: 1. descredito, deshonra; 2. Maldad, vileza en cualquier forma [RAE, ინტერნეტრესურსი]

ვინაიდან ესპანურ ენაში ხსენებული სიტყვა გამოხატავს ყოველგვარ სიავესა და ბოროტებას, რისი მოფიქრებაც კი შეუძლია ადამიანის გონებას, ქართულში მის ზუსტ ეკვივალენტად, ალბათ, შესაძლებელი იქნება, დავასახელოთ სიტყვა „მზაკვრობა". კლასიკური გაგებით, მზაკვარი არის ადამიანი, რომელიც ცუდს ჩადის არა ცხადად, არამედ ფარულად. არნოლდ ჩიქობავას რედაქციით გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი მიუთითებს, რომ სიტყვა „მზაკვრობა" არის თვალთმაქცობა, ცბიერება, ფლიდობა, მუხანათობა. „მზაკვარი" ზაკვის მოქმედი, მუხანათი ადამიანია. [ჩიქობავა,1958:238]

რადგანაც ქართულში „მზაკვარი", „ვერაგი", გაცილებით უარყოფითი კონოტაციის მქონე სიტყვაა, ვიდრე, მაგალითად, „გაიძვერა" ან „უსირცხვილო", ვამჯობინეთ ნაწარმოების სათაური თარგმნილიყო, როგორც „მზაკვრობის მსოფლიო ისტორია".

„მზაკვრობის მსოფლიო ისტორია" 16 მოთხრობისაგან შედგება. პირველი შვიდი მოთხრობა სტრუქტურულად ერთნაირია და მისდევს მოთხრობის ქვეთავებად დაყოფის პრინციპს.

ყველა მოთხრობა შედგება პატარა ქვეთავებისაგან, რომელთა სათაურებიც ისეა შერჩეული, რომ ავტორი გარკვეულწილად ახარისხებს მათ დროის, ადგილის თუ გარემოებების მიხედვით. აქ თითქმის არ გვხვდება სათნოებით აღსავსე ადამიანები, ესაა ლაზღანდარების, მეკობრეების, ყაჩაღების, მკვლელებისა თუ თვითმარქვიების ერთიანობა, ჯაჭვი, რომელიც არ წყდება. ავტორს სურს, მოიცვას ყველა და ყველაფერი, სამხრეთამერიკელი მონათა ვაჭრითა და ნიუ-იორკელი განგსტერებით დაწყებული XVIII საუკუნის არაბი მღებავითა და ჩინელი მეკობრე ქალით დამთავრებული.

ამ მოთხრობებში თემის პარადოქსულობა და ირონია თამამად ეხამება ურთიერთსაწინააღმდეგოს. ის რამდენიმე ფაქტორს ემყარება: პირველი აგებულია სიუჟეტზე, რომელშიც ხდება სხვისი სახელის, ვინაობის მითვისება (როგორც ამას ტომ კასტროსა და ნიღბიანი მღებავის შემთხვევაში ვხვდებით), მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს პიროვნების ან იდენტობის წინააღმდეგობასთან, როგორც ეს ხდება ჩინგის ქვრივის, მონკ ისთმანის, ბილ ჰარიგანისა და კოტსუკე-ნო-სუკეს შემთხევებში. ჩინგის ქვრივი მამაცი ქალია, რომელსაც თავისი სამართლის კოდექსი აქვს, მონკ ისთმანი კი სამხედრო მოღვაწეობის პერიოდში კატეგორიულად ეწინააღმდეგება ადამიანის დატყვევებას და თამამად იბრძვის მეგობართა მხარდამხარ ბრძოლის ველზე. ამ ადამიანების აღსაწერად ბორხესი ოქსიმორონს მოუხმობს [Serra, 2009:659]. იყენებს ისეთ პარადოქსულ შეპირისპირებას, როგორიცაა „საზარელი კეთილისმოქმედნი" *(terribles bienechores)* [Borges, 2004:18]. ოქსიმორონს, როგორც პარადოქსის ერთ-ერთ სახეს, ავტორი მოულოდნელობის ეფექტის მისაღწევად იყენებს.

ამ მოთხრობების საერთო ქარგა აუცილებლად გულისხმობს ტყუილს. მაგალითად, სასტიკი განმათავისუფლებელი ლასარუს მორელი, ტომ კასტრო და ჰაქიმი მერვიდან თავიანთ მიზნებს სხვისი სახელის მითვისებით აღწევენ. პირველ შემთხვევაში

ლასარუსი ირგებს ახალ როლს, მონებს ,,ათავისუფლებს", თვალზე ცრემლმომდგარი კითხულობს ,,წმინდა წერილებს", ტომ კასტრო კი ახალგაზრდა თიჩბორნად ასაღებს თავს და გულმოკლულ დედას თავხედურად ეცხადება, ჰაქიმს უფლის მოციქულად მოაქვს თავი.

აღსანიშნავია, რომ პიროვნების/იდენტობის უზურპაციას სასურველი შედეგი მხოლოდ პირველ ჯერზე მოაქვს, პროტაგონისტთან (რომელიც პარადოქსულად ანტაგონისტიცაა) მოდის სანატრელი დიდება, რომელსაც აუცილებლად მოსდევს მარცხი, საყოველთაო უარყოფა, გაძევება და შესაბამისი სასჯელი.

პირველივე მოთხრობაში ,,სასტიკი განმათავისუფლებელი ლასარუს მორელი" (El atroz redentor Lazarus Morell) ბორხესი მოუხმობს ისეთ სიტყვათშეხამებებს, როგორებიცაა ,,დანაშაულებრივი და შესანიშნავი არსებობა სასტიკი განმათავისუფლებლის, ლასარუს მორელისა" *(la culpable y magnífica existencia del atroz redentor Lazarus Morell)* [Borges, 2004:18], ,,შეუდარებელი ნაძირალა" *(incomparable canalla)* [Borges, 2004:18], ,,პატივსაცემი ნაგავი" *(basura venerable)* [Borges, 2004:18]; ბორხესი ხშირად იშველიებს ირონიულ დასასრულს, მაგალითად, ლასარუს მორელი სულაც არ ხდება შურისძიების მსხვერპლი, იგი უბრალოდ, ფილტვების ანთებით კვდება.

,,მზაკვრობის მსოფლიო ისტორიაში" კანონის დარღვევას, ანუ დანაშაულს, ყოველთვის მოსდევს დროებითი გამარჯვება, თუმცა, საბოლოოდ ავტორი კანონის უზენაესობას გვიჩვენებს და ამ თაღლითებსა თუ კაცისმკვლელებს სამართლიან სასჯელს უვლენს.

თუ ვლადიმერ პროპის თეორიას მოვიშველიებთ, რომელიც ამბობს, რომ სხვადასხვა ნაწარმოებს აქვს საერთო უცვლელი ელემენტები და რომ ზოგადად ყველა ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია ოცდაათზე მეტი საერთო ელემენტი [Propp, 2003:25], აღმოვაჩენთ, რომ რამდენიმე მათგანი ჩვენთვის საინტერესოა ბორხესის ამ კონკრეტულ ნაწარმოებებთან მიმართებითაც. ესენია:

- აკრძალვა, რაც ინტრიგის საწყისს წარმოადგენს;
- სიცრუის საშულებით პირადი კეთილდღეობის გაუმჯობესების სურვილი;
- ბოროტმოქმედება, კანონის დარღვევა მიზნების მისაღწევად;
- მთავარი გმირის მშობლიური ადგილებიდან წასვლა;
- ბედის უეცარი საჩუქარი;
- ძიება, რომელსაც მთავარი გმირი მიჰყავს მოგზაურობამდე;
- სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა;
- საზოგადოების მიერ მთავარი გმირის შევიწროვება;
- თვალთმაქცობა (მთავარი გმირი ხშირად სხვა ადამიანის სახელსა და ცხოვრებას ირგებს);
- დასჯა (გმირი ისჯება ჩადენილი ქმედებების გამო).

მოთხრობებში ძირითადად სამი მუდმივი ფაზაა წარმოდგენილი. ესენია:

სურვილი (ჟინი)- მთავარ გმირს სწყურია სახელი, დიდება, ფული, ძალაუფლება, სხვაზე აღმატება, რასაც ყოველთვის აღწევს ზნედაცემული საქციელითა და მზაკვრული ხერხებით. ამ სურვილით ხელმძღვანელობენ ლასარუს მორელი, ტომ კასტრო, მეკობრე ქვრივი ჩინგი, დანაშაულებრივ საქმეთა ოსტატი მონკ ისთმანი, გულგრილი მკვლელი ბილ ჰარიგანი, ნიღბიანი მღებავი.

დაკმაყოფილება (დროებითი კმაყოფილება) - მთავარი გმირები ახერხებენ ბილწი ზრახვების დაკმაყოფილებას, ოღონდ აუცილებლად უსამართლო გზით.

საბოლოო კრახი და სამართლიანი სასჯელი - ესაა მოთხრობების დასკვნითი ეტაპი, ბოლო ფაზა. მთავარი გმირი განიცდის კრახს, იღებს ღირსეულ სასჯელს (სიკვდილის ან ფსიქიური აშლილობის სახით). აქ გამონაკლისია ჩინგის ქვრივი, რომელმაც ჭკუას უხმო და იმპერატორს დანებების სანაცვლოდ შეწყალება სთხოვა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გამონაკლისი წესს ადასტურებს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა ამ მოთხრობაში საქმე გვაქვს ორმაგ პოლარულობასთან. იქ, სადაც არის ვერაგობა, არის სასჯელიც არაეთიკური საქციელის გამო. სადაც კანონგარეშე მოქმედებაა, ნაჩვენებია კანონის უზენაესობაც. უსამართლობას აუცილებლად მოსდევს სამართლიანი დასასრული.

ისტორია, რომლითაც ბორხესი ხსენებულ ნაწარმოებს იწყებს, ლასარუს მორელს შეეხება. ავტორი გვაცნობს XIX საუკუნის დასაწყისს, ამერიკის ისტორიის შავ პერიოდს, მონობით ვაჭრობისა და ექსპლუატაციის ხანას. დილიდან საღამომდე მუშაობით გამოფიტულ მონათა შორის ავტორი გვაცნობს თავმომწონე თეთრკანიანს -ლასარუს მორელს. ლასარუსი გულცივი მკვლელია, რომელიც გაუბედურებულ მონებს თავისუფლებას ჰპირდება, სანაცვლოდ კი მათ მხოლოდ ახალ ბატონებს „ჩუქნის". მორელი თანამზრახველებთან ერთად მრავალ მონას გაყიდის, სანამ მას ერთ-ერთი „შეფიცული" არ დააბეზღებს. მასზე ნადირობა ცხადდება. 1835 წელს ლასარუსი ვინმე საილეს ბაკის სახელით ფილტვების ანთებით ხვდება ნეტჩეზის საავადმყოფოში და იქ კვდება.

ავტორს ლოგიკურად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს მკითხველი დასასრულისაკენ. მისთვის მნიშვნელოვანია ახსნას, რა უდევს საფუძვლად ამა თუ იმ მოვლენას. ლასარუს მორელი ზნედაცემულობის სიმბოლოა, ადამიანი, რომელიც ინიღბება „წმინდა წერილების გულისამაჩუყებელი კითხვით". უბადრუკი და ჭაობიანი მინდვრები ისეთივე საშინელი და ჯოჯოხეთურია, როგორიც ამ მიწის წიაღიდან გამოსული ადამიანები. ლასარუსისთვის არაფერი წმინდა არ არსებობს, კაცი, რომელიც მზადაა, საათობით იკითხოს საღვთო წერილები აღელვებული ხმით, თვალის დაუხამხამებლად კლავს ადამიანს, რომლის უკანასკნელი სურვილი მხოლოდ ლოცვის წაკითხვაა. მწერალი თითქოს არ იყენებს მეტაფორას, ხატოვან გამონათქვამებს და უბრალო ენით ყვება ამბებს, რომელთაც შეუძლია, ბოლომდე შეძრას მკითხველი.

თუკი ლასარუსს თავისი შავბნელი საქმეების შესრულებაში ხელს ღალატი შეუშლის, მომდევნო მოთხრობის „უსირცხვილო მატყუარა ტომ კასტრო" გმირს, ტომ კასტროს,

მხოლოდ თავისი მოსამსახურის ერთულება და თავდადება შველის. არტურ ორტონი, იგივე ტომ კასტრო, ერთი ჩვეულებრივი ყასბის შვილია, რომელიც მშობლებისგან თავის დაღწევას გაქცევით ახერხებს. სიდნეიში კასტრო გაიცნობს ზანგს, სახელად ბოგლს, რომელსაც დაუმეგობრდება კიდეც. 1865 წელს ისინი ადგილობრივ გაზეთში კითხულობენ განცხადებას ვინმე როჯერ თიჩბორნის გარდაცვალების შესახებ. რისი დაჯერებაც არ სურს დედას, გულმოკლულ ქალბატონ თიჩბორნს. სწორედ მაშინ დაებადება ბოგლს შესანიშნავი იდეა. ის კასტროს დაარწმუნებს, რომ ლედი თიჩბორნს მისწეროს წერილი და აუწყოს, რომ ცოცხალია.

მიუხედავად იმისა, რომ გაუნათლებელ კასტროს საფრანგეთში აღზრდილ, დახვეწილ ახალგაზრდასთან საერთო არაფერი აქვს, თიჩბორნები მას მაინც მიიღებენ. თუმცა, ლედი თიჩბორნის გარდაცვალების შემდეგ ნათესავები კასტროს აუჯანყდებიან და სასამართლოში უჩივლებენ. ორტონს მხოლოდ იმ მრავალრიცხოვან კრედიტორთა არმია უჭერს მხარს, რომელთაც იმედი აქვთ, რომ ოდესმე ვალს დაიბრუნებენ. პროცესის მიმდინარეობისას იღუპება ბოგლი, რაც სერიოზულად აისახება კასტროზეც. 1874 წლის 27 თებერვალს არტურ ორტონს, იგივე ტომ კასტროს მიესაჯა 14-წლიანი კატორღა იძულებით მუშაობის პირობით. კარგი ყოფაქცევისათვის ვადა 4 წლამდე შეუმცირდა. ციხიდან გამოსულს საჯარო გამოსვლები „დასჩემდა", ლაპარაკს თავის უდანაშაულობაზე საუბრით იწყებდა და თვითკრიტიკით ასრულებდა. მოთხრობის დასასრულს კასტრო კვდება.

ნიშანდობლივია, რომ ნაწარმოებში დახატული გმირების უმრავლესობა ღარიბი ოჯახებიდან არიან. მათ აქვთ დაუძლეველი ჟინი, შური იძიონ მთელ სამყაროზე. ტომ კასტროც უბედურია ლასარუსის მსგავსად. ოღონდ მათ შორის განსხვავება ისაა, რომ ლასარუსი გამოირჩევა იშვიათი გამჭრიახობით, ტომ კასტრო კი მხოლოდ მარიონეტია ბოგლის ხელში. თავად ბოგლი მშვიდი და თვინიერი ფინიაა, რომელსაც მხოლოდ ერთი რამ სურს: ასიამოვნოს პატრონს. საკმარისია, ბოგლი მოკვდეს და კასტრო, როგორც „შეკოწიწებული" პიროვნება, ქრება. ამის დასტურია მისი საჯარო გამოსვლები ციხის შემდგომ პერიოდში. კასტროს გონება არეული აქვს, არ გააჩნია პიროვნული „მე" და ვერ

გარკვეულა თავის თავში. მისტიციზმი ამ ამბავში უფრო მეტად იგრძნობა, ვიდრე სასტიკი განმათავისუფლებლის ისტორიაში.

ბოგლის ბავშვობისდროინდელი ზმანებანი და შიში შესაძლო სიკვდილის წინაშე მისტიკური ჩანართია. ამავეს თქმა შეიძლება უფალთან მის საუბრებზეც. ეტლები სიკვდილის მსახვრალი ხელის სიმბოლოა, იმ სიკვდილისა, ერთხელ რომ აუცილებლად წამოეწეოდა მას.

ბოგლი, ტომი და ლასარუსი საზიზღარი, უგულო ადამიანები არიან. პირველი ორი სასოწარკვეთილი ქალის იმედებზე აგებს მთელ თავის წარმატებას, ლასარუსი კი დამონებული, წაქცეული ადამიანების იმედებით ვაჭრობს. ამ იმედებს ყიდულობს, ისევ ყიდის და საბოლოოდ მისისიპის მღვრიე წყლებში მიუჩენს ადგილს.

ბორხესი ნელ-ნელა აფართოებს ფანტასტიკური სამყაროს არეალს. იგი გვიყვება ისტორიას მეკობრე ქალზეც, რომელსაც უზარმაზარი ფლოტი ჰყავს და დათარეშობს ჩინეთის ნაპირებთან. ის ისეთი მონდომებით ძარცვავს ნაპირებს, რომ დაზარალებული მოსახლეობა თავს ანებებს თევზაობას და მათთვის უცხო საქმიანობას, აგრარულ სამუშაოებს, ჰკიდებს ხელს. ეს მეტ ზიანს აყენებს იმპერიას, რადგანაც სერიოზულად აფერხებს ვაჭრობის განვითარებას. ჩინგის ქვრივის თარეში ცამეტ წელიწადს გრძელდება. ქვრივის არმადა შედგება ექვსი ფლოტილიისგან, რომელთაც სხვადასხვა ფერის დროშები ალამაზებს (წითელი, ყვითელი, მწვანე, შავი, ლილისფერი და მუქი მწვანე). რეგლამენტი, რომელიც პირადად ჩინგის ქვრივის მიერ იქნა დაწესებული, მკაცრია, არ ექვემდებარება შესწორებებს, არის ლაკონური და ზუსტი. ბოლოს ასაკში შესული ჩინგის ქვრივი ხვდება, რომ დიდხანს ვერ გაძლებს და იმპერატორს შეწყალებას სთხოვს დანებების სანაცვლოდ, ამისთვის კი თავისუფლებას იღებს. შემთხვევითი არ არის, რომ ქვრივი სახელს იცვლის, იწყებს ახალ ცხოვრებას, რაც მორალური ღირებულებების გადაფასებას არც კი მოითხოვს. იგი ყიდის ოპიუმს და ურჩევნია სიმშვიდეში გალიოს ცხოვრება, რაც უბრალო ფარსია, სხვა არაფერი.

მოთხრობაში ,,დანაშაულებრივ საქმეთა ოსტატი მონკ ისთმანი" ავტორი გვაცნობს ,,სხვა ამერიკას", არა ისეთს, როგორსაც ის იცნობს და მისთვის უფრო ახლობელია, არამედ ბინძური სულის მქონე გვამების ნიუ-იორკულ ცხოვრებას. თუკი წინა მოთხრობებში გაიელვებდნენ ნეიტრალური ადამიანები, რომლებიც არც ძარცვავდნენ, არც კლავდნენ და, უბრალოდ, თავისთვის ცხოვრობდნენ (როჯერ თიჩბორნი და დედამისი, მებრძოლი კინგ-კვეიო), აქ ასე არ ხდება. აქ ყველა ტყუის, ჩხუბობს, ისვრის, კლავს და ძალაუფლებისათვის იბრძვის. ბორხესის მზაკვრულ ამბავთა ამ სერიაში მონკ ისთმენს საპატიო ადგილი უკავია. მოთხრობა გვიხატავს თანამედროვე მეგაპოლისების შავბნელ ქუჩებს, ცბიერი პოლიტიკოსების ორგვარ სახეს და, როგორც ყოველთვის, ამბავი გაჟღენთილია შეგრძნებით, მოსპოს ყოველივე ადამიანური ამ სამყაროში.

მონკ ისთმანის ბავშვობის წლებზე ავტორი არაფერს ამბობს. ისთმანს, როგორც აქტიურ პირს, ვეცნობით 19 წლიდან. დაწყებული იმ დროიდან, როცა მონკი ზოომაღაზიას ხსნის. ავტორი სარკაზმსა და ირონიას უხმობს. ისთმანი, როგორც უღირსი ნაძირალა, რომლისთვისაც არაფერი წმინდა არ არსებობს ამქვეყნად, ფულისა და ძალაუფლების გარდა, ცხოველებთან სათუთ არსებად გადაიქცევა. მას უყვარს (თუკი აქვს საერთოდ ეს უნარი მომადლებული) თავისი კატები და მტრედები. მათთვის ემეტება სითბო. სამაგიეროდ, მისთვის ამ ცხოველებზე ნაკლებად ფასეული და ღირსეულია ადამიანთა მოდგმა. დაუთვლელია იმ მსხვერპლთა რაოდენობა, რომელიც მას საიქიოს გაუსტუმრებია, სამაგიეროდ, ზუსტად იცის, რამდენი კატა თუ მტრედი ჰყავს მაღაზიაში. მას ჭირისუფალი არა ჰყავს (ისევე, როგორც ბორხესის სხვა უამრავ პერსონაჟს) და არცაა გასაკვირი, ავტორს ხომ მთელი ამ ისტორიებით იმის თქმა უნდა, რომ ეს ანგარებიანი მკვლელები ისეთი უბადრუკი და მარტოხელა არსებები არიან, როგორც არავინ სხვა ამ სამყაროში.

,,მზაკვრობის მსოფლიო ისტორიას" არ აკლია ყალთაბანდი ადამიანების სახეები, თუმცა, მოთხრობაში ,,ცერემონიათა წინდაუხედავი ოსტატი კოტსუკე-ნო-სუკე" ბორხესი გარკვეულ ბალანსს იცავს სიკეთესა და ბოროტებას შორის. ბატონის

მეომრებსა და სატსუმელ ყმაწვილს დისონანსი შეაქვთ ცბიერ სახეთა მთელ ამ გალერეაში.

საინტერესოა, აგრეთვე მოთხრობა ,,ნიღბიანი მღებავი ჰაქიმიდან". ესაა ისტორია ახალგაზრდა კაცზე, რომელიც თავს ღვთის მოციქულად აცხადებს. მისთვის არ არსებობს დაუფარავი საიდუმლო. ერთ დღესაც ერთ-ერთი ქალი ჰარემიდან ამბავს გაავრცელებს, რომ ჰაქიმს ცერა თითი და ფრჩხილები აკლია ხელზე. ატყდება ერთი აურზაური. ხმა სწრაფად გავრცელდება მორწმუნეთა შორის. ჰაქიმს შეიპყრობენ და ჩაქოლავენ.

რელიგიური თემატიკა ბორხესისთვის უცხო არ არის, მოთხრობაში ,,თეოლოგი საიქიოში" ავტორი გვიხატავს გარდაცვლილ მელანჩტონს, რომელიც ვერ ხვდება, რომ სააქაოს აღარ არის და ძველებურად აგრძელებს ლიტერატურულ საქმიანობას, მაგრამ, რადგანაც აკლია რწმენა, საღამოს დაწერილი ტექსტი დილითვე ეშლება. ეს პერსონაჟი უბადრუკი ანარეკლია იმ ყველაფერისა, რაც ძველი მელანჩტონისგან დარჩა. ანგელოზები მიდიან მისგან, ის მეგობრებიც კი, რომლებიც აქებენ და ადიდებენ მას, მხოლოდ მარტოობის გრძნობას ამძაფრებენ. ბოლოს მელანჩტონი უსახო დემონების მსხვერპლი ხდება და ავტორი მის ასავალ-დასავალს ბუნდოვანს ტოვებს.

ამ სიუჟეტების გმირები ზნედაცემული ადამიანები რომ არიან, ცხადია. საინტერესოა ის, რომ ამ მოთხრობების უმრავლესობა სრულდება სიკვდილის სცენებით. მატყუარა ტომ კასტრო, ფლიდი მონკ ისტმანი, უიღბლო კოვბოი ბილ ჰარიგანი, დაუდევარი ოსტატი კოტსუკე-ნო-სუკე და ფარისეველი ჰაქიმის ცხოვრების ლოგიკური დასასრული ისეთივე სამარცხვინოა, როგორიც მათი სიცოცხლე იყო. არც ერთი მათგანი ,,შინ", ,,სახლში" არ კვდება. მათ ხომ ოჯახი, როგორც ასეთი, არ გააჩნიათ. ისინი იხოცებიან ეშაფოტებზე, ქუჩებში, ბარებში, უდაბნოებში და ა.შ. მათ ხოცავენ ტყვიით, დანით, ქვით და ყოველთვის მუხანათურად.

არც ისაა შემთხვევითი, რომ ამ გმირებს წარმოშობაც ისეთი ბუნდოვანი აქვთ, როგორიც მათს ტიპაჟს შეეფერება. არც ერთი მათგანი წარჩინებული ოჯახიდან არაა, არ

მიუღიათ არანაირი აკადემიური განათლება, არ აღზრდილან ზნეობრივ ადამიანებად და, შესაბამისად, არც უცხოვრიათ ადამიანურად.

ქურდად თუ მკვლელად არავინ იბადება, ალბათ, სწორედ ამიტომ არის, რომ ავტორი მათს ცხოვრებას ყოფს ეტაპებად. მათ მიერ გავლილ გზას მთელი სიზუსტით გვიხატავს.

აღსანიშნავია, რომ არც ერთ ზემოხსენებულ პერსონაჟს არ რჩება შვილი. ავტორი არ გვრთავს ნებას, ასეთი რამ დავუშვათ ამ მაგიურ სამყაროში. იქნებ იმიტომ, რომ ბოროტება არ უნდა გამრავლდეს, მას გაგრძელება არ უნდა ჰქონდეს ამ სამყაროში.

კარგი იქნებოდა, ორიოდე სიტყვა ამინდის შესახებაც გვეთქვა. ამ ისტორიებში ამინდიც ისეთივე ბნელი, უღიმღამო და მოქუფრულია, როგორიც თავად გმირები. ფლიდი ლასარუს მორელი მისისიპის წვიმიანი და ჭაობიანი ადგილების შვილია, თვითმარქვია ტომ კასტრო ნისლიანი ალბიონის დაუპატიჟებელი სტუმარი, სისხლისმსმელი მონკ ისთმანი მიტოვებულ ქუჩაში კვდება ზამთრის სუსხიან დღეს, ბილ ჰარიგანი უდაბნოს სასტიკ მცხუნვარებას აფარებს თავს და არც მოციქული ჰაქიმია ოაზისის შვილი.

მრავალფეროვანია გეოგრაფიული მასშტაბებიც, რომელთაც ბორხესი გვთავაზობს. ეს ხომ მსოფლიო ისტორიაა ავაზაკობის შესახებ, ასე რომ, ავტორი კუთხეს არ ტოვებს ამ დედამიწაზე. იგი ერთნაირი გულმოდგინებით ხატავს ამაზონისა თუ მისისიპის ჯუნგლებს, ევროპის გულს, აზიის წყლებში მოთარეშე მეკობრეებს, სამხრეთ თუ ჩრდილოეთ ამერიკას თავისი ვესტერნებით, ამომავალი მზის ქვეყანასა და ხრიოკ უდაბნოს. ეს კადრები ბუნებრივად ენაცვლება ერთმანეთს.

უდავოა, რომ ბორხესთან ყველა დეტალი გათვლილია, არ არსებობს ერთი ზედმეტი ან ნაკლული დეტალი. აქ ბუნება შესაბამისობაშია მთავარი გმირების ბნელ სამყაროსთან და ერთადერთი, რაც მკითხველს რჩება, ესაა, გამოიჩინოს თანაგრძნობა, სიბრალული და ხშირად ზიზღიც კი ხსენებული პერსონაჟებისადმი.

ლიტერატურა:

1. ჩიქობავა არნ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტომი V. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.- თბილისი,1958
2. Borges J.L. Historia Universal de la Infamia. Biblioteca Borges. Alianza Editorial S.A España.- Madrid,2004
3. Valdeiglesias. Diccionario Básico de la lengua española. Alcobendas.- Madrid, 1995
4. Serra E. La Estrategia del Lenguaje en Historia Universal de la Infamia. Revista Iberoamericana: Vol. XLIII, Núm. 100-101, Julio-Diciembre.- 1977
5. Borges J.L. Histoire universelle de l'infamie. Traducteur Laure Gulle-Bataillon, Paris.- 1994
6. Borges, J.L. Storia universale dell'infamia. Biblioteca Adelphi.- Roma,1997
7. Borges, J.L. Universalgeschichte der Niedertracht und andere Prosastücke. München.- 1976
8. Борхес Х. Л. Проза разных лет. Всеобщая история бесчестья. изд-во Радуга.- Москва, 1989
9. Борхес Х. Л. Всеобщая история подлогов. Азбука-классика.- Москва, 2004
10. Борхес Х. Л. Всемирная история низости. Современная проза. Собрание сочинений в 4 томах – том. 1.- Москва,2006
11. Propp V. Morphology of the Folktale.Indiana University. Seventeenth edition.- 2003
12. ინტერნეტრესურსი. ესპანური ენის სამეფო აკადემიის ვებ-გვერდი: RAE http://lema.rae.es/drae/?val=infamia

ანა ადვაძე

„არ“, „ც“, „კი“ ნაწილაკები ქართულში და მათი შესაბამისობები ინგლისურში

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „კი" და „ც" ნაწილაკების ფუნქციები, ძირითადად, განიხილება მტკიცებით კონტექსტში და არ არის შესწავლილი მათი ფუნქციები უარყოფით კონტექსტში. ისინი ლიტერატურაში განხილულია მხოლოდ ზმნებთან მიმართებით [შანიძე, 1973: 610-613; ჯორბენაძე... 1984: 140-141], სახელებში კი უარყოფის მაწარმოებლად ითვლება ცირკუმფიქსები (უ-ო, უ-ურ) და უარყოფითი პრეფიქსი „არა" [ჯორბენაძე... 1984: 136-149].

სტატიის ფარგლებში შევეცადეთ, დაგვესაბუთებინა, რომ ქართულში, ზმნური უარყოფის გარდა, სინტაგმის დონეზე არსებობს სახელური (არსებითი, ზედსართავი სახელებისა და ზმნიზედის) უარყოფაც. ამასთანავე, განვიხილეთ, თუ რა ფუნქციები აქვთ „ც" და „კი" ნაწილაკებს უარყოფით კონტექსტში. კვლევის შედეგების თანახმად, „ც" ნაწილაკი იძლევა შკალარული პრედიკაციის მოდელს [Horn, 1989: 121-174], „კი" ნაწილაკს კი შემოაქვს პრესუპოზიცია. და ბოლოს, განხილული გვაქვს ლექსიკური საშუალებები, რომელთა დახმარებითაც ხდება იმავე ფუნქციების გადმოცემა ინგლისურში.

კვლევა ჩატარდა ქართული და ინგლისური ენების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე. ემპირიულ მასალას წარმოადგენს ქართული მხატვრული ტექსტები და მათი შესაბამისი ინგლისური ტექსტები. გამოყენებულია ფუნქციური ანალიზის მეთოდი, რომელიც კვლევის ობიექტს განიხილავს სიტუაციურ კონტექსტში და შეისწავლის მის მნიშვნელობებს სხვადასხვა სიტუაციაში.

ბოლო წლებში უარყოფის სინტაქსური და სემანტიკური თეორიების შესწავლას ცენტრალური ადგილი უკავია ლინგვისტიკაში. უარყოფა არის უნივერსალური მოვლენა, თუმცა, მისი გამოხატვის საშუალებები და ინტერპრეტაცია ენათა მიხედვით განსხვავებულია. გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ნაწილაკების ფუნქციების

შესწავლა, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ გრამატიკული კატეგორიები და მათი გამოყენება ხდება განსხვავებულ კონტექსტში [Arnold, 1985: 283-305, Jespersen, 1992: 91-92]. ნაწილაკები ხშირად გამოხატავენ კონტექსტუალური მნიშვნელობის ნიუანსებს და ადრესატის დამოკიდებულებას გამოთქმული მოსაზრების მიმართ. შესაბამისად, მათ დიდი პრაგმატული დატვირთვა გააჩნიათ, გამოხატავენ ილოკუციურ ძალას (ადრესატის ინტენციას), აძლიერებენ ან ასუსტებენ მას.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა შორის გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა, თუ რომელი ერთეულები მიეკუთვნება ნაწილაკების ჯგუფს. ტექსტის დონეზე ჩატარებული კვლევების საფუძველზე ნაწილაკების კლასი გაფართოვდა და ლინგვისტები ამჟამად შეისწავლიან დისკურსის ნაწილაკებს/მარკერებს, რომლებშიც, ცალკეული ლექსიკური ერთეულების გარდა, შედის სიტყვათა შეთანხმებებიც. ინგლისურში ბევრი კვლევაა ჩატარებული ნაწილაკებზე, ტექსტში მათი ფუნქციების შესწავლაზე. გამოკვლეულია ზმნიზედები, კავშირები, შორისდებულები: „only" და „even" ნაწილაკების პრესუპოზიციური ასპექტები (Horn, 1969: 98-107), უარყოფითი პოლარული ნაწილაკების - „yet", „anymore", „either" და „neither" - გამოყენებისა და ლიცენზირების პირობები [Levinson, 2008], ნაწილაკების კლასიფიკაცია და მათი სემანტიკური მახასიათებლები [Hajiyev, 2008: 432-441], „even"-ის სკალარული მახასიათებლებისა და პრესუპოზიციის როლი პოლარული მგრძნობელობის „even"-ის ფორმირებაში [Giannakidou, 2007: 39-81] უარყოფა და კონტრასტი გამოხატული კავშირით „მაგრამ" [Blakemore, 1989: 15-37] და ა.შ.

ქართულში „ც", „კი" და „არ" ნაწილაკების კომბინაციური ფორმებია: „**არც", „არც კი", „კი არც", „...ც კი არ", „კი...ც არ", „კი არ", „...ც არ".** „ც" ნაწილაკი შეიძლება დაერთოს სახელს, ზმნას, ზმნიზედას და ნაწილაკსაც (არ-ც). „კი" ნაწილაკი კი დგას ცალკე.

ქართული ენის მოეფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის თანახმად, „-ც" და „კი" ნაწილაკებს აქვთ სხვადასხვა ფუნქცია. კერძოდ, „ც" ნაწილაკი: კითხვითი ნაცვალსახელისა და ზმნისართისაგან აწარმოებს მიმართებით ნაცვალსახელს ან

ზმნისართს; აძლიერებს სიტყვის მნიშვნელობას; გამოხატავს დამატებითობას, იმავეს, რასაც „აგრეთვე" ფორმა [ჯორბენაძე... 1988: 454].

ლექსიკონში არაფერია ნათქვამი ამ ნაწილაკის ფუნქციაზე უარყოფით კონტექსტში, სადაც „ც" ნაწილაკი კონტექსტუალურად შეიძლება იხმარებოდეს მეორე და მესამე ფუნქციით - უარყოფის გამაძლიერებელი და დამატებითობის ფუნქციებით.

განვიხილოთ „არ" და „ც" ნაწილაკების კომბინაცია - „არც". იმავე ლექსიკონის თანახმად, მისი ფუნქციებია: გამოხატავს კატეგორიულ უარყოფას, იმპერატივს; მიუთითებს ვინმეზე, რაიმეზე ან რაიმე ქმედების შესახებ, რომელიც არ შეესაბამება სიმართლეს; გამორიცხავს რაღაცის დაშვებას; გამორიცხავს რამდენიმე ერთეულს [ჯორბენაძე... 1988: 454].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითი შეეხება ზმნურ უარყოფას. გარდა ამისა, ლიტერატურიდან მოყვანილი მაგალითების საფუძველზე, შეიძლება გამოვყოთ აღნიშნული ნაწილაკის დამატებითი ფუნქციები და კონტექსტუალური მნიშვნელობები. კერძოდ, „არც" ნაწილაკი გამოიყენება სახელის მარკირებისა და უარყოფისას, ანუ აქვს **სახელური უარყოფის გამოხატვის ფუნქცია**:

1. **არც** ნათქვამი და **არც** დასანახი არ გამოეპარებოდა [შატბერაშვილი, 1985: 85].
   Nothing could escape his sight or hearing [Shatberashvili, 1978: 60].
   ქართულში ორმაგი უარყოფა, „არც" ნაწილაკით მარკირებული „ნათქვამი" და „დასანახი", ინგლისურში გამოხატულია ერთჯერადი უარყოფით - ნაცვალსახელით „**nothing**".
   „**არც**" ნაწილაკი შეიძლება იყოს „**არ**" ნაწილაკთან კომბინაციაში:
2. სადაც სიკვდილი **არ** შეაბოტებს, იქ ხომ **არც** სიცოცხლეა [შატბერაშვილი, 1985: 38].
   Where there is **no** life there is **no** death. [Shatberashvili, 1978: 26].
   სახელური უარყოფა „**არც** სიცოცხლეა" გამოხატულია კერძო უარყოფით - **„no**

life".

„**არ...არც**" შეიძლება გამოხატავდეს დამატებითობას უარყოფით კონტექსტში:

3. სოფლის გზაზე ძეხორციელი **არ** ჭაჭანებდა. **არც** ეზოებში ჩანდა ვინმე [შატბერაშვილი, 1985: 25].

   Not a single soul was to be seen on the village road. Nobody could be seen in the yards **either** [Shatberashvili, 1978: 17].

   კერძო უარყოფა „**არც** ეზოებში" ინგლისურში გადმოცემულია ნაცვალსახელით **„either"**.

4. ...ჯერ **არც** თვითონ სჯერა, თუ მის წინ სოფლის თვალი და იმედი კოხტა თენგო ბიჭი ასვენია [შატბერაშვილი, 1985: 132].

   Even he himself could **not** believe yet, that Tengo, the pride and hope of the whole village, was lying dead before him. [Shatberashvili, 1978: 98].

   ამ შემთხვევაში ქართულში კატეგორიული უარყოფა ინგლისურში გადმოცემულია **„even...not"**, სადაც **„even"**-ით ხდება აკეთებს მოქმედი პირის მარკირება /"he"/.

   „არც" ნაწილაკი შეიძლება იძლეოდეს კოგნიტური შკალის მოდელს [Fauconnier, 1975: 188-99] პრედიკატების მზარდი/კლებადი თანმიმდევრობით და შკალის მინიმალური ერთეულის უარყოფას.

5. ჩემსკენ **არც** გამოუხედავს [დოლენჯაშვილი, 2005: 12].

   He did**n't even** look at me [Dolenjashvili, 2006: 141].

   „არც გამოუხედავს" გულისხმობს, რომ კონტექსტუალურად მოსალოდნელი ქმედება იყო „გამოხედვა". ინგლისურში აღნიშნული გამოხატულია ზმნური უარყოფითა და ზმნიზედის გამოყენებით - **„n't even"**.

   „არც" ნაწილაკი, გარდა სახელური უარყოფისა, დროის გარემოებასთან ერთად შეიძლება გამოხატავდეს უარყოფის **ტემპორალურ ასპექტს**:

6. ასეთი რამ არ მომხდარა...თუმცა ასეთი რამ **არც არასდროს** მომხდარა (საუბ.).

   „არც" ნაწილაკი შეიძლება გამოხატავდეს **რაოდენობისა და ჯერადობის მინიმალური ერთეულის უარყოფას**:

7. **არც ერთს** არ დაუხუჭავს თვალი ჩვეულებრივი სიკვდილით... [შატბერაშვილი, 1985: 6].

   Neither died a natural death ... [Shatberashvili, 1978: 3].

   აღნიშნულ უარყოფას ინგლისურ პარალელურ ტექსტებში შეესაბამება, ძირითადად, „**no", „nothing", „even...not", „n't even", „would not", „neither", „either",** „**neither ... nor**" ერთეულებით გამოხატული უარყოფა.

   ქართული ენის მოეფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის მიხედვით, „კი" ნაწილაკის ფუნქციებია: მტკიცებითი; გაძლიერებითი; დაპირისპირებით; დაეჭვებითი [ჯორბენაძე ... 1988: 260].

   აქაც ნაწილაკის ფუნქციები განხილულია მხოლოდ დადებით კონტექსტში. „კი" ნაწილაკი უარყოფით კონტექსტში შეიძლება გამოხატავდეს გაძლიერებით და დამაპირისპირებელ ფუნქციებს. გარდა ამისა, „**არც კი**" კომბინაციაში „კი" ნაწილაკი უარყოფს ისეთ რამეს, რისი დაშვების პრესუპოზიციაც არსებობს კონტექსტში:

   „არც კი დაფიქრებულა" (საუბ.). ამ ფრაზაში გადმოცემულია მოლოდინი, რომ მინიმალური შესაძლო ქმედება იყო დაფიქრება და ისიც არ შეასრულა.

8. „მაგრამ კალატოზს ზემოთ **არც კი** აუხედავს, არც არაფერი უთქვამს, თითქოს თავადის ხმა არც გაეგონის" [შატბერაშვილი, 1985: 12].

   "But the mason did **not even** look up, he did not utter a word, it was as if he had not even heard the Prince's voice" [Shatberashvili, 1978: 8].

   არსებობს მოლოდინი, რომ თავადის ნათქვამზე მას უნდა ჰქონოდა რაიმე რეაგირება, თუნდაც გაეხედა მისი მიმართულებით, მაგრამ მან ესეც არ გააკეთა. ანუ, უარყოფილია კონტექსტუალურად მოსალოდნელი მინიმალური რეაგირება. ინგლისურში უარყოფა გამოხატულია უარყოფითი ნაწილაკით /ზმნური უარყოფა/ და ზმნიზედით - „**n't even**".

9. -რა ვქნა, რითი დაგარწმუნო, რომ მე **არც კი** შევსულვარ მირცას ოთახში [ჯანდიერი, 1995: 41].

   How can I prove that I **never** entered Mirtsa's room [Jandieri, 2006: 53].

იგულისხმება, რომ სუბიექტს კონტაქტი არ ჰქონია მირცასთან, მინიმალურ ქმედებად აღებულია „ოთახში შესვლა". ინგლისურში გვაქვს ზმნიზედა „**never**".

10. გათენებას აღარაფერი აკლდა, ღვინის სმაში შეჯიბრებული ყმაწვილკაცობა **კი** ჯერ ადგომას **არც კი** აპირებდა [კლდიაშვილი, 1989: 68].

    It was near dawn, but the young people carried away by a drinking competition, showed **no** intention of ending the feast [Kldiashvili, 2003: 134].

    პირველ შემთხვევაში „კი" ნაწილაკით ხდება „ყმაწვილკაცობის" მარკირება, „**არც კი**" უარყოფს მოსალოდნელი ქმედებებისაგან მინიმალურს, კერძოდ, „ყმაწვილკაცობა **გამთენიისას მაინც** უნდა დაშლილიყო". ინგლისურში გვაქვს კერძო უარყოფა „**no**".

    განხილული მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ **„არც კი"** გამოხატავს მოსალოდნელი შესაძლო ქმედებების მინიმალური ერთეულის უარყოფას. ინგლისურში აღნიშნული გამოიხატება კომბინაციით: „**n't even**". გარდა ამისა, გვხვდება: **„no"**, **„never"** და სხვ.

    ზემოთ განხილული ნაწილაკები გვხვდება შემდეგი ტრანსპოზიციითაც: **„არც კი":**

11. - მამაჩემი ნაწყენი იქნება, - თქვა მან ჩურჩულით. - დღეს მასთან ერთად უნდა მეთოხნა სიმინდი...მე **კი არც** გამიფრთხილებია, ისე წამოვედი ამ დილით [შატბერაშვილი, 1985: 78].

    'We were supposed to hoe the maize together today and I left this morning **without even** warning him' [Shatberashvili, 1978: 55].

    ამ შემთხვევაში „კი" ნაწილაკით ხდება მოქმედი პირის/აგენტის მარკირება, **„არც"** ნაწილაკი უარყოფს მის მიერ შესრულებულ კონტექსტუალურად მოსალოდნელ მინიმალურ ქმედებას - „გაეფრთხილებინა მამა". ინგლისურში აღნიშნული გამოხატულია წინდებულითა და ზმნიზედით: **„without even"**.

    „-ც კი არ" უარყოფის შემთხვევაში „ც" ნაწილაკი დაერთვის სახელს, ხდება მისი აქცენტირება/მარკირება და უარყოფა, გვაქვს „ც" ნაწილაკით მარკირებული სახელური უარყოფა:

12. „სახელი**ც კი არ** ვიცი მისი" (საუბ.).

ამ შემთხვევაში იქმნება კონკრეტული პირის შესახებ ინფორმაციის ფლობის ხარისხობრივი მაჩვენებლის კოგნიტური (პრაგმატული) შკალის მოდელი, მინიმალური ერთეულით: ადამიანის „სახელის ცოდნა".

x_{min} - x_1 - x_2 - x_3 - x_4 - x_n - x_{max}

სახელის ცოდნა ადამიანის შესახებ

მაქსიმალური ინფორმაციის ფლობა

შკალის x_{min}-ს შეესაბამება „სახელის ცოდნა", შკალის x_{max}-ს - ადამიანის შესახებ სრული ინფორმაციის ფლობა. x_1-ს - „სახელისა და გვარის ცოდნა", x_2-ს - „ოჯახური მდგომარეობა", x_3-ს - „საქმიანობა", x_4-ს - „მისი წარსული" და ა.შ.

13. ბედმა მისთვის სიკვდილი**ც კი არ** გაიმეტა ... [შატბერაშვილი, 1985: 139].

Fate would **not even** let her die quietly [Shatberashvili, 1978: 103].

ბედის უკუღმართობით განსაზღვრული ყველაზე უარესი რამ ადამიანისათვის არის „სიკვდილი" და კონკრეტულ შემთხვევაში ესეც არ ეღირსა გმირს.

14. გავშრი, მე რა უნდა მეთქვა, ეგ კაცი თვალითა**ც კი არ** მინახავს-მეთქი [ჯანდიერი, 42].

I was speechless. What could I say? I said that I had **never** seen that person [Jandieri, 2006: 54].

ამ შემთხვევაში გვაქვს კატეგორიული უარყოფა - „თვალითაც არ მინახავს", რომელიც ინგლისურში გამოხატულია უარყოფითი ზმნიზედით **„never"**.

ამრიგად, „**...ც კი არ"** კომბინაცია ინგლისურში გამოიხატება, ძირითადად, კომბინაციით „**not/n't even"** და ზმნიზედით **„never"**.

„კი...ც არ" კომბინაცია ხაზს უსვამს აგენტს და მის მიერ კონტექსტიდან გამომდინარე სავარაუდო ქმედებების მინიმალური ერთეულის უარყოფას:

15. „მას **კი** თავი**ც არ** აუწევია" (საუბ.). ‘კი' ნაწილაკით ხდება სუბიექტის მარკირება, შკალაზე გვაქვს ამ სიტუაციაში რელევანტური ქმედებები: „შეგებება", „წამოდგომა", „გამარჯობის თქმა" ... „თავის აწევა". უარყოფილია შკალის მინიმალური ერთეული.

16. ზაქარიას **კი** მოკლულის წილი, ქამარ-ხანჯალი და გაქონილი ჩოხა-ქურქი**ც არ** ეყო ვალის ასანაზღაურებლად [ჯავახიშვილი, 1958: 51].

...while Zakro had had to sell off his late partner's share together with this dagger and belt, as well as his worn felt cloack to repay all the debts, **but still** it had**n't** been enough [Javakhishvili, 2009: 51].

ინგლისურში „...ც კი არ" უარყოფა გადმოცემულია „**even**, ‘**but still ... n't**" ფორმით.

„კი არ" კომბინაციის საშუალებით ხდება **დაპირისპირება**, იგი გამოხატავს ოპოზიციას წინადადების პოზიტიურ წყვილთან მიმართებით:

17. რამე გევნებათ **კი არა**, თუ დამიჯერებ, სასარგებლოც იქნება [კლდიაშვილი, 1989: 12].

Believe me, **instead** of harm, I'll be useful, really...[Kldiashvili, 2003: 122].

აღნიშნულ შემთხვევაში ლაპარაკია ოპოზიციურ წყვილზე: „მავნე-სასარგებლო". „კი არა" კომბინაციას წინადადებაში შემოყავს ოპოზიციური ერთეული - „სასარგებლო".

„კი არ" კომბინაცია მნიშვნელობით მსგავსია **„არამედ**" მაპირისპირებელი კავშირისა, თუმცა, მათ მიერ გამოხატული კონცეპტები ფუნქციურად განსხვავდება. **„არამედ**" გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც წინადადებაში არ შემოდის ოპოზიციური ერთეული, გვაქვს არა დაპირისპირება, არამედ ინფორმაციის დაზუსტება. **„არამედ**" კავშირი უარყოფს თვისებრივ მაჩვენებელს, ხოლო „კი არ" - ოპოზიციურ ერთეულს:

„კაცი...თავდაჯერებული თვლიდა, რომ ხეები ეზოში უწესრიგოდ **კი არ** იყვნენ დარგულნი, არამედ ყველაფერს დიდი კანონზომიერების ხელი აჩნდა" [დოჩანაშვილი, 1976: 117].

აღნიშნულ წინადადებაში არ არის უარყოფილი დარგული ხეების არსებობა, ლაპარაკია მხოლოდ დარგული ხეების განლაგებაზე (თვისებრივ მახასიათებელზე).

გარდა ამისა, „კი არ" გამოხატავს **დამატებითობას და ფაქტის დადასტურებას**:

18. „...სათქმელს ეზოში მოფუსფუსე ცოლს **კი არა**, სოფლის ბოლოში მცხოვრებ ტიკინესაც მიუწვდენდა" [შატბერაშვილი, 1985: 49].

...his voice was loud enough to be heard **even** at the other end of the village [Shatberashvili, 1978: 35].

პარაფრაზი: სათქმელს მიუწვდენდა ცოლსაც და ტიკინესაც.

ამრიგად, ინგლისურში **„კი არ"** ნაწილაკებით გამოხატულ უარყოფას, ძირითადად, შეესაბამება კომბინაცია ,,**not...but"**. დადებითი კონოტაცია /დამატებითობის ფუნქციით/ ინგლისურში გამოიხატება გამაძლიერებელი ზმნიზედით **„even"**.

„...ც არ" ნაწილაკების კომბინაციით ხდება იმ ერთეულის **მინიმალური რაოდენობის უარყოფა**, რომელ სახელსაც დაერთვის ,,ც" ნაწილაკი: ,,სიტყვა**ც არ** დასცდენია" (საუბ.), იგულისხმება, რომ არა თუ დიალოგი არ შემდგარა, არ თქმულა ფრაზა, წინადადება, უარყოფილია კომუნიკაციის მინიმალური ერთეულიც - სიტყვა.

19. ...ცხენი ისევ იმავე ადგილას იდგა, ფეხსა**ც არ** იცვლიდა [კლდიაშვილი, 1989: 37].
The horse ignored all this, it just sood there, **not** budging **an inch** [Kldiashvili, 2003: 128].
უარყოფილია გადაადგილების მინიმალური ერთეული, რაც ინგლისურში გამოხატულია სიგრძის მინიმალური ერთეულით.
20. ,,ჯამაგირი პაპიროსის ფულადა**ც არ** ეყოფა" [შატბერაშვილი, 1985: 84].
His salary will **not even** buy his tobacco [Shatberashvili, 1978: 60].
კონტექსტუალურად ითვლება, რომ მინიმალური, რაზეც ფული გეყოფა, არის პაპიროსი და, თუ პაპიროსზეც არ გეყოფა ფული, მაშინ, არ გეყოფა სხვა არაფერზე.
21. ...იქნებ სულა**ც არ** მოსულა წუხელ? [შატბერაშვილი, 1985: 128].
"Maybe he did**n't** come home **at all** last night?" [Shatberashvili, 1978: 94].
ამ შემთხვევაში ვარაუდია, რომ გმირი ტყუილად ელოდება ადამიანის გამოსვლას ოთახიდან, ვინაიდან იგი საერთოდ არ მისულა სახლში. ინგლისურში **„ც"** ნაწილაკის ფუნქცია გადმოცემულია ზმნიზედით **„at all"**.

ამრიგად, **„...ც არ"** უარყოფა ინგლისურში, ძირითადად, გამოხატულია: ,,**n't/not even**", ,,**not...but"**. გარდა ამისა, გვაქვს: ,,**without even", „n't...at all", „never", „n't...yet"**.

ზემოთქმულის საფუძველზე, ნაწილაკების კომბინაციების ფუნქციებია:

„არც" ნაწილაკი იძლევა კერძო/სახელური უარყოფის მოდელს. აღნიშნულს ადასტურებს კერძო უარყოფის ინგლისური ენის მაგალითებიც. გარდა ამისა, **„არც"** უარყოფს კონტექსტუალურად მოსალოდნელ ქმედებას: გამარჯობა არც მითხრა.

„არც კი" კომბინაცია უარყოფს მოლოდინს, პრესუპოზიციას, რომელიც შემოაქვს ნაწილაკს ,,კი": გამარჯობა არც კი მითხრა.

'...ც არ' კომბინაცია უარყოფს **„ც"** ნაწილაკით მარკირებული სახელის/აგენტის მიერ ჩადენილ ქმედებას: ხელიც არ გაუნძრევია.

„კი არც" კომბინაციაში **„კი"** აკეთებს სახელის მარკირებას, **„არც"** ნაწილაკი - უარყოფს კონტექსტუალურად მოსალოდნელ რელევანტურ ქმედებას ,,პასუხის გაცემას": ,,მე კი არც მიპასუხია". კონტექსტი გულისხმობს, რომ მას პასუხი უნდა გაეცა.

„...ც კი არ" კომბინაციაში **„ც"** ნაწილაკი ახდენს სახელის მარკირებას, ნაწილაკს **„კი"** შემოჰყავს პრესუპოზიცია: გამარჯობაც კი არ მითხრა.

„კი ...ც არ" კომბინაციაში **„კი"** აკეთებს აგენტის მარკირებას, ხოლო **„ც"** - სახელის მარკირებას (გვაქვს ორმაგი მარკირება): მან კი გამარჯობაც არ მითხრა.

„კი არ" კომბინაცია აპირისპირებს ხარისხობრივ კატეგორიებს: ,,კი არ გავბრაზდი, მეწყინა". გარდა ამისა, გააჩნია დადებითი დენოტაცია ადიტიური ფუნქციით: ,,არა მარტო ეს, არამედ ისიც". პარაფრაზი: ,,შენც და იმასაც მოგთხოვთ პასუხს".

N 1. ნაწილაკების ლექსიკონით განსაზღვრული და ახალი მნიშვნელობები

	ენობრივი მნიშვნელობა (ლექსიკონის მიხედვით)	კონტექსტუალური, დამატებითი მნიშვნელობები	„კი“	„კი არ“	„არ“
„არც“	-კატეგორიული უარყოფა; -სიმართლესთან შეუსაბამობა; -რაიმეს დაშვების გამორიცხვა; -რამდენიმე ერთეულის გამორიცხვა	„არც“ -სახელური უარყოფა; -სკალარული პრედიკაცია; -უარყოფა ტემპორალური მნიშვნელობით; -რაოდენობის ან ზერადობის მინიმალური ერთეულის უარყოფა; -დაპირისპირებითი ფუნქცია	„არც კი“ -პრესუპოზიციის უარყოფა „კი არც“ -სახელის მარკირება და პრესუპოზიციის უარყოფა		
„ც“	-უარყოფის გამამლიერებელი; -დამატებითობის ფუნქცია	„ც“ სახელის მარკირება და კერძო უარყოფა; პრაგმატული სკალის მოდელი.		„...ც კი არ“ -სახელის მარკირება; -პრაგმატული სკალის მოდელი;	„...ც არ“ -სახელური უარყოფა; -კოგნიტური სკალის მოდელი;
„კი“	-მტკიცებითი; -გაძლიერებითი; -დაპირისპირებითი; -დაეჭვებითი	„კი“ პრესუპოზიციის უარყოფა; ოპოზიციურ ერთეულთან დაპირისპირება; დამატებითობა უარყოფით კონტექსტში; დამატებითობა დადებითი კონოტაციით.			„კი არ“ -დაპირისპირება; -დამატებითობა -პოზიტიური ფაქტის დადასტურებით;

N 2. „კი", „ც", „არ" ნაწილაკების შესაბამისობები ინგლისურში

როგორც ცხრილიდან ჩანს, პარალელურ ტექსტებში ინგლისურში გვაქვს შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

არც	არც კი	კი არც	...ც კი არ	კი ...ც არ	კი არ	...ც არ
neither…nor nothing no either neither n't even would not	not even never no	without even	not/n't even never	even but still…not	not…but even (posit.)	not even not…but without even n't…at all never n't…yet

მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება ვთქვათ, რომ ქართულ ენაში გვაქვს სახელური და პრედიკატული უარყოფა.

„ც" ნაწილაკის მონაწილეობით გამოხატული უარყოფა ქართულში იძლევა იმპლიკატური შკალის მოდელს პრედიკატების მზარდი/კლებადი თანმიმდევრობით. ამ შემთხვევაში ხდება შკალის მინიმალური ერთეულის უარყოფა.

„არც" ნაწილაკი გამოხატავს: (1) სახელურ უარყოფას; (2) უარყოფას ტემპორალური მნიშვნელობით; (3) რაოდენობის/ჯერადობის მინიმალური ერთეულის უარყოფს; (4) დაპირისპირებას.

„ც" ნაწილაკი კონტექსტუალურად ავლენს შემდეგ ფუნქციებს: (1) ახდენს სახელის მარკირებას/აქცენტირებას და კერძო უარყოფას, (2) ქმნის პრაგმატული შკალის მოდელს, უარყოფს მის მინიმალურ ერთეულს.

„კი" ნაწილაკის კონტექსტუალური ფუნქციებია: (1) სახელის მარკირება; (2) უარყოფით ნაწილაკთან ერთად უარყოფს მოლოდინს, შესაძლებლობას, პრესუპოზიციას; (3) უარყოფასთან ერთად აპირისპირებს ოპოზიციურ ერთეულებს; (4) გამოხატავს დამატებითობას (ადიტიურ ფუნქციას) უარყოფით კონტექსტში; (5) გამოხატავს დამატებითობას (ადიტიურ ფუნქციას) დადებითი კონოტაციით.

ქართულში უარყოფის გამოხატვის მრავალფეროვნება მიიღწევა არა მარტო „არ" უარყოფის გამოხატვის ძირითადი ნაწილაკისა და „ც" და „კი" ნაწილაკების კომბინაციით, არამედ მათი ტრანსპოზიციითაც.

ინგლისურში ჩვენ მიერ განხილული მაგალითების პარალელურ ტექსტებში უარყოფის გამოხატვის საშუალებებად ხშირად გვხვდება ზმნიზედები: „even", „never" დამოუკიდებლად ან უარყოფასთან კომბინაციაში. მათთან ხშირად ასოცირდება სხვა ზმნიზედებიც: „still", „at all", „yet" დამატებითი კონტექსტური ნიუანსებით.

შეიძლება ითქვას, რომ „არ", „კი" და „ც" ნაწილაკებით გამოხატული უარყოფა ინგლისურში გამოირჩევა მეტი ლექსიკური მრავალფეროვნებით. ინგლისურში ხშირად გვხვდება ზმნიზედა „even", რომელიც უშუალოდ „ც" ნაწილაკის ფუნქციას შეესაბამება. „ც" ნაწილაკს ქართულში მნიშვნელობა გააჩნია მხოლოდ სხვა ლექსიკურ ერთეულთან კომბინაციაში. ინგლისური კი იმავე მნიშვნელობის გამოხატვას ახერხებს დამოუკიდებელი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულებით.

ლიტერატურა:

1. დოლენჯაშვილი თ. ფიდაი, ანუ ამინა სამიდან ხუთამდე.- თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2005
2. დოჩანაშვილი გ. „გამსვლელი პაიკი“: მოთხრობები.-თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1976
3. კლდიაშვილი დ. სამანიშვილის დედინაცვალი.- თბილისი: მერანი,1989
4. შანიძე ა. ქართული ენის გარამატიკის საფუძვლები.- თბილისი,1973
5. შატბერაშვილი გ. მკვდრის მზე.- თბ: საბჭოთა საქართველო,1985
6. ჯავახიშვილი მ. თხზულებანი ექვს ტომად. I ტომი.- თბილისი: საბჭოთა საქართველო“,1958
7. ჯანდიერი კ. საოჯახო ქრონიკა.-თბილისი: მერანი,1995
8. ჯორბენაძე ბ. უარყოფითის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში // ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, მეცნიერება.- თბილისი,1984
9. ჯორბენაძე ბ. / მ. კობაიძე, მ. ბერიძე. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. მეცნიერება.- თბილისი,1988
10. Arnold M. Clitics and Particles, Source: Language. Vol. 61. No. 2.- 1985
11. Blakemore D. Denial and Contrast: A Relevance Theoretic Analysis of.- 1989
12. Dolenjashvili T. Fidal or Amina from Three to Five. P.S Literature. Tbilisi.- 2006
13. Fauconnier G. Polarity and the Scale Principle. Proceeding of the Chicago Linguistic Society.- 1975
14. Giannakidou A. The Landscape of Even. Natural Language&Linguistic Theory. Vol. 25. No.1.- 2007
15. Hajiyev E. ‘The Status of Particles in Modern English’. International Journal of Computers. Issue 4. Volume 2.- 2008
16. Horn L. R. A Presuppositional Analysis of.- 1969
17. Horn, L. R. Metalinguistic Negation and Pragmatic Ambiguity. Linguistic Society of America (Mar.).- 1985

18. Jandieri K. Family Chronicle. P.S Literature.- Tbilisi, 2006
19. Javakhishvili M. The Devil's Stone. 12 Short stories. Shemetsneba Publishing House. Tbilisi.- 2009
20. Jespersen O. The Philosophy of Grammar. University of Chicago Press.- 1992
21. Kldiashvili D. Samanishvili's Stepmother. New Century. 3'2003. 'Saari'. Tbilisi.- 2003
22. Levinson D. Licensing of negative polarity particles yet, anymore, either and neither: combining downward monotonicity and assertivity, Dissertation.- 2008

ნინო ჭრიკიშვილი

სტაბილურობა და ვარირება ესპანური ენის ბინარულ თანხმოვანთჯგუფებში

პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობას რომაელების მიერ მალევე მოჰყვა ლათინური ენის გავრცელება ესპანეთში, რაც იყო რომის იმპერიაში შემავალი ხალხების არა მარტო ტერიტორიული, არამედ კულტურული უნიფიკაციის გამოხატულებაც.

დაახლოებით ორი საუკუნე გაგრძელდა პირენეის ნახევარკუნძულის რომანიზაცია. ესპანეთში გავრცელებულმა ლათინურმა იმდენად ძლიერად მოიკიდა ფეხი, რომ თითქმის სრულად გაქრა ადგილობრივი ენები (ბასკურის გარდა). თუმცა, ვერ ვიტყვით იმას, რომ პრერომანული სუბსტრატის კვალი არ შეიმჩნევა კასტილიურ ენაზე. სწორედ ნახევარკუნძულის პრერომანული ენების გავლენა იგრძნობა ყველაზე დიდი დოზით ესპანური ენის ფონეტიკაზე.

პრერომანული ენების გავლენის გარდა, ესპანეთში გავრცელებულმა ლათინურმა ენამ ევოლუციის შემდეგ ეტაპებზე შეიძინა გერმანული და არაბული ელემენტები, რითაც დაშორდა მის პირვანდელ ფორმას და საფუძველი ჩაუყარა ესპანურ რომანსეს.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანურ ენას განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ახასიათებდა მჭიდრო კონტაქტი სუბსტრატ (იბერიულ), სუპერსტრატ (ვესტგოთურ) და ადსტრატ (არაბულ) ენებთან, ესპანური ენის ლექსიკური მარაგის დიდი ნაწილი ლათინური წარმოშობის სიტყვებით არის წარმოდგენილი, რაც იმის წინაპირობაა, რომ ეტიმონის დონეზე არსებული ბინარული და პოლიკონსონანტური კომპლექსების უმრავლესობა უკავშირდება ლათინურ ძირებს; თუმცა, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კონსონანტური კომპლექსები გვხვდება პრერომანული, ბერძნული, გერმანული, არაბული და ა.შ. წარმოშობის სიტყვებში.

სწორედ თანხმოვანთჯგუფების, ოღონდ მხოლოდ ორელემენტიანი კომპლექსების, კვლევას ეხება წინამდებარე სტატია. მასში აღწერილია

თანხმოვანთჯგუფების მიერ განვლილი ევოლუციის პროცესი და ახსნილია მათი ვარირების გამომწვევი მიზეზები.

კვლევა ჩავატარეთ კორომინასის, გარსია დე დიეგოს და სანტიაგო სეგურა მუნგიას უახლესი ეტიმოლოგიური ლექსიკონების (ასევე, ესპანეთის სამეფო აკადემიის RAE-ს) მონაცემებზე დაყრდნობით. მასალის კვლევის დროს შევხვდით როგორც მდგრადობის მაღალი მაჩვენებლის მქონე კონსონანტურ კომპლექსებს, ასევე ისეთ ჯგუფებს, რომელთაც ევოლუციის პროცესში განიცადეს არა ერთი, არამედ რამდენიმე განსხვავებული ფონეტიკური ცვლილება. ასევე, შევხვდით ისეთ თანხმოვანთკომპლექსებსაც, რომლებიც არ ფიქსირდება ლათინური, ბერძნული, პრერომანული, არაბული ან სხვა ენის ეტიმონის დონეზე, მაგრამ მათ ვხვდებით ესპანურ კორელატში.

მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით შესწავლილი კონსონანტური კომპლექსები დავაჯგუფეთ შემდეგი თანმიმდევრობით: 1.თანხმოვანთჯგუფები, რომლებიც სტაბილურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა; 2. თანხმოვანთჯგუფები, რომლებიც მხოლოდ ვარირებისკენ არის მიდრეკილი; 3. კონსონანტური კომპლექსები, რომლებიც ესპანურ ენაში გადადის როგორც ფორმაუცვლელი, ასევე ფორმაშეცვლილი სახით; 4. კონსონანტური კომპლექსები, რომლებიც დერივატის დონეზე ფიქსირდება. მათი აღნიშნული თანმიმდევრობით კლასიფიკაციის პარალელურად განვსაზღვრეთ, თუ რომელი ფონეტიკური ცვლილებით იყო განპირობებული ამა თუ იმ კომპლექსის ვარირება.

შუა კონსონანტური კომპლექსი bs ისევე, როგორც bt ჯგუფი გამოირჩევა სტაბილურობის მაღალი მაჩვენებლით. არც ერთი მათგანი არ განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას ევოლუციის პროცესში და გამონაკლისების გარეშე, უცვლელი ფორმით, გადადის ესპანურ ენაში: ლათ. observator → ესპ. observador, ლათ. obturare → ესპ. obturar და ა.შ.

ძირითადად ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება dr კონსონანტური კომპლექსი. იგი ესპანურ კორელატში ვარირების გარეშე გადადის: ლათ. cuadrigalis → ესპ.cuadriga, ლათ. cuadrus → ესპ.cuadro.

ცვლილებებს არც fr ჯგუფი ექვემდებარება. იგი მხოლოდ ლათინური ეტიმონის მქონე სიტყვებში გვხდება და მდგრადობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ლათ. afrontare ესპანურში შეესაბამება afrontar-ს.

L კონსონანტით დაწყებული ხუთი ბინარული კომპლექსი გადადის ესპანურში უცვლელი ფორმით. Ld, lf, lg, lm და lv თანხმოვანთჯგუფები გვხვდება როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში: ხალხ. ლათ. caldus → ესპ. caldo, ლათ. alga → ესპ.alga, ლათ. palma → ესპ. palma, ლათ. salvus → ესპ. salvo.

საინტერესოა lf კომპლექსის მიერ განვლილი გზა ესპანურ alfil-ში. იგი მომდინარეობს სპარსული pil-იდან, რომელმაც არაბულში დაიმატა არტიკლი და მივიღეთ al-fil. როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო თანხმოვანთჯგუფი არაბული ენის დერივატის დონეზე წარმოიქმნა, საიდანაც უცვლელი ფორმით გადავიდა ესპანურ ენაში. იგივე მოვლენა დაფიქსირდა ესპ. alfañique-ს ეტიმოლოგიის კვლევის დროს. ისიც სპარსული (panid) ვოკაბულადან მოდის და არაბულის გავლით, სადაც არტიკლს იმატებს (al-fenid), გადადის ესპანურში.

ერთ-ერთი ყველაზე სტაბილურია nv კონსონანტური კომპლექსი. მჟღერი ნაზალისა და მჟღერი ფრიკატივისაგან შედგენილი ჯგუფი ძირითადად გვხვდება ისეთ ზმნებში, რომლებიც შედგენილია con და in თავსართების დამატებით ფუძესიტყვაზე: ლათ. convergere (con+vergere) ესპანურში გვაძლევს convergir-ს, ხოლო ლათ. invadere (in+vadere) - invadir-ს. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც nv კომპლექსი იქმნება არა ორი მორფემის შერწყმის შედეგად, არამედ მაშინ, როცა იგი ფუძისეულია. მათ შორისაა ესპ. convexo, რომელიც მოდის ლათ. convexus-იდან და ესპ. invocar, რომელიც მივიღეთ ლათ. invocare-დან [Segura Munguía, 2010: 889].

თავკიდური პოზიციისაგან განსხვავებით, pl კონსონანტური ჯგუფი არ ექვემდებარება ცვლილებებს სიტყვის შუაში: ლათ. triplex → ესპ. triple, ლათ. triplicare → ესპ. triplicar და ა.შ. ცვლილებები არც pn ჯგუფმა განიცადა. ბერძნული hypnos (sueño) ესპანურში გვაძლევს hipnosis-ს. როგორც ვხედავთ, ბერძნული ძირი ესპანურ დერივატში შენარჩუნებულია და მას დამატებული აქვს ესპანური სუფიქსი - sis, რაც არის პროცესის ამსახველი ბოლოსართი.

ყველაზე გავრცელებულ და ყველაზე სტაბილურ კონსონანტურ კომპლექსთა ჩამონათვალში დიდ ადგილს იკავებს ისეთი ჯგუფები, რომელთა პირველი ელემენტიც არის კონსონანტი r. Rb, rl, rm, rn, rr, rv ჯგუფებს ვხვდებით როგორც ლათინური, ასევე ბერძნული, კელტური, გოთური, არაბული და სხვა წარმოშობის მქონე სიტყვებში. მათ ვარირებას არც ერთ ესპანურ კორელატში არ აქვს ადგილი.

ლათინური ეტიმონის მატარებელია ესპ. arbol. იგი მომდინარეობს arbor-იდან. როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო კონსონანტური კომპლექსი შენარჩუნებულია, რასაც ვერ ვიტყვით ბოლოკიდურ თანხმოვანზე, რომელიც, დისიმილაციის შედეგად, ტრანსფორმირდა. ორი სემანტიკური მნიშვნელობა აქვს ესპ. berlina-ს. იმ შემთხვევაში, თუ berlina აღნიშნავს `ოთხკარიან მანქანას", იგი მომდინარეობს ფრანგული berline-დან, სადაც ეს ვოკაბულა შევიდა ქალაქ ბერლინის დასახელებიდან (ადგილი, სადაც ის გამოიგონეს), ხოლო თუ berlina აღნიშნავს `ვინმეს დაცინვას", იგი არის გერმანიკული წარმოშობის და ესპანურ ენაში გადადის იტალიური berlina (მასხარა)-დან [Coromines, 2008: 73]. ბერძნული harmonia-დან შემოვიდა ესპანურში armonía, ხოლო rn კომპლექსიანი სიტყვები ძირითადად ლათინური ეტიმონის მატარებელია: pierna (ლათ.perna), cuerno (ლათ. cornu). როგორც ვხედავთ, rn კონსონანტური ჯგუფისგან განსხვავებით, ფონეტიკური ვარირება განიცადეს e და o ხმოვნებმა. დიფთონგიზაციის შედეგად, e გადავიდა ie-ში, ხოლო o - ue-ში. რაც შეეხება r-ს გემინატს, იგი, ლათინურის გარდა, გვხვდება პრერომანული ეტიმონის მქონე სიტყვებში. პრერომანული (კერძოდ, კელტური) წარმოშობისაა ესპ. berrendo, რომელიც მომდინარეობს barrovindos-იდან, ხოლო ლათ. arrogans გვაძლევს კასტილიურ arrogante-ს. R კონსონანტით დაწყებული

სტაბილური კომპლექსების ჩამონათვალში ბოლო ადგილს იკავებს rv კომპლექსი, რომელიც მხოლოდ ლათინური წარმოშობის მქონე სიტყვებში გვხვდება: ლათ. cervus → ესპ. ciervo, ლათ. corvus → ესპ. cuervo, ლათ. parva → ესპ. parva და სხვ.

საგრძნობლად მცირეა ისეთი კონსონანტური კომპლექსების რაოდენობა, რომლებიც მხოლოდ ვარირებისკენ არის მიდრეკილი. მასალის კვლევის დროს მხოლოდ სამ ჯგუფს შევხვდით და სამივე გემინატს წარმოადგენს. მჟღერი ოკლუზივის გემინატი - bb ისევე, როგორც ყრუ ოკლუზივის გემინატი - pp, ესპანურ ენაში დამკვიდრების დროს განიცდის ვარირებას და გამარტივებული ფორმით გადადის ესპანურში. ორმაგი ოკლუზივის გამარტივების მოვლენა ფიქსირდება შემდეგ სიტყვებში: ლათ. iabbatia → ესპ. abadia, ლათ. abbatissa → ესპ. abadesa, ლათ. cappa → ესპ. capa, ლათ. appetitus → ესპ. apetito და ა.შ. როგორც ვხედავთ, მონოფენემური კორელატის წარმოქმნის გარდა, პირველ ორ მაგალითში მოხდა ყრუ კონსონანტის გამჟღერებაც. გამარტივდა m-ს გემინატიც, რაც კარგად ჩანს შემდეგ ესპანურ სიტყვებში: comunicar (ლათ. comunicare), comunidad (ლათ.communitas). არსებობს იმავე გემინატის ვარირების მეორე მოვლენაც, სადაც კომპლექსის პირველი ელემენტი გადადის n-ში: conmoción (ლათ. commotio), conmutar (ლათ. commutare) და ა.შ.

მესამე ჯგუფში გავაერთიანეთ ისეთი კონსონანტური კომპლექსები, რომლებიც ესპანურ ენაში გადადიან როგორც ვარირების გარეშე, ასევე ფორმაშეცვლილი სახით. სწორედ ამ ჯგუფში შედის თანხმოვანთჯგუფების უმრავლესობა.

იშვიათ მოვლენას წარმოადგენს gl კონსონანტური კომპლექსი. თუმცა, ამის მიუხედავად, გვაქვს მისი როგორც ვარირების, ასევე კონსტანტურობის მაგალითები. ლათ. degluttio ესპანურში გვაძლევს deglución-ს, ხოლო ლათ. espeglo-სგან მივიღეთ ესპ. esplego. როგორც ვხედავთ, მეორე მაგალითში მოხდა gl კონსონანტური კომპლექსის დაშლა l-ს გადასმის გამო, რის შედეგადაც ესპანურში მონოფონემური კორელატი მივიღეთ.

პირველი ელემენტის დაკარგვით აიხსნება gm კონსონანტური კომპლექსის გამარტივებული ფორმით გადასვლა ესპანურში: ლათ. augmentum → ესპ. aumento, ლათ. pigmentum → ესპ. pimiento. მისი კონსტანტურობის მოვლენა ფიქსირდება ესპ. segmento-ში, რომელიც მომდინარეობს ლათ. segmentum-იდან [Real Academia].

სამ ქვეჯგუფად შეგვიძლია დავყოთ gn კომპლექსის მიერ განცდილი ფონეტიკური ცვლილებები. ბინარული ჯგუფისაგან მონოფონემური კორელატის მიღება (პირველი ელემენტის დაკარგვის ხარჯზე) ფიქსირდება ესპ. conocer (ლათ. cognoscere)-ში, კომპლექსის პალატალიზაცია კი ფიქსირდება ესპ. leña (ლათ. ligna)-სა და ესპ. estaño (ლათ.stagnu)-ში [Penny, 2008: 90]. რთულია ესპ. prenda-ს მიერ განვლილი ევოლუციის გზა. იგი მომდინარეობს ლათ. pignora-დან და კასტილიურ კორელატს ქმნის რამდენიმე ცვლილების შედეგად: pignira → peñra → peñdra → prenda. როგორც ვხედავთ, ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე დაფიქსირებული პალატალიზაციის, თანხმოვნის ეპენთეზის და მეტათეზის შედეგად, ესპანურ კორელატში საერთოდ დაიკარგა ეტიმონის დონეზე არსებული კონსონანტური კომპლექსი. Gn ჯგუფი უცვლელი ფორმით გადავიდა შემდეგ ესპანურ სიტყვებში: magnífico (ლათ. magnificus), magno (ლათ. magnus) და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ შუა კონსონანტური კომპლექსი ln ვარირებას ხშირ შემთხვევაში არ ექვემდებარება (ლათ. balnearius → ესპ. balneario, ლათ. alnus → ესპ. alno), გვაქვს ორიოდე მაგალითი, რომლებშიც ფიქსირდება მისი ვარირება. L-ს პალატალიზაციით შემდეგ კი მისი გაქრობით და დარჩენილი ერთი კონსონანტის ხარისხის შეცვლით ვიღებთ პალატალიზებულ n-ს, ანუ ñ-ს: balneum → bannium → baño [ახვლედიანი, 2009: 67].

თანხმოვანთჯგუფი lp გვხვდება როგორც ლათინური, ასევე არალათინური წარმოშობის სიტყვებში. გვაქვს არაერთი მაგალითი მისი როგორც ვარირებისა, ასევე კონსტანტურობისა. კასტილიურ ენაში დამკვიდრების დროს არავითარი ცვლილება არ განუცდია lp კომპლექსს შემდეგ სიტყვებში: ლათ. palpitare → ესპ.palpitar, ლათ. pulpitum

→ ესპ. pulpito და სხვ. კომპლექსის პირველი ელემენტის ვოკალიზაცია ფიქსირდება ლათ. talpus-ის მიერ განვლილ ევოლუციის გზაზე. მან ჯერ მოგვცა taupo, ხოლო მოგვიანებით დიფთონგმა au-მ მონოფთონგიზაცია განიცადა და დღევანდელ ესპანურში გვაქვს topo. დისიმილაციის მოვლენით აიხსნება ლათ. palpetrum-იდან ჯერ parpadro-ს, ხოლო მოგვიანებით, párpado-ს მიღება.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კონსონანტური კომპლექსია mb ჯგუფი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომპლექსის მდგრადობის უამრავი მაგალითი გვაქვს (მაგ: ლათ. ambitus → ესპ. ámbito, ლათ. ambulare → ესპ. ambular), ვხვდებით ეტიმონის დონეზე არსებული mb კომპლექსის ესპანური კორელატის დონეზე როგორც გამარტივების, ასევე პოლიკონსონანტურად გადაქცევის მოვლენას: ლათ.palumbes (ხალხ. ლათ. palumba) გოთურის გავლენით მარტივდება და გვაძლევს paloma-ს [ახვლედიანი... 2009: 42], ხოლო ლათ. umbilicus, b-სა და l-ს შორის არსებული i-ს სინკოპის შედეგად გვაძლევს ombligo-ს.

ჯერ კიდევ ლათინურში შეიმჩნეოდა mn კომპლექსის მიდრეკილება ასიმილაციისაკენ. ლათ. damnum ჯერ ეტიმონის დონეზე განიცდის ცვლილებას, შემდეგ კი ასიმილირებული dannu გვაძლევს daño-ს. როგორც ვხედავთ, ლათინურის დონეზე წარმოქმნილი n-ს გემინატი ესპანურში გადავიდა პალატალიზებული n (ანუ ñ)-ს სახით. ვარირების გარეშე გადავიდა mn თანხმოვანთჯგუფი ესპანურ omnipotente-ში, რომელიც მომდინარებს ლათ. omnipotens-იდან.

განხილულმა მასალამ გვიჩვენა, რომ ng კომპლექსი იმ ერთ-ერთ ჯგუფთაგანია, რომელთაც ესპანურ კორელატებში უფრო ხშირად სახეცვლილი ფორმით ვხვდებით, ვიდრე ვარირების გარეშე. მის მიერ განცდილი ფონეტიკური ცვლილებები შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე ჯგუფად: პირველი ჯგუფში გავაერთიანეთ ისეთი მაგალითები, რომელთა ბინარული კომპლექსიც ესპანური კორელატის დონეზე იქცა მონოფონემურად, რასაც წინ უძღვოდა პალატალიზაცია და დარჩენილი ერთი ელემენტის ხარისხის შეცვლა (ლათ. cignere → ესპ. ceñir); მეორე ჯგუფში შევიყვანეთ

ისეთ მაგალითები, რომლებშიც კომპლექსის მეორე ელემენტია დაკარგული (ლათ. pungente → ესპ. puniente); მესამე ჯგუფში თავი მოვუყარეთ ბინარული კომპლექსის პოლიკონსონანტურად გადაქცევის მაგალითებს (r-ს ეპენთეზის შედეგად ლათ. conger ესპანურში გვაძლევს congrio-ს), ხოლო მეოთხეში გავაერთიანეთ ისეთი მაგალითები, რომლებშიც კომპლექსის მეორე ელემენტი ტრანსფორმირდება. აქ შეიძლება გამოვყოთ ორი ქვეჯგუფი: ა) სიტყვები, რომლებშიც g გადადის c-ში (singellus-sencillo); ბ)სიტყვები, რომლებშიც მეორე ელემენტი გადადის ch-ში: cingulum-cincho. უცვლელი ფორმით ng კომპლექსი გადავიდა შემდეგ სიტყვებში: angina, angor, largo და ა.შ.

ვარირების არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა შუა კონსონანტური nt კომპლექსის კვლევის დროს. გვაქვს მისი როგორც ვარირების, ასევე კონსტანტურობის მაგალითები. უცვლელი ფორმით იგი გადავიდა ესპ. contacto, intentar და სხვ. ლათინური წარმოშობის სიტყვებში. რაც შეეხება მის ვარირებას, აქ ვხვდებით ორელემენტიანი კომპლექსის ყრუ ელემენტის როგორც გამჟღერებას (მოსარაბ. antubiya → ესპ. endivia), ასევე იმავე ყრუ თანხმოვნის გადასვლას c-ში (ლათ. amentia → ესპ. amencia), ხოლო თუ მას ხმოვანი a, o ან u მოსდევდა - z-ში (ლათ. pantex → ესპ. panza), რაც სწორად წარმოთქმის აუცილებლობით არის გამოწვეული. ბინარული კომპლექსი პოლიკონსონანტურად ტრანსფორმირდა (ხმოვნის სინკოპის შედეგად) ესპ. entraña-ში, რომელიც მომდინარეობს ლათ. interaneus-იდან.

მხოლოდ ლათინური წარმოშობის სიტყვებში გვხვდება pt კონსონანტური კომპლექსი და იგი ძირითადად სახეცვლილი ფორმით გადადის ესპანურ კორელატში. მის მიერ განცდილი ცვლილებები დავყავით რამდენიმე ჯგუფად: პირველ ჯგუფში გავაერთიანეთ პირველი ელემენტის დაკარგვის შედეგად წარმოქმნილი მონოფონემური კორელატის მქონე სიტყვები (ლათ. ruptu → ესპ. roto), მეორეში თავი მოვუყარეთ ისეთ სიტყვებს, რომლებშიც საერთოდ ამოვარდა ბინარული ჯგუფი (ლათ. septimana → ესპ. semana). მესამე ჯგუფში კი გავაერთიანეთ ვოკალიზაციის ამსახველი მაგალითები (ლათ. captivus → ესპ. cautivo) და ა.შ. Pt კომპლექსი უცვლელი ფორმით გადავიდა ზოგიერთ სიტყვაში. მაგ: captura (ლათ. captura) და სხვ.

შუა კონსონანტური კომპლექსი rd გვხვდება ლათინური, ბერძნული და პრერომანული წარმოშობის სიტყვებში და ძირითადად უცვლელი ფორმით გადადის ესპანურ ენაში: ლათ. ardere → ესპ. arder, ბერძ. kardiakos → ესპ. cardiaco, კელტ. bardus → ესპ. bardo. მხოლოდ ორიოდე შემთხვევა გვაქვს rd კომპლექსის ვარირებისა. მათ შორისაა ლათ. hordeum, რომელმაც ჯერ ესპ. orzuelo (სავარაუდოდ, იტალიური orzata-ს გავლენით) მოგვცა, ხოლო შემდეგ - horchata [Coromines, 2008: 302].

თითქმის ყველა შემთხვევაში უცვლელი ფორმით გადადის rp კონსონანტური კომპლექსი: ლათ. corpus → ესპ. cuerpo, ლათ. serpente → ესპ. serpiente. ვხვდებით მისი ვარირების მხოლოდ ერთ შემთხვევას. ვგულისხმობთ ზმნა sobreponer-ს, რომელიც მომდინარეობს ლათ. superponer-იდან. როგორც ვხედავთ, დერივატის დონეზე მოხდა მეტათეზა და ყრუ კონსონანტის - p-ს გამჟღერება.

ასიმილაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა rs კონსონანტური კომპლექსი. XVII საუკუნემდე ლათინურ სიტყვებში, რომლებიც ანტიკურ ლათინურში rs ჯგუფით იყო წარმოდგენილი სიტყვის შუაში, ვხვდებით ss ჯგუფს, ხოლო XVIII საუკუნიდან უკვე ფიქსირდება ამ სიტყვებში არსებული გემინატის გამარტივება ერთ-ერთი ელემენტის ამოვარდნის ხარჯზე: transversu → traviesso → travieso, ursu → osso → oso და სხვ [ახვლედიანი, 2008: 70], უცვლელი ფორმით rs კომპლექსი გადავიდა რამდენიმე ბერძნული წარმოშობის, ოღონდ ესპანურში ლათინიზებული ფორმით მოცემულ სიტყვაში: ბერძ. thyrsos → ლათ. thyrsus → ესპ. torso.

სხვადასხვა სახის ცვლილებები განიცადა rt კომპლექსმა ესპანურ ენაში დამკვიდრებისას. გარდა იმისა, რომ მოხდა მეორე ელემენტის გამჟღერება (ლათ. fartum → ესპ. fardo), დაფიქსირდა ყრუ ოკლუზივის ყრუ ფრიკატივში გადასვლა (ლათ. martialis → ესპ.marcial). გვაქვს, აგრეთვე, კომპლექსის მეორე ელემენტის ყრუ აფრიკატში გადასვლის შემთხვევები (ლათ. cortex → ესპ. corcho). კონსონანტური კომპლექსი ცვლილებების გარეშე გადავიდა შემდეგ ესპანურ სიტყვებში: corto (ლათ. curtus), arteria (ბერძ. arteria) და ა.შ.

იშვიათია ეტიმონის დონეზე არსებული tr კომპლექსის მიერ განცდილი ცვლილებები. თუმცა, გვაქვს მისი ვარირების რამდენიმე შემთხვევა. მათ შორისაა: ესპ. cidro, რომელიც ლათ. citrus-იდან მივიღეთ თანხმოვნის გამჟღერების შედეგად. ვარირების გარეშე გადავიდა აღნიშნული კონსონანტური ჯგუფი ესპ. atrio-ში, რომელიც მომდინარეობს ლათ. atrium-იდან და ესპ. matraca, რომელიც მივიღეთ არაბ. matraqa-დან.

მეოთხე ჯგუფში გავაერთიანეთ ისეთი კონსონანტური კომპლექსები, რომლებიც დერივატის დონეზე ფიქსირდება. დერივატის დონეზე წარმოქმნილ ჯგუფებს ხშირად "grupos secundarios"-ს სახელით მოიხსენიებენ [Morales, 2005: 217]. გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ დერივატის დონეზე წარმოქმნილი თანხმოვანთჯგუფები მცირეა, ამავე ჯგუფში შევიყვანეთ ისეთი კომპლექსებიც, რომლებიც გარკვეული რაოდენობის სიტყვებში ეტიმონის, ხოლო გარკვეულ ვოკაბულებში დერივატის დონეზე გვხვდება. სწორედ ამის გამო მეოთხე ჯგუფი დავყავით ორ ქვეჯგუფად. პირველში შევიყვანეთ sf, sg შუა კონსონანტური კომპლექსები, ხოლო მეორეში თავი მოვუყარეთ dr, gl, gm, gn, ld, lg, lm, lp, lv, mb, nt, nv, rf, rg, rl, rm, rn, rp, rr თანხმოვანთჯგუფებს. აღსანიშნავია, რომ პირველ ქვეჯგუფში შემავალ სიტყვები ძირითადად არალათინური წარმოშობის ვოკაბულებია: ბერძ. sphaera → ესპ. esfera, ბასკ. izokin → ესპ. esguin. როგორც ვხედავთ, პირველ მაგალითში ეტიმონის დონეზე არსებული კომპლექსი არა მარტო ფონეტიკურად ტრანსფორმირდა, არამედ სიტყვაში პოზიციაც შეიცვალა.

რაც შეეხება მეორე ქვეჯგუფში შემავალ კონსონანტურ კომპლექსებს, მათი ესპანურ კორელატში წარმოქმნა უკავშირდება სინკოპას, მეტათეზას, ასიმილაციას, დისიმილაციას და ყრუ კონსონანტის გამჟღერებას.

მხოლოდ სინკოპის შედეგად მიღებულ კონსონანტურ კომპლექსებს წამოადგენს gl და rm ჯგუფები: ლათ. regula → ესპ. regla, ძვ. გერმ. aram → ესპ. armón. გვაქვს რამდენიმე ისეთი შემთხვევა, როდესაც ხმოვნის სინკოპას თან ახლავს ყრუ კონსონანტის გამჟღერებაც. სწორედ ამ გზით მივიღეთ ესპანურში dr, ld, lg ჯგუფები: ლათ. lateralis → ესპ. adral, ლათ. malitas → ესპ. maldad, ლათ. delicatus → ესპ. delgado. იგივე dr კომპლექსი

რამდენიმე სიტყვაში მეტათეზის შედეგადაც არის წარმოქმნილი: ლათ. crocodilus → ესპ. cocodrilo, ლათ. brodium → ესპ. bodrio. დისიმილაციით აიხსნება rp კომპლექსის მიღება - ესპ. párpado-ში. იგი მომდინარეობს ლათ. palpetrum- იდან, რომელიც ჯერ parpadro-დ ტრანსფორმირდა, ხოლო მოგვიანებით, მოგვცა párpado. ასიმილაცია კი ფიქსირდება r-ზე დაწყებულ არაბულ სიტყვებში, რომლებმაც ესპანურ ენაში დამკვიდრების დროს al არტიკლი დაიმატეს. სწორედ ამ არტიკლის l- მ მოგვცა r-ს გემინატი, მისი ფუძისეულ r-სთან ასიმილაციის შედეგად: არაბ. ruzz → ესპ. arroz.

განხილულმა მასალამ გვაჩვენა, რომ ლათინური და არა მარტო ლათინური ენის კონსონანტურმა კომპლექსებმა ესპანურ ენაში დამკვიდრების დროს ევოლუციის რთული გზა განვლეს და რომ მათთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებების უმრავლესობა გამოწვეულია კომუნიკაციის საარტიკულაციო აპარატთან დაკავშირებული ლინგვისტური (შინაგანი) ფაქტორებით, რისი ნათელი მაგალითიც არის ინტერვოკალურ პოზიციაში მყოფი ყრუ თანხმოვანების გამჟღერება (ასევე, ასიმილაციის, დისიმილაციის, მეტათეზის, სინკოპის და ეპენთეზის არაერთი შემთხვევაც). როგორც ჩანს, პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ხალხებისათვის არ აღმოჩნდა მისაღები ლათინურიდან ან სხვა ენიდან შემოსული მთელი რიგი სიტყვების უცვლელი ფორმით მიღება, რის გამოც ამ სიტყვებში დაფიქსირდა უამრავი ფონეტიკური (სისტემური თუ არასისტემური) ცვლილება.

მასალის კვლევის დროს შევხვდით რამდენიმე ისეთ ვარირებასაც, რომლებიც ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს უკავშირდება. სწორედ აკუსტიკური ცდომილებით, რომელსაც მენედეს პიდალი "error de audición"- ს უწოდებს [Menéndez Pidal, 1977: 195], აიხსნება რამდენიმე კონსონანტური კომპლექსის ვარირება. მიუხედავად იმისა, რომ მათი არევა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, თანხმოვანთჯგუფებთან ძირითადად კომპლექსის შემადგენელ ოკლუზივებს და ნაზალებს შორის არტიკულაციის წერტილის ცდომილებას ვხვდებით: bieldo → bielgo, tunbak → tumbaga.

როგორც ვხედავთ, დიდი სტრუქტურული ცვლილებები განიცადა ესპანურმა ენამ (თუმცა, შეინარჩუნა მემკვიდრეობითი ელემენტებიც) და შედეგად მოგვცა ლათინურზე არანაკლებ რთული ფონეტიკური სისტემა.

ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ც., მ. კობეშავიძე. ესპანური ენის ისტორია.- თბილისი,2009
2. ახვლედიანი ც. სტაბილურობა და ვარირება რომანულ თანხმოვანთჯგუფებში.- თბილისი,2009
3. ახვლედიანი ც. დიაქრონიული ფონოტაქტიკა და რომანული კონსონანტიზმის პრობლემები.- თბილისი,2008
4. Corominas J. Breve diccionario etimológico de la lengua castellana.- Madrid,2008
5. Menéndez Pidal R. Manual de gramática histórica española.- Madrid, 1977
6. Morales A. Fonética histórica y fonología diacrónica.- Madrid,2005
7. Penny R. Gramática histórica del español.- Barcelona,2008
8. Segura Munguía S. Nuevo diccionario etimológico Latín-Español y de las voces derivadas.- Bilbao, 2010
9. Real Academia Española [ინტერნეტრესურსი]http://www.rae.es/rae.html

ქეთევან გოჩიტაშვილი

ადამიანის ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართულ და ინგლისურ ენებში

თანამედროვე ჰუმანიტარული კვლევები სულ უფრო და უფრო კომპლექსური ხდება და ზოგჯერ მკვეთრი საზღვრის გავლება არც კი ხერხდება, შესასწავლი ობიექტის კვლევა კონკრეტულად რომელი დარგის პრეროგატივაა. Bბუნებრივია, საქმე უფრო რთულდება, როცა კვლევის ობიექტი ენა ხდება. თანამედროვე ლინგვისტური კვლევების ინტერესი კარგა ხანია, გასცდა ენის, როგორც გრამატიკული სტრუქტურა-სისტემის, კვლევას და გაცილებით გაიფართოვა თავისი არეალი. ენა, როგორც სოციალური ინტერაქციისა და კულტურის შემქმნელი საშუალება, შეისწავლება მრავალი თვალსაზრისით; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი, როგორც კულტურის პროდუქტის, ერთი მხრივ, და, ამავე დროს, მეორე მხრივ, კულტურის შემქმნელის შესწავლა.

ფიგურალურად რომ ვთქვათ, ენა არის ერთგვარი `საწყობი~, რომელშიც ჩალაგებულია საზოგადოების გამოცდილება, რწმენა-წარმოდგენები, კავშირები, ცვლილებები და ა. შ. ენა ვერბალიზებული, სიტყვიერად გამოხატული კულტურაა. სხვაგვარი ფორმულირებით, არ არსებობს ადამიანური ქმედების არც ერთი გამოვლინება, რომელიც ენაში (და, განსაკუთრებით, მის ლექსიკურ ფენებში) არ იყოს დალექილი. ფრაზეოლოგიზმების შესწავლა ლინგვოკულტუროლოგიის შესწავლის ობიექტად იქცა, რადგან ისინი, როგორც მყარი, სტაბილური ერთეულები, ასახავს ერის კულტურულ თვითმყოფადობასა და ცნობიერებას, მის მენტალობას. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ფრაზეოლოგიის შესწავლა დასავლეთევროპული და ამერიკული ენათმეცნიერების კვლევის ერთ-ერთ ძირითად საკითხად ითვლება, რადგან, როგორც ენათმეცნიერებისათვის, ისე, მაგალითად, კულტუროლოგებისათვის, ეთნოლოგებისათვის და სხვა მომიჯნავე სამეცნიერო დარგის წარმომადგენლებისათვის აშკარა გახდა, რომ ენისა და კულტურის ანალიზი ფრაზეოლოგიური მონაცემების

გარეშე არასრულყოფილი იქნება, რადგან მასში არეკლილია როგორც ენობრივი, ისე ამ ენის მატარებელთა კულტურული თავისებურებანი [Cowie, 1998: 57]. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, ჯერ კიდევ გვხვდება საკითხები, რომლებიც ქართველ ენათმეცნიერთა ყურადღებას მოითხოვს. ვფიქრობთ, ადამიანის ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ქართული და ინგლისური ფრაზეოლოგიის შესწავლა და შედარება ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა, რადგან ნათლად წარმოაჩენს ამ კულტურათა დამოკიდებულებას ადამიანთა ჯანმრთელობასთან, განწყობილებებთან, ფსიქოლოგიურრ მდომარეობასთან დაკავშირებით და ენაში მათი ასახვის გზებს.

ქართულ და ინგლისურ ენებში ჩვენ მიერ შესწავლილი ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველი ფრაზეოლოგიური ერთეულები შესაძლებელია დაიყოს შემდეგ თემატურ (ლექსიკურ-თემატურ) ჯგუფებად:

I. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ასახავს ორი (ქართული და ანგლოამერიკული) კულტურის წარმოდგენას ფიზიკური სიჯანსაღის, ჯანმრთელობის თაობაზე. ორივე ენის ფრაზეოლოგიზმებში ხაზგასმულია, რომ ადამიანის ჯანმრთელობა უაღრესად მნიშვნელოვანია:

მთავარია ჯანმრთელობა, ჯანმრთელობის ფასი არაფერია.

The first Wealth is health; You cannot bye health.

მიუხედავად იმისა, რომ ერთეულები არ გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და სიმრავლით, ზუსტად და სხარტად, მარტივი ენით ასახავს ამ კულტურათა შეხედულებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

II. ფრაზეოლოგიზმებში (როგორც ენის ორგანულ შემადგენელ ნაწილში), ასახულია ადამიანების უძველესი სამედიცინო ცოდნა და გამოცდილება და ფორმულირებულია

მწყობრ ფრაზებად. ამ ჯგუფში შედის ინგლისურენოვანი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც კვების, საკვებისა და ჯანმრთელობის კავშირს გადმოსცემს:

An apple a day keeps the doctor away; You are what you eat; Junk food; Health food.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში არ გვხვდება ზემოთ დასახელებული ფრაზეოლოგიური ერთეულების ზუსტი ანალოგიები. პირველი ორი მათგანის ეკვივალენტი ქართულში საერთოდ არ შეგვხვედრია, ხოლო მესამე შემთხვევაში ხდება ტრანსფერი ინგლისურენოვანი სამყაროდან, რადგან `ჯანქფუდი~ (პირდაპირი სესხება, კალკირება) დადასტურებულია თანამედროვე ქართულში; ჯანმრთელი/ჯანსაღი საკვები, როგორც ჩანს, ასევე გვიანდელი შემონატანია ენაში.

რასაკვირველია, ზემოთ ნათქვამი სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ქართულ კულტურას `არ ესმოდა~ კვებისა და საკვების მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ქართულ ენაში დამკვიდრებული "დალოცვის" ფორმულებში გვხვდება ერთი სემასიოლოგიური ჯგუფი ფრაზეოლოგიური ერთეულებისა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ქართველებმა კარგად უწყოდნენ საკვების, კვების პროცესისა და ჯანმრთელობის პირდაპირი კავშირის შესახებ: ***`ღმერთმა შეგარგოს", „ჯანში წაგსვლოდეს"*** და ა. შ; და _ ***`საჭმელმა დასცადა~*** (იტყვიან ახალ შემოსულ ხილზე ან ბოსტნეულზე, რომელიც აწყენს მის მიმღებს). ეს გამონათქვამები უფრო არაფორმალური ხასიათისაა, სასაუბრო სტილშია რეალიზებული და კარგად წარმოაჩენს ქართველი ხალხის დამოკიდებულებას კვებისადმი.

საკვებისა და კვების საკითხს უშუალოდ უკავშირდება წონის პრობლემასთან დაკავშირებული გამონათქვამები, რომლებიც, ძირითადად, ესთეტიკურ მხარეზეა კონცენტრირებული. აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში, მაგალითად, ბავშვის სიმსუქნე არ აღიქმება ფიზიკურ დეფექტად, ხოლო მოზრდილის ზედმეტი წონა _ ნაკლია:

ფუნჩულა, ჩაპუტკუნებული; გოჭივითაა (ბავშვი, დადებითი კონოტაცია);

ღორივითაა გასუქებული; ღიპი ადევს; ქონის ნაჭერია (ზრდასრული ადამიანი,უარყოფითი კონოტაცია). *მძიმეწონიანის* მნიშვნელობით ინგლისურში დაცულია ***Overweight***; (ნეიტრალური კონოტაციით). ***Fat; As big as a whale; As big as a house*** (უარყოფითი კონოტაციით). სიგამხდრის დადებითი კონოტაციის გვერდით (ქართული ***თხელი,*** ინგლისური ***slim)*** ორივე ენაში გვხვდება გამოთქმები, რომლებშიც სიგამხდრე ნეგატიურადაა აღქმული: ***Bag of bones; Skinny, twig; Thin as rail - ძვალზე გადაკრული ტყავი; კაკლის საბერტი ჯოხი; მოსიარულე ჩონჩხი; გამხმარი; გაფშეკილი...***

III. სიკვდილი და მისდამი დამოკიდებულება. ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელმაც იცის საკუთარი მოკვდავობის შესახებ. ის, ერთი მხრივ, აცნობიერებს ფაქტის გარდუვალობას და სიკვდილისადმი დამოკიდებულებას ასახავს ფილოსოფიაში, ლიტერატურაში, რელიგიაში. ადამიანის დამოკიდებულება სიკვდილისადმი დიდწილად არის განსაზღვრული მისი რელიგიური შეხედულებებით. ამ ბიოლოგიური კანონზომიერებისადმი დამოკიდებულება, ბუნებრივია, დალექილია ყველა ენაში, ყველა კულტურის წარმოდგენებსა და რიტუალებში. არსებობს არაერთი ცნობილი ნაშრომი სიკვდილის სოციოლოგიისა და ფილოსოფიის შესახებ. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, ლინგვისტიკის პოზიციიდანაც შევისწავლოთ სიკვდილის ფენომენისადმი დამოკიდებულება. ამჯერად კი შევეცდებით, წარმოვადგინოთ ქართულ და ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში შემონახული დამოკიდებულებები სიკვდილისადმი.

ამ თემატური ბლოკის შემადგენლობაში შედის ფრაზეოლოგიზმები,

1. რომლებიც სიკვდილის ფაქტის კონსტანტაციას ახდენს და გვხვდება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებში:
   სულის განტევება; სულის უფლისათვის მიბარება; სულის ამოძრომა; სულის აღმოხდომა; გარდაცვალება. როგორც ვხედავთ, ამ სტრუქტურული ერთეულების უმრავლესობათა ბირთვს ქმნის სული ან სულის სახეცვლილება, რაც

ქრისტიანული რელიგიის თვალნათელი გავლენაა ენასა და ცნობიერებაზე. ინგლისურსა და ქართულ ენებში დაფიქსირებულია იდიომატური გამოთქმები, რომლებიც გარდაცვალების შედეგს, დამდგარ ფაქტს აღწერს, თუმცა რელიგიური ნიშნით არ არის მარკირებული:

To pass away; Hit the dust; Kick the bucket; He fell asleep .

ცხოვრების დატოვება; გაღმა გასვლა; მარილზე გასვლა;

ბავშვების დაობლება; შავები ჩააცვა ცოლ-შვილს.

2. გარდაცვალების მოახლოებას, მოკვდინების პროცესს:

უკანასკნელ დღეშია; ფეხზე გატკანი ჰყავს გამობმული;

სიკვდილის ბუზი დააჯდა; ესტუმრა მიქელ-გაბრიელი;

სასიკვდილო სარეცელზეა, მაგისი დრო დათვლილია;

მაგისი დღეები დათვლილია .

Breathe one's last; In a bad way; At death' s door; One's number is up;

Dead man walking და ა. შ.

ორივე შემთხვევაში თვალშისაცემია მსგავსება როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური თვალსაზრისით.

3. ენებში შემონახულია ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ასახავს სიკვდილის დადგომის განსხვავებულ პროცესებს:

ა) ***ტანჯვით აღმოხდომა სულისა; ჭირის დარევა; ბედნიერი სიკვდილი;***

ერთიანად გაჟუჟვა - He suffered greatly; He died peacfully; Drop like flies. დიდი რაოდენობით ხალხის გარდაცვალება ერთდროულად, როგორც წესი, რაღაც ეპიდემიის გამო.

ჯანმრთელი მკვდარი არ გინახავს? უცებ მოერია (სიკვდილი). Die with one's boots on.

როგორც ვხედავთ, შესასწავლ ენებში გვხვდება როგორც ტიპოლოგიურად მსგავსი ფრაზეოლოგიური ერთეულები (გამოხატულების პლანში, მსგავსება შეინიშნება ლექსიკურ დონეზეც კი): ***სასიკვდილო სარეცელზეა - At death' s door; Breathe one's last _ უკანასკნელი ამოსუნთქვა,*** ისე რადიკალურად განსხვავებული ერთეულები. ენებს შორის ტიპოლოგიური მსგავსება შეინიშნება

ევფემიზაციასთან დაკავშირებითაც.

ევფემიზმები და ევფემიზაცია თავისი ფესვებით უკავშირდება ადამიანის შინაგან ბუნებას, მის შიშს ბუნების ძალებისა და მოვლენებისადმი [Вавилова, 2011:14] და, აგრეთვე, პირდაპირი კავშირი აქვს უძველეს ენობრივ ტაბუსთან, რომელიც კრძალავდა საშიში მოვლენების პირდაპირ დასახელებას. ორივე ეს ენობრივი მოვლენა მიმართულია, რომ დაფაროს საშიში, ჭეშმარიტი არსი მოვლენისა ნეიტრალური ან დადებითი კონოტაციით და მოახდინოს ერთგვარი ფსიქოლოგიური დაცვა გარემო მოვლენებისაგან. ამავე რიგისაა ***გედნიერი სიკვდილი,*** მოცემული განსაზღვრება, რასაკვირველია, დაშორებულია თავის პირდაპირ სემანტიკას, თუმცა, ერთგვარი ფსიქოლოგიური კომფორტის განცდას უქმნის მიმღებს.

როგორც მოსალოდნელია, სიკვდილის სემანტიკის ევფემისტურად გადმოცემა დამახასიათებელია როგორც ერთი, ისე მეორე კულტურისათვის. ჩვენ მიერ განხილული მაგალითების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ევფემისტური ხასიათისაა, ამასთგან ხშირ შემთხვევაში ის შეზავებულია იუმორისტული ელფერითაც (***ბატკანი ჰყავს გამობმული*** და ა. შ.), რაც, ჩვენი აზრით, გამოხატავს არა იმდენად ადამიანის რეალურ განწყობას ამ თავისი არსით შემაძრწუნებელი მოვლენის მიმართ, არამედ მისი დამარცხების მცდელობას. იგივე შეიძლება ითქვას ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულზე ***Pop one's clogs.***

IV. ორივე ენაში გვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც

შეიცავს ლექსემა „სიკვდილს," როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულის ბირთვს. მათ შორის ერთ შემთხვევაში სრული ანალოგია შეინიშნება:

სიკვდილს ეთამაშება; ***სიკვდილისთვის თვალებში ყურება***. ***Dance with death; Gamble with your life*** - როდესაც პიროვნება თავის სიცოცხლეს საშიშ, სარისკო სიტუაციაში აყენებს. ამ შემთხვევაში ხაზგასმულია ქცევის, ქმედების გაბედული, რისკიანი ბუნება.

ამავე რიგისაა ქართული ***სიკვდილის მონატრება; სიკვდილის დალოდება - He wants to go to a better place*** და ა. შ. ადამიანის უკიდურესად მძიმე ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად.

V. ადამიანის სხვადასხვა ფიზიკური მდგომარეობის გადმომცემი ფრაზეოლოგიზმებით მდიდარია როგორც ინგლისური, ისე ქართული ენები. სემანტიკური ველის ცენტრში დგას ადამიანის კარგი ფიზიკური მდგომარეობის (ჯანმრთელობის) და არადამაკმაყოფილებელი ფიზიკური მდგომარეობის (ცუდი ჯანმრთელობის) გადმომცემი ფრაზეოლოგიზმები, ხოლო პერიფერიაზე საშუალოდ, დამაკმაყოფილებლად ყოფნის აღმნიშვნელი გამონათქვამები. ლექსიკური ერთეულები განაწილებულია შემდეგ ქვეჯგუფებად:

1. კარგი ფიზიკური მდგომარეობა:
   In the pink health; In the prime of one's life;Picture of good health; Full of beans; Hale and healthy; As fit as fiddle; Right as rain _ ხარივით ჯანმრთელია, კაჟივითაა; კენჭივითაა.
2. არასახარბიელო ფიზიკურ მდგომარეობა:
   ჯანმრთელობის შერყევა; ჯანმრთელობის გაუარესება; ცუდ ფიზიკურ მდომარეობაში ყოფნა; ლოგინად ჩავარდნა; ჯანის გატეხვა _ Off color; In bad shape; Under the weather; Touch-and-go; On your last legs/On its last legs; Run down; Fall ill.
3. საშუალო, დამაკმაყოფილებელი ფიზიკური მდგომარეობა.
   ვარ რა?! ნელ-თბილად ყოფნა; არც ცოცხლებში წერია, არც მკვდრებში _ To be so-so, To be OK; I'm hanging in there; I've be better.
4. დაავადების პროცესის, მიმდინარეობის აღწერა. არც თუ ისე შორეულ წარსულში, სანამ სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი არ იყო, ავადმყოფობა უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული. თითქმის ყველა კულტურაში კოდირებულია სამედიცინო ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ამ ენის მატარებელ ხალხს ჰქონდა ავადმყოფობასთან დაკავშირებით, ხოლო ფრაზეოლოგიური ერთეულების ბირთვად წარმოდგენილია:

ა) დაავადებების სახელი (ხალხური სახელწოდება დაავადებისა, სამედიცინო) + ზმნური ელემენტი:

გრიპი დაემართება; ყელის ტკივილი; მუცლის გვრემა; თავის გასკდომა _ Catch a cold; Catch one's death cold; Run a fever; Have a frog in one's throat.

ბ) მდგომარეობიდან გამოსვლა, გადარჩენა; ავადმყოფის მიხედვა _ მდგომარეობის გაუარესება, შებრუნება.

როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგიზმების დიდ ნაწილს მოეძებნება საოპოზიციო ცალები, ანტონიმური შინაარსის ერთეულები. ამ მხრივ არც ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის გადმომცემი ფრაზეოლოგიზმებია გამონაკლისი. ზემოთ უკვე განვიხილეთ ერთი ჯგუფი ამგვარი ანტონიმებისა, ახლა კი წარმოვადგენთ იდიომებს, რომლებიც, ერთი მხრივ, გამოხატავს ავადმყოფობის დაძლევას, ხოლო, მეორე მხრივ, დაავადებულის მდგომარეობის გაუარესებას, დაავადების შებრუნებას.

დაავადებიდან გამოძრომა (არაფორმალური); ***დაავადების დაძლევა/ დამარცხება; დაავადების შებრუნება; სიკვდილს გადარჩენა*** (ჰიპერბოლიზება);

ავადმყოფი ფეხზე დააყენა - Keep body and soul together; On the mend; Back on one's feet; Up and about; Pull through; Nurse someone back to health; Over the worst. დაავადების შებრუნება _ Take a turn for the worse.

გ) იდიომები, რომლებიც გამოხატავს ტკივილის/ავადმყოფობის ხარისხს: ზედსართავი + სახელი.

სუსტი ტკივილი; ყრუ ტკივილი; გულისგამაწვრილებელი ტკივილი; საშინელი ტკივილი; ძლიერი ტკივილი - Severe ache; Splitting headache; Severe cancer; Sharp pain; Minor pain.

VI. ადამიანის გამრავლება, მომავალი თაობის პროდუცირება საზოგადოების

განვითარების უფრო ადრეულ საფეხურზე მრავალ რისკს, რწმენა-წარმოდგენასა და კულტურულ ნორმას უკავშირდებოდა. ეთნოგრაფებს, ისტორიკოსებს კარგად აქვთ შესწავლილი ორსულობასა და მშობიაროზასთან, აგრეთვე, ბავშვის აღზრდასთან

დაკავშირებული რიტუალები როგორც ინგლისურში, ასევე ქართულში. ორივე ენაში წარმოდგენილია ფრაზეოლოგიზმების არცთუ ისე დიდი ჯგუფი, რომელიც ორსულობას, მშობიაროზასა და ორსულობის გართულებას უკავშირდება; აღვნიშნავთ, რომ ევფემიზმების გამოყენება ამ შემთხვევაში დაკავშირებული უნდა იყოს მომავალი დედის ე. წ. ავი თვალის, ბოროტი ძალისაგან დასაცავად:

ა) ორსულობა: ***თავის ყველაზე დიდ/საპატიო მოვალეობას ასრულებს; მუცლით ახალ სიცოცხლეს ატარებს; ბავშვი ჰყავს მუცელში; ფეხმძიმედაა _ In the family way; A bun in the owen; Expecting; With child; Prego.***

ბ) ***axal სიცოცხლეს ბადებს; axal სიცოცხლეს შობს _ Giving birth; Delivering the birth; Had a baby.***

გ) ***მძიმე ორსულობა; ორსულობის შეწყვეტა; ნაყოფის მოკვლა _ To dye the child; Difficult pregnancy; Miscarriage; Lost the baby.***

დ) დაორსულებასთან დაკავშირებული პრობლემები, უშვილობა: ***არ ჰყვება (ნაყოფი); ბერწი; უნაყოფო*** (პირველი ორი ერთეული გამოიყენება მხოლოდ ქალების მიმართ, ხოლო უნაყოფო ორივე სქესის წარმომადგენლის მიმართ) _ ***Problems in getting pregnant; Infertility*** (როგორც მამაკაცის, ისე ქალის მიმართ)***, Shooting blanks*** (მამაკაცის მიმართ).

VII. თანამედროვე გაგებით, რასა, ეთნიკურობა, სქესი, სექსუალობა, კულტურული სხვაობანი და ა. შ. დელიკატურ და საფრთხილო საკითხებად ითვლება, რომელთა შესახებ საუბარი განსაკუთრებულ კორექტულობას (პოლიტკორექტულობას) მოითხოვს [Linguistic... 2011:4]. მათ გვერდით უნდა დავასახელოთ ისეთი დაავადებები, რომელთა შესახებ საზოგადოებაში ხმამაღლა ლაპარაკი არაკორექტულად ითვლება და საკითხის დელიკატურობის გამო თავს არიდებენ დაავადებების პირდაპირ დასახელებას, რათა მოერიდოს დაავადებული ადამიანის შეურაცხყოფას. ეს, ძირითადად, ეხება მენტალურ დაავადებებს. შესაძლებელია, რომ ეს ქართული და ანგლოამერიკული კულტურის ერთ-ერთ საერთო მახასიათებლადაც მივიჩნიოთ.

ა) ფსიქიკური/ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად გამოიყენება შემდეგი ევფემისტური გამოთქმები:

გონებრივი პრობლემები აქვს; მთლად კარგად ვერ არის; ავი თვალი აქვს ნაკრავი; შეშინებულია; ***Go nuts; Mentally disturbed; Mentally unstable; With mental problems; Lost his marbels; A screw is loose.***

ბ) ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად გამოიყენება შემდეგი ევფემისტური გამოთქმები:

ემოციურად მდგრადია; ემოციურად არასტაბილურია; ვერ აკონტროლებს საკუთარ საქციელს; ადვილად კარგავს კონტროლს, ფეთქებადი . ***Go nuts; Out of sorts; Emotional; Rollercoaster.***

ამავე ჯგუფში გავაერთიანებთ ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც ასახავს ადამიანების ემოციურ გამოფიტვას, დეპრესიას:

გაშტერებულივითაა; შემოლაწუნება უნდა; თითქოს უჟმური ჰყავს შემძვრალი (არაფორმალური). ***Feel blue; Down in the dumps; In a slump; being in a bad place.***

გ) ბოლო ჯგუფად კი გვსურს გამოვყოთ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ასახავს ადამიანის ემოციურ სიჯანსაღეს, ენერგიულობას:

ცეცხლივითაა; ორი კაცის ჯანი აქვს; რკინის ფსიქიკა აქვს; ახალი სუნთქვის გახსნა. ***A new lease of life; A shot in the arm; Reacharge your batteries; Vim and vigor; Fresh and dasy.***

ჩვენ შევეცადეთ, შეგვესწავლა ქართულ და ინგლისურ ენებში დაცული ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ადამიანის ფიზიკურ და მენტალურ მდგომარეობას ასახავს. ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის გამომსახველ ფრაზეოლოგიზმებში გამოიყოფა ერთი ჯგუფი ერთეულებისა, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აქვთ შეძენილი ფრაზეოლოგიზმის უმთავრესი მარკერი _ სიმყარე, დაუშლელობა,

ისინი კონტექსტის მიხედვით იცვლიან თავის მნიშვნელობას. ამ მხრივ ამჯერად ჩვენს თვალთახედვაშია მოქცეული ორიოდე შესიტყვება:

ფერი დაკარგა _ Color draining: გადმოსცემს არასახარბიელო ფიზიკურ მდგომარეობას, ავადმყოფობას.

ფერმკრთალია _ Pale: შეიცავს მინიშნებას ვიზუალურ მხარეზე.

წონა დაკარგა _Wasting away: ავადმყოფობა.

წონაში დაიკლო _ Loosing weight ფიზიკური მდგომარეობა.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ქართული ომონიმები: ***გონება დაკარგა*** (პირდაპირი მნიშვნელობით); ***გონება დაკარგა _*** განსჯის უნარი დაუქვეითდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქმე გვაქვს რადიკალურად განსხვავებულ კულტურებთან, შეინიშნება აშკარა მსგავსება ადამიანის ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის გადმომცემი ფრაზეოლოგიური ერთეულების თვალსაზრისით. ვინაიდან კულტურულ-ენობრივი ტრანსფერი ინგლისურ-ქართულის შემთხვევაში ნაკლებად მოსალოდნელია, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არსებობს უნივერსალური ადამიანური ფასეულობები და ღირებულებები, რომლებსაც ყველა კერძო კულტურა თავისი პრიზმიდან აღწერს და ხშირ შემთხვევაში თანხვდება სრულიად დაშორებულ და განსხვავებულ კულტურებში არსებულს.

ლიტერატურა:

1. Вавилова Л.Н. К вопросу об эвфемизации современной русской речи: [ინტერნეტრესურსი] http://www.ksu.ru/fil/kn7/index.php?sod=11L.- 2011
2. Cowie A. P. Theory, Analysis, and Applications; Oxford Studies in Lexicology. Oxford: Clarendon Press.- 1998

Linguistic politics and language usage in the debate on political correctness 2011 [ინტერნეტრესურსი] **http://www.grin.com/e-book/94699/linguistic-politics-and-language-usage-in-the-debate-on-political-correctness.- 2011**

თამარ ნაჭყებია

მულტფილმის თარგმნის თავისებურებები („მადაგასკარის“ ქართული თარგმანის მაგალითზე)

აუდიო-ვიზუალური თარგმანის მთავარ სახეობებს დუბლირება და სუბტიტრები წარმოადგენს. თითოეული მათგანი სხვადასხვა დონეზე „ერევა" საწყის ტექსტში. მაგალითად, დუბლირება არის მეთოდი, რომელიც საკმაოდ უცვლის სახეს წყაროტექსტს და მიმღები პუბლიკისათვის ნაცნობად აქცევს მას ე.წ. „მოშინაურების" („domestication") გზით. ეს არის მეთოდი, რომლის დროსაც "უცხოური დიალოგის მორგება ხდება მსახიობის პირსა და მოძრაობაზე და მაყურებელს უჩნდება გრძნობა, რომ მსახიობი მიმღებ ენაზე ლაპარაკობს". "the foreign dialogue is adjusted to the mouth and movements of the actor in the film and its aim is seen as making the audience feel as if they were listening to actors actually speaking the target language". [Dries, J.1995:9]

სუბტიტრი სინქრონიზებულ თარგმანს გვთავაზობს ტექსტის სახით, რომელიც, ძირითადად, ეკრანის ქვემოთ არის მოთავსებული და ნაკლებად ცვლის საწყის ტექსტს. მაყურებელი მას აღიქვამს, როგორც „უცხო ტექსტს".

ცნობილია, რომ ბავშვები გახმოვანებულ მულტფილმს ანიჭებენ უპირატესობას. ალბათ იმიტომ, რომ მულტფილმის ყურება მათთვის გართობის ერთ-ერთი სახეობაა და არ სურთ (ან არ ძალუძთ) სუბტიტრების კითხვაზე ძალისხმევის დახარჯვა. ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც ფილმებს, ჩვეულებრივ, სუბტიტრებით აჩვენებენ, მაგალითად: შვედეთი, ისლანდია და საბერძნეთი, მულტფილმების თარგმნისას გახმოვანებას მიმართავენ. რაც შეეხება საქართველოს, უბრალო დაკვირვებითაც კი ცხადია, რომ მულტფილმების თარგმნისას აქ გახმოვანებას ანიჭებენ უპირატესობას. მიუხედავად იმისა, რომ ფილმები სუბტიტრებით გადის ტელევიზიით, მულტფილმები მხოლოდ გახმოვანებული სახით გვხვდება სატელევიზიო ეკრანზეც და კინო-თეატრებშიც.

„მადაგასკარის" ქართულად გახმოვანებული ვერსია ჩვენს თვალსაწიერში აღმოჩნდა თავისი საინტერესო გმირების გამო. გარდა ამისა, ეს მულტფილმი საქართველოში ცნობილი კომედიური ჟანრის მსახიობების მიერ არის გახმოვანებული. მათი ხმა მიმღები აუდიტორიისათვის ნაცნობია. ეს მომენტი კიდევ უფრო აძლიერებს „მოშინაურების" ეფექტს და გვევლინება შესანიშნავ საშუალებად პერსონაჟთა სახის შესაქმნელად. მულტფილმის თარგმანში გამოყენებულ მეთოდებსა და ხერხებს ნიუმარკი შემდეგნაირად განასხვავებს, „მთარგმნელობითი მეთოდი მთელ ტექსტს მოიცავს, მაშინ როცა მთარგმნელობითი ხერხი წინადადებისა და უფრო მცირე ენობრივი ერთეულების ანალიზს გულისხმობს" [Newmark,1988:81]. თარგმანის მეთოდების ნიუმარკისეული კლასიფიკაციის მიხედვით, მულტფილმ "მადაგასკარის" თარგმნისას ადაპტაციის მეთოდი გამოიყენება. იგი თარგმანის ყველაზე თავისუფალ სახეობას წარმოადგენს: სიუჟეტის ხაზი, თემა და პერსონაჟები შენარჩუნებულია, მაგრამ თარგმნისას საწყისი კულტურისათვის დამახასიათებელი კონკრეტული ნიშნები (მაგალითად, გეოგრაფიული სახელები) იცვლება მიმღები საზოგადოებისათვის ნაცნობი რეალიებით.

იმისათვის, რომ დაგვედგინა, თუ რა ხერხებს მიმართავს მთარგმნელი, როგორ იქმნება პერსონაჟთა სახეები, რა განაპირობებს მის არჩევანს და ამ დროს რამდენად არის მიღწეული კომუნიკაციური ეფექტი, ერთმანეთს შევადარეთ მულტფილმის ინგლისური სცენარი და ქართულად დუბლირებული ფილმი.

ზებრას როლის შესაქმნელად ქართულ თარგმანში მნიშვნელოვან როლს კილო-კავის (ქართლური კილოს) გამოყენება ასრულებს. ქართული კილოები მსგავსი მახასიათებლების მიხედვით აღმოსავლურ და დასავლურ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს; სულ 17 კილო-კავი გამოიყოფა. ისინი ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდებიან ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის დონეზე, თუმცა, საერთო თვისებებითაც ხასიათდებიან. ქართული კილო-კავებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

- მოკლე და გრძელ ხმოვნებს შორის განსხვავება;

- დამატებითი ხმოვნები, რომლებიც სტანდარტული ქართულ ენაში არ გვხვდება;
- ორივე ჴ და ყ თანხმოვნების არსებობა;
- ნარიანი მრავლობითი რიცხვის ფორმები;
- ზედსართავი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმები;
- ზმნის არასტანდარტული ფორმები;
- სიტყვები, რომლებიც სტანდარტული ქართულ ენაში არ გვხვდება.

ძირითადად უფრო კონსერვატულია მთის კილოები და დიდხანს ინახავს არქაულ ფორმებს, რომლებიც სხვა კილოებიდან უკვე გამქრალა. თუმცა, სტანდარტული ქართული ენის სხვადასხვა სირთულე სხვადასხვა კილო-კავებში გამარტივებული ფორმით აისახება. სტანდარტული სალიტერატურო ქართული ქართლურ კილოს ეფუძნება [http://www.nationmaster.com/encyclopedia/Georgian-dialects].

ამ მულტფილმში „არცთუ ისე ველური" ცხოველების ჯგუფი (ზებრა მარტი, ლომი ალექსი, ბეჰემოთი გლორია და ჟირაფი მელმენი), კულტურულ შოკს განიცდის, როდესაც მოულოდნელად ნიუ-იორკიდან ველურ ჯუნგლებში აღმოჩნდება. ლომი ალექსი ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში ზოოპარკის მთავარი ღირსშესანიშნაობის როლით ფრიად კმაყოფილია. მისი მეგობრები: ზებრა, ბეჰემოთი და ჟირაფი, მართალია, ბედს არ უჩივიან, მაგრამ ზოოპარკის გარეთ არსებული ცხოვრებაც აინტერესებთ და როდესაც ზოოპარკიდან პინგვინები გაიპარებიან, მარტი მათ გაჰყვება. ალექსი, გლორია და მელმენი მის საძებრად და გადასარჩენად გაემართებიან, მაგრამ ამ დროს ზოოპარკის ადმინისტრაცია გადაწყვეტს, რომ ცხოველები ველურ ბუნებაში დააბრუნოს. ასე აღმოჩნდებიან მეგობრები მადაგასკარის ნაპირებთან, სადაც მალევე დარწმუნდებიან, რომ ველურ გარემოში ცხოვრება მათთვის არც ისე შესაფერისი ყოფილა [http://www.starpulse.com/Movies/Madagascar/Summary/].

როგორც კვლევამ გვიჩვენა, მულტფილმის თარგმნის დროს მთარგმნელები იყენებენ კონკრეტული ქართლული კილო-კავის პარალინგვისტურ არსენალს, ჟარგონულ-სლენგურ ლექსიკას. ზებრა მარტი-დელ-პიეროს მეტყველების თარგმნის დროს

აქტიურად გამოიყენება ქართლური კილო-კავის ენობრივი და პარალინგვისტური მახასიათებლები:

„Alex! Do not interrupt me when I'm daydreaming!"[1] [http://www.script-o-rama.com/movie_scripts/m/madagascar-script-transcript.html].

„ალიკა! რამდეჯერ უნდა გითხრა, როცა ვოცნებობ მეთქი მაგ დროსა ხელი არ შემიშალო, გაიგე?"[2] [http://www.myvideo.ge/?video_id=743298].

როგორც ვხედავთ, ქართულ თარგმანში, როგორც ეს ქართლის კუთხური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი, მიცემით ბრუნვას ემფატიკური „ა" დაერთვის. ზებრას პერსონაჟი აქ კუთხური კილო-კავით მეტყველებს, რასაც ორიგინალში, ცხადია, არ ვხვდებით. გარდა ამისა, ლომის სახელის ინგლისური ფორმა „ალექს" ქართულ თარგმანში ამ კილო-კავისთვის დამახასიათებელ ფორმას „ალიკა" იღებს.

„Okay, just don't talk with your mouth full".

„პირი არ დახურო, თორე დაგკლამ იცოდე"

ქართულ თარგმანში წარმოდგენილია ზმნის დიალექტური ფორმა "დაგკლამ" და ზოგადი რეგისტრიც უხეშია, ვინაიდან კლავენ საქონელს და არა - ადამიანს. პერსონაჟები ცხოველები არიან, მაგრამ მულტფილმში ადამიანებივით საუბრობენ და მოქმედებენ. ამიტომ ამ ზმნის გამოყენება მოცემულ კონტექსტში უხეშ ფორმად აღიქმება და თან იუმორისტულ ეფექტს ქმნის.

„Awww.. Hey.. Thanks man. It was behind the tooth! You're all right".

„ვააჰ, რა ჯიგარი ხარ, თანა ვითომა გაგეჩხირა, როგორ მოიფიქრე?"

„Man" ამერიკულ სასაუბრო ინგლისურში მამაკაცისადმი მიმართვის გავრცელებული ფორმაა. ქართულ თარგმანში გადმოტანილია მისი ჟარგონული ფორმა „ჯიგარო" და ქართლური კილო-კავისათვის დამახასიათებელი ფორმები *ვითომა, თანა.*

მთარგმნელები წარმატებით მიმართავენ ჟარგონიზმებს:

„Oh no! I'm not listening".

„კაი ბიჭო! არ მესმის, ვაფშე, არაფერი!"

ამ შემთხვევაში გამოყენებულია მიმართვის ფამილიარული ფორმა „ბიჭო" და ჟარგონული ერთეული „ვაფშე", რომელიც რუსული ენიდან შემოსული სიტყვაა და ნიშნავს „საერთოდ".

„Hey! Don't be calling me cuckoo in the head!"

„იტყუება! ზებრა ვარ, ფუფლო არა ვარ!"

„Cuckoo in the head!" პირდაპირი მნიშვნელობით „გიჟს", „არანორმალურს" ნიშნავს. ქართულ თარგმანში მის ეკვივალენტად ვხვდებით ჟარგონულ „ფუფლოს"- ადამიანს, რომელსაც აზარტულ თამაშებში წაგებული თანხის გადახდა არ შეუძლია ან არ იხდის". ეს ცვლილება, თუმცა, უჩვეულოდ ჟღერს ბავშვისათვის განკუთვნილ კონტექსტში, მაინც მიმღებ აუდიტორიაზეა გათვლილი, რადგან ქართულ რეალობაში გავრცელებულ ფაქტს ესმევა ხაზი.

„Come on, Alex. Do you honestly think I intended all of this to happen?

You want me to say that I'm sorry?"

„კაი, რა გააწუხე გული. შენ თვითონ არ ამეკიდე?

რა გინდა, ბოდიში მოგიხადო?"

ფორმა „კაი" სასაუბრო ენაში იგივეა, რაც „კარგი". ზმნის „შეაწუხე" დამახინჯებული ფორმა (გააწუხე) და უხეში ზმნის ფორმა „ამეკიდე" ერთად ქმნიან ორიგინალის ეკვივალენტურ საკომუნიკაციო ეფექტს, თუმცა, მთლიანობაში ორიგინალის თავისუფალ ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

„He's got style!"

„რა მაგარი როჟაა!"

ორიგინალური ტექსტის ნეიტრალური გამონათქვამი თარგმანში ჟარგონით „როჟაა" (ტიპია, ადამიანია) არის გადმოსული.

თარგმანში საინტერესოდ არის გამოხატული ენის სიტუაციური ვარიანტულობა. როგორც ცნობილია, ენას შეუძლია გამოხატოს მოლაპარაკისა და ადრესატის სოციალურ-ლინგვისტური მახასიათებლები: ასაკი, სტატუსი, განათლება, რეგიონალური წარმომავლობა, რასა, რელიგია და ა.შ. ის, ასევე, გამოხატავს სიტუაციურ ასპექტსაც, ემოციურობას, საუბარში მონაწილეთა რაოდენობას და სიტუაციის ბუნებას ან მიზანს. ენა ადამიანებს შორის სოციალური ურთიერთობების ცენტრალური ინდიკატორია, მისი საშუალებით ხდება ასევე, ძალაუფლებისა და სოლიდარობის დემონსტრირება. ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სხვადასხვა ფაქტორის გაშუქებისა არის იმის ანალიზი, თუ როგორ მიმართავენ ადამიანები ერთმანეთს.

თარგმანის პრაგმატულ-კომუნიკაციური ეკვივალენტურობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია თარგმანშიც აისახოს ის სამეტყველო რეფლექსიები, რომლებშიც ადამიანთა პირადი ურთიერთობის ხასიათი ჩანს. განსაკუთრებით „რთულია ფამილიარულ-მოფერებითი ან უხეში ფორმებისათვის ანალოგების შერჩევა და ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი,ა არ გაუფასურდეს ის ობერტონი, რომელიც მათ ორიგინალში ახასიათებთ" [საყვარელიძე, 2001:210].

„მადაგასკარის" თარგმანი საინტერესო მასალას იძლევა მიმართვის ფორმების გადმოტანისა და ორიგინალისთვის დამახასიათებელი ობერტონების შენარჩუნების თვალსაზრისით.

„Thanks a lot, officer".

„გავეგე. მადლობა, ჯიგარო".

საწყის ტექსტში არსებული მიმართვა „officer" თარგმანში ჩანაცვლებულია ჟარგონული „ჯიგაროთი", რაც ორიგინალისაგან სრულიად განსხვავებულ სამეტყველო სიტუაციას ქმნის.

„Yeah! Talk to me, buddy!"

"მე ვარ, ბიჭო!"

„Buddy" ამერიკულ სასაუბრო ენაში „მეგობარს" ნიშნავს. თარგმანში კი გვაქვს „ბიჭო", რომელიც ასევე ფამილიარული მიმართვის ფორმაა.

„Beg your pardon?"

„თორე რა?"

ორიგინალის ტექსტის მაღალფარდოვანი გამონათქვამის ნაცვლად, მიმღებ ენაში სალაპარაკო გამოთქმას "თორე რა" და კილო-კავის გამოყენებას ვხვდებით.

„Excuse me! You're biting my butt!"

„უკაცრავად! თქვენი კბილები ხომ არ ჩამერჭო?"

„Butt" ამერიკული სლენგია და ქართულად „უკანალს" ნიშნავს. ქართულ თარგმანში კი ამის საპირისპიროდ, ოფიციალურ-ზრდილობიან მიმართვას ვხვდებით. ეფექტს აძლიერებს სიტყვის „თქვენი" გამოყენებაც, რაც, ჩვეულებრივ, ქართლურ კილოსა და

სასაუბრო რეგისტრზე მოლაპარაკე ზებრისგან სრულიად მოულოდნელია და მის შიშსა და დაბნეულობას უსვამს ხაზს, რითაც კომიკურ ეფექტს ქმნის. ამ შემთხვევაში რეგისტრის ცვლილება საწყისი ტექსტის კომუნიკაციური ეფექტის შენარჩუნებას ემსახურება.

როგორც განხილული მასალა გვიჩვენებს, ზებრის სახის შესაქმნელად თარგმანში უხვად გამოიყენება სლენგურ-ჟარგონული, ქართლური კილოკავური ფორმები. ვხვდებით თავისუფალი ინტერპტრეტაციის მაგალითებსაც, რაც თარგმანისათვის შერჩეული ადაპტაციის მეთოდის გამოყენებისას სრულიად ბუნებრივად აღიქმება. ქართლური კილო-კავის გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზებრის გმირის შესაქმნელად. ბუნებრივია, ეს მომენტი საწყის ტექსტში არ დასტურდება და ყველა ზემოხსენებული ცვლილება თარგმანში დედნისათვის დამახასიათებელი იუმორისტული ეფექტის შექმნას ემსახურება. ლინგვისტური საშუალებების გარდა, ამ პერსონაჟის სრულყოფისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს აუდიო-ეფექტებიც.

ლომის მეტყველებაში კუთხური კილო არ გამოიყენება და ასევე იშვიათად გვხვდება სლენგი, რაც მის მეტყველებას დახვეწილობის ელფერს ანიჭებს მულტფილმის სხვა გმირების მეტყველებისაგან განსხვავებით.

„What is it, Melman?"

„რა გინდა, კაცო?"

თარგმანში საკუთარ სახელს სასაუბრო მიმართვის ფორმა „კაცო" ანაცვლებს, რაც გმირების ურთიერთობის ფამილიარულ ხასიათს გამოკვეთს და თან ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლომის გაღიზიანებასაც გამოხატავს. ამ ვარაუდს ამძაფრებს კონტექსტში გამოყენებული პარალინგვისტური ნიშნები (ხმის ტონი, ინტონაცია). საანალიზოდ სწორედ ასეთი მაგალითები შევარჩიეთ.

„You got a ah.. you got a little smutz. right there on yer..."

„დინგი მოიწმინდე და მერე იბლატავე."

ამ კონტექსტში ალექსი-ალიკა უხვევს მისთვის დამახასიათებელი მეტყველების სტილისაგან და ჟარგონზე მეტყველებს. თარგმანში ვხვდებით ზმნას „ბლატაობა," რაც „ამპარტავნულად, ძველ-ბიჭურად ლაპარაკს" ნიშნავს.

„Lady, what is wrong with you?"

„რა მოგივიდა, ბებო?"

თარგმანში „Lady" „ბებოთია" შეცვლილი, რაც კონტექსტს უფრო მეტად უხდება თავისი ფამილიარული ელფერით.

„Don't you ever do this again. Do you hear me?"

„არაფერიც არ იცი, ვირიშვილო შენა!"

ბრაზი, რომელიც საწყის ენაში მტკიცებით წინადადებაზე დართული კითხვით გამოიხატება, თარგმანში უხეში მიმართვით არის გადმოცემული.

„Oh no! No no! Not the box!"

„არა,არა! ოღონდ ეს არა. ჩემი აქ ჩასმა არ შეიძლება! რა პონტია!"

როდესაც ლომსა და სხვა ცხოველებს დაიჭერენ, ცხოველთა დამცველი ორგანიზაცია მოითხოვს, რომ ისინი ბუნებრივ გარემოს დაუბრუნონ. ამიტომ მათ ყუთებში ჩასვამენ და გემით გაამგზავრებენ. ლომი გამოიღვიძებს და პანიკაშია. სწორედ ამ ემოციურობის გადმოსაცემად ქართულ თარგმანში, დედნისაგან განსხვავებით, სლენგისათვის მიუმართავთ.

„Alex hungry. Alex eat".

„ალიკას შია. ალიკას ფია უნდა."

დამშეული ცხოველთა მეფის ემოციების გადმოსაცემად, რომელიც თავს ვეღარ აკონტროლებს, წყაროენაში გვხვდება ბავშვის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ქვემდებარისა და შემასმენლის შეუთანხმებლობა პირსა და რიცხვში. თარგმანში „ჭამა" ზმნის კნინობითი არსებითი სახელი „ფია" არის გამოყენებული, რაც, ასევე, პატარების მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. საბოლოოდ, აქაც ნარჩუნდება დედნის რეგისტრი და კომუნიკაციური ეფექტი: ორივე შემთხვევაში ალექსი-ალიკა თავს მესამე პირით მოიხსენიებს და ბავშვის მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმებს იყენებს.

როგორც მასალამ გვიჩვენა, ლომის მეტყველებაში ენის სტანდარტული ნორმებიდან გადახრას, ძირითადად, ემოციური ფონი განაპირობებს. სხვა შემთხვევაში ლომის სახის შესაქმნელად თარგმანში არ ვხვდებით სლენგისა და კილო-კავის გამოყენებას. სლენგს მთარგმნელი მიმართავს მხოლოდ ამ გმირის ძლიერი აღელვების დროს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მულტფილმი საქართველოში ცნობილი კომედიური მსახიობების მიერ არის გახმოვანებული. გლორიას ახმოვანებს მამაკაცი, რომელიც სხვადასხვა იუმორისტულ სკეტჩში ქალის როლს ასრულებს ხოლმე და უნიკალური, პუბლიკისათვის კარგად ნაცნობი ხმითა და ლექსიკით ხასიათდება. ყოველივე ეს გლორიას გახმოვანებისასაც იჩენს თავს. ამასთან ერთად, ის, რომ გლორიას მამაკაცი ახმოვანებს ქალის ხმასთან მიახლოვებული ხმით, უკვე გარკვეულ იუმორისტულ განწყობას ქმნის.

„What did Marty say to you? I asked you to talk to him!"

„სერიოზულად რო დალაპარაკებოდი, ხო აღარ გაიპარებოდა, ბენტერა შენა!"

თარგმანში ვხვდებით სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელ ბოლოკიდურა ბგერების ჩამოშორებას კავშირ **რომ**-ისა და ნაწილაკ **ხომ**-ისთვის და ასევე - მიმართვის ფორმას „ბენტერა." ეს უკანასკნელი სასაუბრო მეტყველებაში „ჩერჩეტს", „შტერს" ნიშნავს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ლომმა დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა.

„Is that Melman? Are you okay?"

„როგორა ხარ, შე საწყალო შენა?"

საწყალი არის ის, ვინც შებრალების ღირსია. მისი მიმართვის ფორმად გამოყენება დამახასიათებელია მსახიობისათვის, რომელიც მას ახმოვანებს და ახალი პერსონაჟის პორტრეტის შესაქმნელად ეფექტურად იყენებს. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე შემდეგ მაგალითშიც.

„Oh, you poor little baby, did that big mean lion scare you?"

„გამოეთრიე აქეთ.უი, როგორ შეგაშინა ამ თავგასიებულმა, შვილო!"

„თავგასიებული" ერთგვარად შეურაცხმყოფელი ეპითეტია. თარგმანში დასახელებული ერთეული ლომის მიმართ გამოიყენება, რომელმაც ბავშვი შეაშინა და კარგად ესადაგება კონტექსტს, თუმცა, არ ემთხვევა საწყის ტექსტს.

„Melman!There are prescriptions,that have to be filled".

„ჟორა, დაწყნარდი, ნუ პანიკობ. ამხელა საქონელი მართლა."

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თავისუფალ თარგმანთან და აქტუალიზდება მიმართვის ფორმა „საქონელი", რომელიც, ბუნებრივია, ამ კონტექსტში შეურაცხმყოფელია და ორიგინალში არ არის გამოყენებული. საწყის ტექსტში საუბარია რეცეპტზე, რომელიც უნდა შეივსოს.

„Don't make me come up there, I'd get to woopin'on both of you all!"

„ეხლა დაწყნარდით, თორე რაღაცას ჩაგათხლიშავთ ორივეს."

ქართულ თარგმანში გამოყენებული ზმნა „ჩაგათხლიშო" „ჩარტყმის" უხეში ფორმაა.

უნდა აღინიშნოს, რომ გლორიას პორტრეტი საწყის ტექსტსა და თარგმანში ძლიერ განსხვავებულია. ორიგინალში გლორია არასდროს იყენებს სლენგსა და უხეშ ლექსიკას, მისი ქართველი ორეულის მეტყველებაში კი ხშირად ვხვდებით სლენგს, უხეშ

ლექსიკურ ერთეულებს, ბოლოკიდური თანხმოვნების რედუცირებას რაც, როგორც ცნობილია, სასაუბრო მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. ორიგინალის ნაზი და ქალური გლორიასაგან განსხვავებით, „ქართველი გლორია" უხეში და სასაცილოა. ამ ეფექტს აძლიერებს აუდიო ეფექტების გამოყენებაც.

მულტფილმის ერთ-ერთი პერსონაჟია პედანტი ჟირაფი, მელმენი-ჟორა, რომლის მეტყველებაც დინჯი და ერთფეროვანია. მისი სახის შექმნისას დიდი მნიშვნელობა აქვს აკუსტიკურ ეფექტს.

„Not for me. I'm callin' in sick.What?"

„ეგ მე არ მეხება. ბიულეტინზე ვარ."

„Zoo transfer! Oh, no. I can't be transferred, I have an

appointment with doctor Goldberg at 5."

„სხვა ზოოპარკში! არა!

ეგ როგორ შეიძლება! მე მკურნალობის კურსი მაქვს დანიშნული."

ესეც თავისუფალი თარგმანია, რაც ალბათ კვლავ მიმღები კულტურის ფაქტორით არის გამოწვეული. ვინაიდან „ექიმი გოლდბერგი" ქართველი მაყურებლისათვის არაფრისმთქმელი იქნებოდა, ის უფრო ზოგადი „მკურნალობის კურსით" არის ჩანაცვლებული.

ჟირაფი არის პერსონაჟი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს თავის ჯანმრთელობას. ორიგინალში ის გამართული ინგლისურით მეტყველებს, თარგმანში კი, თუმცა სხვა პერსონაჟებზე ნაკლებად, მაგრამ მაინც იყენებს სლენგსა და სასაუბრო გამონათქვამებს.

„Where exactly is here?"

„რო ვიცოდეთ, დაგლიჯავს."

ქართულ თარგმანში გვაქვს „დაგლიჯავს", ორიგინალში კი სლეგნის გამოყენება არ დასტურდება.

„Can we go to the fun side now?"

„დელ-პიეროს თავისუფლების იდეას ხო არ მივაწვეთ?"

როდესაც თავისუფლების ქანდაკება დაიწვა, რომელსაც ლომი აშენებდა და შინ დაბრუნების იმედი გადაეწურათ, ამოსავალ ტექსტში ჟირაფი ზებრას მხარეზე გადასვლას სთავაზობს ლომს, მიმღებ ენაში კი მთარგმნელი თავისუფალ თარგმანს ანიჭებს უპირატესობას და გვთავაზობს ჟარგონულ ფრაზას - „იდეას მივაწვეთ", რაც „ბოლომდე გაყოლას" ნიშნავს.

„მადაგასკარის" ქართული თარგმანი საინტერესოა ალუზიების გადმოტანის თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, ალუზია ხერხია, რომელიც ორი ტექსტის ერთდროულ გააქტიურებას იწვევს. ალუზია ასევე გულისხმობს „წინასწარ მომზადებული ლინგვისტური ტექსტის სხვადასხვანაირ გამოყენებას მისი საწყისი ან მოდიფიცირებული ფორმით და ასევე, საკუთარი სახელების გამოყენებას, იმპლიციტური ინფორმაციის გადმოსაცემად". [Leppihalme,1997:3].

ალუზია ხშირად გამოიყენება, აგრეთვე, იუმორისტულ ტექსტებში. „მისი საშუალებით მკითხველს ან მაყურებელს ახსენდება ხალხი ან მოვლენები სხვა ტექსტიდან და ახალ ინფორმაციას ამ თვალსაზრისით აღიქვამს" [Berger, 1997:7]. ალუზიების საშუალებით მწერალი ახერხებს, რომ მკითხველმა სხვადასხვა ინფორმაცია სათანადოდ დააკავშიროს ერთმანეთთან.

თარგმანის ინტერესებიდან გამომდინარე, ლეპიჰალმი და ჰელგრინი ალუზიებს ყოფენ საკუთარი სახელისა და მთავარი ფრაზის ალუზიებად [Hellgren, 2007:12]. პირველ შემთხვევაში მთავარ შინაარსს საკუთარი სახელი გამოხატავს. ამ ჯგუფის ალუზიებში შედის: ადამიანთა სახელები, მხატვრული ნაწარმოებების დასახელება და ორგანიზაციების სახელწოდებები. მეორე ტიპის ალუზია კი, რომელიც ეყრდნობა

ძირითადი ფრაზის ალუზიურ გამოყენებას, აერთიანებს ალუზიის ყველა სხვა შემთხვევას. მათი რიცხვი, რა თქმა უნდა, უფრო მეტია, ვიდრე პირველი ჯგუფისა. „მადაგასკარში" ორივე ტიპის ალუზია გვხვდება.

თარგმანში შეცვლილია პერსონაჟების სახელები. მაგალითად: ლომს ალექსის ნაცვლად ალიკას ეძახიან, რაც ამ სახელის გაქართულებულ ვარიანტს წარმოადგენს და თან ფამილიარული მიმართვის ფორმაცაა. ზებრა, რომელსაც ორიგინალში მარტი ჰქვია, დელ-პიეროდ ქცეულა და თან იუვენტუსის ფანია. ცხადია, მარტი ქართული რეალობისათვის უცხო და არაფრისმთქმელი სახელია. ფეხბურთში მცირედ გაცნობიერებული მაყურებლისათვის კი დელ-პიერო უკვე მისაღები და ნაცნობი ხდება. ჟირაფი მელმენი ქართულ ჟორად ქცეულა. ქართულ თარგმანში მხოლოდ ბეჰემოთი გლორიას სახელი არ არის შეცვლილი.

ამ მულტფილმის ქართულ თარგმანში საკუთარი სახელები გაქართულებულია. ისინი ალუზიური ელემენტების იდენტიფიკაციას უწყობს ხელს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მიმღებ ტექსტში ვხვდებით ალუზიებს, რომლებიც ამოსავალ ტექსტში არ გამოიყენებოდა.

„Make it up as you go along! Ad lib,improvise, on the fire! Boom,boom,boom."

„წარმოიდგინე, რომ ემინემი ხარ."

ეს პასაჟი თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს, რომელშიც ჩართულია ცნობილი მომღერლის, ემინემის, სახელი. ეს უკანასკნელი ორიგინალში ნახსენებიც არ არის, მაგრამ თვითონ გმირსა და მის ხასიათს ეს ალუზია უფრო გასაგებსა და დასამახსოვრებელს ხდის. იგივე ეფექტი აქვს ალუზიას სნუპის და ჯენიფერ ლოპესის შესახებ.

„I could do fresh.Works for me".

„მე სნუპი ვიქნები".

„Let's go Gloria!Up and at 'em!Were open!"

„ფაქტიურად, შენ იქნები ჯენიფერ ლოპესი. ადექი!"

გადმოქართულების ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებს ის ალუზიები, რომლებშიც უცხო ქვეყნის ადგილები და კულტურული რეალიები ქართულით არის ჩანაცვლებული.

ასეთი შემთხვევები მულტფილმში ძალიან ბევრია.

„Gloria: Well I hear they have wide open spaces in Connecticut".

„ისე, როგორც ვიცი, ვაკის პარკშიც ყოფილა, თურმე, ველური ბუნება."

დედნის ტოპონიმი „კონეკტიკუტი" შეცვლილია ქართველისათვის კარგად ნაცნობი „ვაკის პარკით".

იგივე ეფექტი ხორციელდება შემდეგ შემთხვევებშიც:

„Melman: Connecticut?Yeah, what you got to do

is you gotta go over Grand Central".

„ჟორა: ხოო, ზოოპარკიდან რო გახვალ, 214 მარშუტკაზე დაჯდები და 20 წუთში იქა ხარ".

„Melman: Oh no! What are we gonna do?We gotta, we gotta call somebody!"

„რა უნდა ვქნათ? რა უნდა ვქნათ? რა ვქნათ, რა ვქნათ და პატრულს გამოვუძახოთ."

„Monkey: I heard Tom Wolfe is speaking at Lincoln Center".

„მაიმუნი: მე მგონი პარლამენტის წინ საქართველოს მიტინგი იწყება."

„Alex: A King! Loved by my people!Let's just be simple! And you ruined everything!"

„მე ვიყავი ბავშვების საყვარელი გმირი. რა რეიტინგი მქონდა?

მემარჯვენეებს 2% -ით ვუსწრებდი. შენ კი რა გამიკეთე, შე დამპალო შენა?"

„Gloria: Stop it! Look, We're just gonna find the people get checked in and have this mess straightened out!"

„სულ ტყუილად ნერვიულობთ. ჯერ უნდა ვიპოვოთ გამგეობა და დავფიქსირდეთ და დეპორტაციას გაგვიკეთებენ ჩვენს ზოოპარკში."

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ამ მულტფილმის თარგმნისას ადაპტაციის მეთოდი გამოიყენება და ამიტომაც, ქართულ თარგმანში ხშირად ვხვდებით ტექსტის თავისუფალ ინტერპრეტაციას. მთარგმნელები პერსონაჟთა სახის შესაქმნელად ხშირად იყენებენ სლენგს. ამ უკანასკნელს ისინი მაშინაც კი მიმართავენ, როდესაც მათი გამოყენება წყაროტექსტში არ დასტურდება. საინტერესოა, რომ ლომის პერსონაჟი მხოლოდ ძლიერი აღელვების დროს იყენებს სლენგსა და უხეში მიმართვის ფორმებს. ზებრის მეტყველებაში ვხვდებით ქართლური კილოს ნიმუშებს, რაც ზებრას სახის შექმნაში დიდ როლს ასრულებს. შეიმჩნევა, აგრეთვე, ალუზიების ჩანაცვლების შემთხვევებიც, რაც დიდ როლს ასრულებს პერსონაჟთა სახის შექმნაში, აძლიერებს „მოშინაურების", გადმოქართულების, ეფექტს და ერთგვარ იუმორისტულ ფონსაც ქმნის.

ამ ყველაფერთან ერთად უნდა აღინიშნოს ხმოვანი ეფექტების როლიც, რომელიც უმნიშვნელოვანესია გმირთა სახის შექმნისა და მთლიანად მულტფილმის ეფექტურობის თვალსაზრისით. თუმცა, თარგმანის დროს შექმნილი პერსონაჟთა სახეები სასაცილო და ადვილად დასამახსოვრებელია, ისინი რამდენადმე განსხვავდებიან ორიგინალის გმირებისაგან. განსხვავებული პროსოდიული თვისებები განსხვავებულ გმირებს ქმნის. მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გლორიას მამაკაცი, საქართველოში ცნობილი კომედიური მსახიობი, ახმოვანებს და ამოსავალი ტექსტის ნაზი გლორია, უხეში და სასაცილო პერსონაჟით იცვლება.

ქართულ თარგმანში თვალშისაცემია ჟარგონისა და ქართლური კილოს ჭარბი ,l,გამოყენება, რაც მულტფილმს უფრო უფროსი ასაკის აუდიტორიისათვის განკუთვნილად აქცევს. საბავშვო მულტფილმში ვფიქრობთ, მიზანშეწონილი არ არის უხეში ჟარგონისა და კუთხური კილოს ზედმეტად გამოყენება. ბავშვებზე მათ შეიძლება არასასურველი გავლენა მოახდინონ. პატარებს მისაბაძი გმირი სჭირდებათ და რადგან ფილმი აშკარად ბავშვთა აუდიტორიისათვის არის შექმნილი, დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ის სწორად იქნას მიწოდებული და აღქმული.

---

[1] აქაც და შემდეგშიც ინგლისური ორიგინალი ციტირებულია შემდეგი წყაროს მიხედვით: http://www.script-o-rama.com/movie_scripts/m/madagascar-script-transcript.html

[2] აქაც და შემდეგშიც ქართული თარგმანი ციტირებულია შემდეგი წყაროს მიხედვით: http://www.myvideo.ge/?video_id=743298

ლიტერატურა:

1. საყვარელიძე. ნ.თარგმანის თეორიის საკითხები. თბილისი2001.
2. Berger, Arthur Asa.The Art of Comedy Writing. London: Transaction Publishers1997.
3. Dries, Josephine Breaking Eastern European Barriers. Sequentia, vol. II, No. 4 June/July/August 95. 1995
4. Hellgren, Esco. Translation of Allusions in the animates cartoon The Simpsons; April 2007. http://www.snpp.com/other/papers/eh.paper.pdf
5. Leppihalme, Ritva. Culture Bumps. An empirical approach to the translation of allusions. Clevedon: Multilingual Matters. 1997
6. Newmark, P. Approaches to Translation. Hertfordshire: Prentice Hall.1988
7. http://www.script-o-rama.com/movie_scripts/m/madagascar-script-transcript.html
8. http://www.myvideo.ge/?video_id=743298
9. http://www.starpulse.com/Movies/Madagascar/Summary/
10. ttp://www.nationmaster.com/encyclopedia/Georgian-dialects

სარჩევი

1. თინათინ თურქია

   ადგილკუთვნილების აღმნიშვნელი ლექსიკის სოციალური მგრძნობიარობის საკითხი ქართულში.....2

2. ია გრიგალაშვილი

   იაკობის ჟამისწირვისა და "წმინდა ჰაბოს წამების" ტექსტთა ურთიერთმიმართების საკითხისათვის.....14

3. ნატო სონღულაშვილი

   რეგიონალური იდენტობა: საქართველოს ცენტრი და ნპერიფერია. (1900-1917).....25

4. ანა იმნაძე

   რეალობა და ლიტერატურული ფიქცია (ოთარ ჩხეიძის ,,არტისტული გადატრიალება'').....37

5. ზაზა ხითბიძე

   არისტოტელე ჰომეროსისეული ნოვატორობის შესახებ და „ილიადის" IX სიმღერა: გაფართოების ზეპირი და წერილობითი ეტაპები 46

6. ნინო ფიფია

   ვერაგობა, როგორც სტრატეგია, ხორხე ლუის ბორხესის ,,მზაკვრობის მსოფლიო ისტორიაში'' 62

7. ანა ადვაძე

   ,,არ'', ,,ც'', ,,კი'' ნაწილაკები ქართულში და მათი შესაბამისობები ინგლისურში…….....74

8. ნინო ჭრიკიშვილი

სტაბილურობა და ვარირება ესპანური ენის ბინარულ თანხმოვანთჯგუფებში 88

9. ქეთევან გოჩიტაშვილი

ადამიანის ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები ქართულ და ინგლისურ ენებში.....100

10. თამარ ნაჭყებია

მულტფილმის თარგმნის თავისებურებები („მადაგასკარის“ ქართული თარგმანის მაგალითზე).....112